გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№284 (343) 9-16 სექტემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

# თუ ასე გაგრძელდა, “ოცნება” ოცნების შანსს არ დაგვიტოვებს!

სულ მალე მეორე წელი მიილევა, რაც **“ქართულმა ოცნებამ”** ავადსახსენებელი ნაციონალებისა და მათი დორბლიანი ბელადის სააკაშვილის მონობისაგან გაგვანთავისუფლა, რისთვისაც უამრავჯერ გადამიხდია ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და **“ქართული ოცნების”** ყველა მესვეურისათვის დიდი მადლობა და არც ახლა დავიშურებ მადლობის სიტყვებს ამ დიდებული ადამიანების მიმართ!

ჩვენ ადრე განვაცხადეთ, რომ **“ქართული ოცნების”** მისამართით კრიტიკულ აზრს არ გამოვთქვამდით, ვიდრე ნაციონალებს პოლიტიკური რევანშის თუნდაც ოდნავი შესაძლებლობა ექნებოდათ, რათა ამ უჯიშო დაშნაკების წისქვილზე არ დაგვესხა წყალი. მაგრამ ახლა, როცა ნაციონალ ბანდიტთა მესვეურების ერთი ნაწილი ციხეშია საიმედოდ გამოკეტილი, მეორე ნაწილი საქართველოდანაა კუდამოძუებულად გაქცეული, მათ დორბლიან **“ბელად”** სააკაშვილზე კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და პატიმრობამისჯილი კანკალებს კანონის აღსრულების მოლოდინში, გადავწყვიტეთ საკუთარი აზრი გამოვამზეუროთ **“ოცნებისტებზე”,** თუნდაც იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მდიდარი ქართული ტრადიციების შესაბამისად **“მოყვარეს პირში უნდა უძრახო. მტერს კი ზურგს უკან”!**

სათქმელი და დასაძრახი კი მართლაც ბევრი დაგროვილა და თუ **“ქართული ოცნების”** ხელისუფლებამ ხალხისაგან წამოსული შენიშვნები არ გაითვალისწინა, არა მგონია, რომ მათ ნაციონალებივით 9 წელი გაძლონ ხელისუფლებაში, თუ, რა თქმა უნდა, მათაც ქვეყნის მართვის **“ნაციონალური”** საძრახისი სისტემა არ გაიხადეს მთავარ პოლიტიკურ მექანიზმად...

ხოლო ტირანია და მტარვალ ხელისუფალთა თავნებობა როგორი შედეგითაც მთავრდება, **“ოცნებისტებმა”** სხვებზე კარგად უნდა იცოდნენ, რადგან სწორედ მათ ჩამოგლიჯეს **“დემოკრატიის”** ყალბი ნიღაბი სააკაშვილის ხელისუფლებას და სრულიად გააშიშვლეს სააკაშვილისა და მის ნაცთა მმართველობის სიმახინჯე და ტირანულად მოქმედების არსი!

მაგრამ, მალევე მივიღეთ ახალი არასასიამოვნო სიურპრიზი ახალი ხელისუფლებისაგან, რაც, პრაქტიკულად, საბიუჯეტო სახსრების მანკიერად განკარგვის ნაციონალური ხაზის გაგრძელება გახლდათ. ახალმა მთავრობამ, მოკლე ხნის განმავლობაში, ხელფასისა და პრემიების სახით 150 მილიონი ლარი მოიხმარა, გამართლება კი ის გახლდათ, რომ თუ ჩინოვნიკი მაღალ ანაზღაურებას არ მიიღებს, მას შეიძლება ქრთამისაკენ გაექცეს ხელიო!

კვლავ კუჭთან დაკავშირებული მორალი – არავითარი ზნეობა, არავითარი პირადი თავშეკავებულობა, არავითარი პატრიოტიზმი, არავითარი პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე – კვლავ ჩინოვნიკის გაქსუება, მათი გაპარაზიტება, დიდი შემოსავლისადმი ლტოლვის სინდრომის გაღვივება, რასაც სახელმწიფო საქმეები ყოველთვის უკანა პლანზე გადაჰყავს!

ვერა და ვერ დადგა მყარად ფეხზე პროკურატურა, ამათ მიერ ზერელედ გამოძიებული დანაშაულის ფაქტები კი საშუალებას აძლევენ ნაციონალებსა და მათ მიერ მოქრთამულ უცხოელ ვაი-პოლიტიკოსებს, რომ საქართველოში ხალხის მიერ მკაცრად მოთხოვნილი სამართლიანობის აღდგენის პროცესი პოლიტიკურ დევნად შეასაღონ საერთაშორისო საზოგადოებას.

ფაქტია, რომ **“ქართული ოცნების”** ხელისუფლება იმდენ სიმახინჯეზე ბედავს **“ხელის მოწერას”,** რომ ზოგჯერ განსხვავების წრფის გავლება მიჭირს **“ოცნებისტებსა”** და **“ნაციონალებს”** შორის. სწორედ **“ოცნებისტების”** პატრონაჟით წამოადგა თავს საქართველოს **ლგბტ** საზოგადოების ავბედითი აჩრდილი, რომელთა წასახალისებლად მიღებული იქნა ის ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის მიღებასაც სააკაშვილის პარტიული აქტივი ვერასგზით ვერ გაბედავდა.

ახლა კი, ეს **“კაზანტიპი”** – ფაქტია, რომ საქართველოს, მათ შორის ანაკლიის მოსახლეობაც დიდ მატერიალურ გასაჭირს განიცდის და მის მიერ გამომუშავებული რამდენიმე ლარიც კი შეიძლება გარკვეული შვება აღმოჩნდეს ოჯახის წევრებისათვის. მაგრამ, ხელისუფლებამ ადამიანის პრაგმატული მისწრაფებები არ უნდა გააღვივოს მორალისა და ზნეობის შერყვნის ხარჯზე, რადგან ყველა მშიერი ადამიანი ვერ უძლებს ოცდაათი ვერცხლის ფასად ნაბოძები პურისაკენ ხელის გაწვდენის ცდუნებას. ამან კი შეიძლება საზოგადოების შუაში გახეთქვა გამოიწვიოს, რაც გარკვეული საფრთხის წინაშე დააყენებს მთელ ქვეყანას. და თუ დღეს კაზანტიპის წყალობით შემოსავლის მოლოდინში მყოფი ანაკლიის მოსახლეობა დაპირისპირებულია სრულიად საქართველოს, რომელიც აპროტესტებს ამ მართლაც ორგიული ფესტივალის ჩატარებას, ეს გლობალურ საფრთხეს ნამდვილად ვერ შექმნის, მაგრამ, ვაი თუ, ხვალ, ანალოგიური ღონისძიებების ჩატარების საპროტესტოდ ერთმანეთს დაუპირისპირდეს საქართველო და რომელიმე რეგიონი...

სწორედ ეს იქნება ქვეყნის დაშლის წინაპირობა, რაც კარგად იცის ჩვენმა მტერმა და, გამორიცხული არ არის, რომ შესაფერის მომენტს ელოდეს ამგვარი ამბოხისათვის!

განა ავადსახსენებელი მიხეილ სააკაშვილი ქართული საზოგადოების გახლეჩაზე არ ზრუნავდა დღემუდამ? დალოცვილებო, ეს დორბლიანი არანორმალური სატრაპი მოგვაშორეთ და ახლა მის ავბედით საქმეებს თავად რომ აგრძელებთ, ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

სპეციალისტებისათვის მაინც გეკითხათ, თუ როგორი მძიმე შედეგი მოუტანა უკრაინას სწორედ ჩვენს უბედურებად მოვლენილმა **“კაზანტიპმა”,** რომლის ჩატარების შემდეგ უკრაინაში კატასტროფულად გაიზარდა შიდსით და სხვადასხვა სახის ვენერიულ სნეულებაშეყრილთა რიცხვი.

შიდსი და ჰონორეა გვინდა კიდევ ამ, ისედაც გაუბედურებულ, ქვეყანაში?

სპეციალისტებისა და უბრალო მოქალაქეების აზრით ასევე უადგილო გახლდათ ხელისუფლების გადაწყვეტილება მთელი რიგი წამლების მხოლოდ რეცეპტებით გაცემის თაობაზე. აკრძალვითი ღონისძიებების კულტივირება რომ არასდროს არ არის სასურველი ეფექტის მიღების საშუალება, ამაში ცხოვრებამ არაერთგზის დაგვარწმუნა, მაგრამ ჩვენი ხელისუფალი მაინც ჯიუტად აწვება კედელს რქებით. და ეს მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ მართლაც ხალხისათვის უაღრესად საჭირო და ხელსაყრელი რეფორმა გაატარა საყოველთაო დაზღვევის სახით. მაგრამ ისეთი **“არახელსაყრელი”** ინიციატივა გამოაგდო წამლების მხოლოდ რეცეპტებით გაცემის სახით, რომ ქართული საზოგადოება ძლიერ დაიბნა და ვერასგზით ვერ ამოუხსნია ლამის დილემად ქცეული გამოცანა – **“ოცნების”** ხელისუფლება მისკენაა თუ ეშმაკებისაკენ!

ოთარაანთ ქვრივის ხასიათს მისადაგებული რაღაც **“პილპილმოყრილი მადლი”** გამოვიდა!

ცალკე საუბრის თემაა ივანიშვილის ნათესავები – კაცს საქართველოს წლიურ ბიუჯეტზე მეტი აქტივები გააჩნია და რა გაუჭირდა ისეთი, რომ თავისი სიძე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ არ დაენიშნა, სხვა ნათესავებისათვის კი მაღალი თანამდებობები არ ჩამოერიგებინა? როგორ დავიჯერო, რომ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც წლების განმავლობაში ასეულ მილიონობით დოლარი დაახარჯა უანგაროდ საქართველოს, იმდენს ვერ ახერხებს, რომ ხელი გაუმართოს თავის ნათესავებს, სარფიან თანამდებობებზე არ დანიშნოს ისინი და სალაპარაკო არ მისცეს ავყია ნაცებს?

რა ვიცი?

ისე კი, მართლაც უცნაური და შეუცნობელი არსებაა ადამიანი!

ერთადერთი ადამიანი, ვინც ჯერჯერობით უშეცდომოდ მუშაობს და, შესაბამისად, მაღალი ავტორიტეტიც გააჩნია, არის პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რასაც ვერ ვიტყვით პრეზიდენტ მარგველაშვილზე, რომელმაც საკუთარი გადანაფურთხები ალოკა და სინდისის ქენჯნის გარეშე დაიკავა სააკაშვილის ის რეზიდენცია, რომელსაც თავის დროზე **“სიბოროტის ბუდეს”** ეძახდა. სწორედაც რომ **“ნაციონალური”** თავხედობა და სენსიტიური საკითხებისადმი აგდებული დამოკიდებულება გამოავლინა გიორგი მარგველაშვილმა, როცა საკუთარი ცოლის მაკა ჩიჩუას ნახევარძმა მიხეილ მგალობლიშვილი შეიწყალა, რომელსაც 2012 წელს სასამართლომ განზრახ მკვლელობისათვის 17 წელი შეუფარდა. განა სწორედ გირგვლიანის საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებისათვის არ მიმდინარეობს დღეს გამოძიება, სადაც დამნაშავეთა მფარველებს მძიმე ბრალი აქვთ წაყენებული?

საზოგადოებისათვის ალბათ ისიც დიდ ხანს დარჩება გამოცანად, თუ როგორ მოახერხეს ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილისათვის **“ერთგულ თანამებრძოლად და შესანიშნავ პრეზიდენტად”** შეესაღებინათ აშკარად მათი გავლენის აგენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის აჭრას! და როცა პოლიტიკური ცბიერებით შედეგს ვერ აღწევს და თავში დამსახურებულად წამოარტყამენ ხოლმე, ნაციონალები წამსვე სტეხენ ყაყანს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინების თაობაზე. ბუნებით არ ვარ ეჭვიანი ადამიანი, მაგრამ ყოველივე ამის შემხედვარეს ერთი სერიოზული ეჭვი მიჩნდება: ნაციონალთა მიერ მარგველაშვილის ამგვარად თავგამოდებული დაცვა ხომ არ არის საპროტესტო შეძახილი: **“ჩვენს კაცს ასე სასტიკად რატომ გვიჩაგრავთო”!**

ახლა იმაზე ატეხეს ყაყანი ნაცებმა – მარგველაშვილი ამერიკაში რატომ არ გაუშვითო! აქ რა გააკეთა, რომ ახლა ამერიკაში დაგვილაგოს პოლიტიკური სიტუაცია?

ძნელი განსაჭვრეტია, როგორ განვითარდებიან მოვლენები, თუნდაც ახლო მომავალში, ქვეყნის პოლიტიკურ ავანსცენაზე, მაგრამ ერთი რამ კი დარწმუნებით ვიცი – თუ მარგველაშვილი დროულად არ მოეგო გონს და ავადსახსენებელი ნაციონალების სამსახურიდან დროულად არ გადმოერთო საქართველოს სამსახურში, **“თავისუფლების ინსტიტუტის”** ამ დამფუძნებელსა და ნაცთა ამ აშკარად გამჟღავნებულ **“პლასტელინა”** მსტოვარს ხალხის სამსჯავროზე დასმა თუ არა, კარგი მსუყე იმპიჩმენტი და უკანალში ამოჭერილი ტრადიციული პოლიტიკური ჭიტლაყი არ ასცდება!

ისე კი, გულწრფელად გეტყვით, რომ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის, ახლა კი მარგველაშვილის **“პრეზიდენტობის”** შემხედვარეს იმის სერიოზული ეჭვი მიჩნდება, რომ მამაზეციერს ქართველები პოლიტიკურად დაწყევლილი ვყავართ: **“ქართულ პოლიტიკურ ცისგვამს პრეზიდენტად მუდამ შფოთი, ღალატი, თვალთმაქცობა და სიბილწე ეშვასო”!**

კარგი, ბატონო, ჩვენ დავხუჭავთ ამ ნაკლოვანებებზე თვალს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თუ პრობლემას არ დავინახავთ – იგი არ არსებობს! არა და, ამ ნაკლოვანებებს ძალიან კარგად იყენებენ ნაციონალები, თარგმნიან წამიერად ინგლისურ ენაზე და მათ მიერ მოსყიდული უცხოური მასმედიის მეშვეობით ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებისათვის იმის დამტკიცებას, რომ დიდად აუცილებელია საქართველოში მათი ხელისუფლების რესტავრირება!

მაინც რატომ ვაძლევთ ყბედობის საბაბს სააკაშვილსა და მის დემაგოგებს?

მართალია, ვერასოდეს ვერ მოესწრებიან პოლიტიკურ რეანიმირებას, მაგრამ უბრალო მოქალაქეები ნერვიულობენ და ამიტომ უნდა მიაქციონ **“ოცნებისტებმა”** ყურადღება საკუთარ ნაკლს და დროულად აღმოფხვრან ისინი, რათა პოლიტიკურ გვამად ქცეულ ნაციონალებს სამუდამოდ ჩაუგდონ ენა.

ჯერჯერობით კი, მათლაც სუსტი პროკურატურის უნიათო მუშაობით გათამამებულ-გალაღებული ნაციონალები და მათი ჭკუათხელი დემაგოგი ბელადი სააკაშვილი მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირიან, რომ პოლიტიკური დევნის მსხვერპლად არიან ქცეული, რომ საქართველოში დემოკრატია იჩაგრება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში მათი დამარცხების შემდგომ (მართლაც რომ არა აქვს ენას ძვალი და ნაციონალებს სინდისი, თორემ კაცმა ასეთი მკრეხელობა როგორ უნდა ამოუშვას პირიდან?!) და, სამწუხაროდ, ვიღაც ევროამერიკელებს მართლაც სჯერათ მათი, რადგან **“ნაციონალების”** პიარმანქანა ბევრად უფრო ძლიერად და შთამბეჭდავად მუშაობს, ვიდრე **“ოცნებისტებისა”.**

პროკურატურა რომ ქვეყნის **“აქილევსის ქუსლად”** რჩება, ფაქტია, რადგან ჯერ ვერ მოხერხდა საქართველოში პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე კეზერაშვილის ჩამოთრევა. ალბათ ამიტომაცაა გულმოცემული მეორე პირწავარდნილი დამნაშავე ბაჩანა ახალაია, რომელმაც სასამართლოზე ყინჩად განაცხადა: **“სწორედ ახლა იწყება ბრძოლა საქართველოს განსათავისუფლებლადო”!** უნდა მოგვაჩვენოს ამ არამზადამ და პირსისხლიანმა დამნაშავემ, თუ თავისი ქვეყნის როგორი გულანთებული პატრიოტია და სწორედ სამშობლოს სიყვარულისათვის ზის ციხეში და არა უდანაშაულო ხალხის წამებისა და მკვლელობისათვის. ყოველივე ამის გამგონეს დიდი ამერიკელი პოლიტიკოსის სამუელ ელ ჯექსონის სიტყვები მახსენდება: **“ნაძირალათა უკანასკნელი თავშესაფარი პატრიოტიზმია”!**

**როლანდ ჯალაღანია,**

**გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი**

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

იმერეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) ორი წლის მანძილზე (1634-1635 წწ.) აწარმოებდა მოლაპარაკებას ლევანთან, გიორგი მეფის განთავისუფლების თაობაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ დადიანმა გიორგი გაათავისუფლა, ხოლო ამის საფასურად ცხენისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე ჭილაძეებისა და მიქელაძეების მამულები დაისაკუთრა. შესაბამისად, ოდიშის სამთავროს საზღვარმაც ცხენისწყლის აღმოსავლეთით გადაიწია (ჯამბურია, სინ, IV, 1973: 334; შდრ. ბერაძე, ცქიტიშვილი სიგკ, IV, 1971: 47). ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე დადიანის გაბატონების მიუხედავად, ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთ და ბუნებრივ საზღვრად ძირითადად კვლავ მდინარე ცხენისწყალი რჩებოდა.

1657 წლის 17 მარტს დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ხელისუფალის, ლევან II დადიანის მოულოდნელი და ტრაგიკული გარდაცვალება სავალალო აღმოჩნდა ოდიშის სამთავროსათვის. იმერეთის მეფის ლაშქარი ოდიშს შემოესია და მთავრად ვამეყ ლიპარტიანი დასვა. ოდიშის ტახტის დევნილმა მემკვიდრემ თავი გურიას შეაფარა, აქედან კი ბიძის – ქაიხოსრო გურიელის რჩევით, დედამისთან ერთად ახალციხის საფაშოში გადავიდა (შარდენი 1975: 247; ხორავა 1996: 98-99). ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოიწვია ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და მან ცხენისწყლიდან დასავლეთით, უნაგირაზე გადაინაცვლა. უნაგირა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერქვა მთას ტეხურის ორივე ნაპირზე. გავიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: **„ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“** (ვახუშტი IV, 1973: 777).

ოდიშსა და გურიას შორის საზღვრად ამ დროისთვის რიონი მიიჩნეოდა. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით **„რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას და ბოლოს წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად, რომელიც ძველად წარჩინებულ ქალაქს წარმოადგენდა და დღეს კი წყალში ჩანთქმულია“** (ლამბერტი 2011: 23). სებასტოპოლს მისიონერი უწოდებს ფოთს. XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის ჟან შარდენი **„გურიელის ქვეყნის“** ჩრდილოეთ საზღვრად მდ. ფაზისს (რიონს) მიუთითებდა (შარდენი 1935: 42).

ვახუშტის თქმით, **„სამხრით... გურია-ოდიშს შორისი“ საზღვარი მდინარე რიონია. გურიის აღწერისას კი საზღვარს ასე მიუთითებს: „ჩრდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი“** (ვახუშტი IV, 1973: 789).

ეს საზღვარი ძალზე პირობითი იყო და როგორც დადიანთა მიერ გაცემული საბუთები მოწმობს, ოდიშის სამთავროს ტერიტორია რიონის მარცხენა მხარეზეც ვრცელდებოდა (ბერაძე 1967: 283; შდრ. ხორავა 1996: 92).

ოდიშის სამხრეთ საზღვარზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ვახუშტის მიერ ფოთის გურიისადმი კუთვნილების საკითხი, ვინაიდან ფოთის მდებარეობის აღწერა სახელოვან მეცნიერს მოცემული აქვს ნაშრომის სწორედ იმ თავში, რაც გურიის აღწერისადმია მიძღვნილი: **„რიონის თუალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა... აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე“**... (789-790).

სხვა უადრესი და საამისოდ აუცილებელი ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის უცნობია. ასეთი შეხედულება მოგვიანო ხანის ქართველ ავტორებთანაც გვხვდება. როგორც ჩანს, ყველა მათგანი დიდი ისტორიკოსის მითითებას ეყრდნობოდა (Бакрадзе II.16. მისივე: 1878: 96;. გოგებაშვილი VI, 1958: 625).

გვიან შუა საუკუნეებში შესაძლოა სამხედრო წარმატებების წყალობით და გარკვეული დროით ფოთს გურიის მთავარი დაპატრონებოდა, მაგრამ ეს დროებითი აქტი შეუძლებელია ფოთის გურიისადმი მიკუთვნების დასტურად მივიჩნიოთ.

XVII ს-ის ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე თვალსაზრისია ცნობილი. ლამბერტი შენიშნავს, რომ კოლხიდის (ოდიშის) საზღვარს აფხაზეთთან კოდორი წარმოადგენს: **„...მდინარე... მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და ჩემი აზრით კი ძველი კორაქსია. დასავლეთის მხრით კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა ანუ პონტუს ევქსინუსი... ჩრდილო-დასავლეთით იწყება კავკასიის მთების ზურგი“** (ლამბერტი 2011: 23).

კასტელი გვაუწყებს, რომ **“პონტოს ზღვასთან მდებარე კოლხეთის მხარეს დასავლეთიდან ესაზღვრება კორაჩეს, აკუს მთა... კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას კორაქსი ეწოდება, აღმოსავლეთით და სამხრეთიდან მას ნახევარ წრედ კავკასიონი ეკვრის“** (კასტელი 1976: 51).

ჟან შარდენის ცნობის მიხედვით, ოდიში **„სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორის და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან“** (შარდენი 1975: 107).

უცხოელ ავტორთა (ლამბერტი, შარდენი...) ცნობების ანალიზის საფუძველზე XVII ს პირველი ნახევრის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად კოდორის მიჩნევა სწორი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერდნენ გივი ჯამბურია და ზურაბ ანჩაბაძე (ჯამბურია სინ, IV, 1977: 297; ანჩაბაძე ????: 261-262; შდრ. ხორავა 1996: 93).

რუსეთის მეფის დესპანების – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევს, რომლებიც 1639-1640 წლებში იმყოფებოდნენ ოდიშში, თავიანთ ელჩობის ანგარიშებში აღწერილი აქვთ ილორის, მოქვისა და დრანდის მონასტრები. ანგარიშებში მოიხსენიება მდ. მორგულა, სოფლები – მერკულა, კვიტოული და ფშაფი: „Февраяа въ 7 день начавали в деревне Пшехапе. Февраяа въ 8 день начавали в деревне в Китоуле. Февраяа въ 9 день были мы в монастыре в Мокшенском сь еписькупам сь Ондреям да сь Макшмам Февраяа въ 9 день были мы в монастыре вь Егорьвском” – (ილორის – ი. კ.) “Федот да поп Павел” – ვკითხულობთ ანგარიშებში (ბელოკუროვი 1887: 325). სხვაგან აღნიშნავენ, რომ, „Февраяа въ 5 де пошли из Маркулей и пришли к Чорному морю Февраяа въ 6 де в Дандренскай монастырь пришли“ (იქვე: 351).

ანგარიშებში მოხსენიებული ფშაფი სოფელია კოდორის მარჯვენა შენაკადის, ფშაფის მარცხენა ნაპირას, შავიზღვისპირა დაბლობზე. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის და სოხუმს 5-6 კმ-ით, გულრიფშს – 6 კმ-ით, ხოლო დრანდას – 4 კმ-ით არის დაშორებული. რუსეთის მეფის ელჩთა საანგარიშო აღწერილობიდან ჩანს, რომ კოდორის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დაცილებული სოფელი ფშაფი ამ დროისთვის ოდიშის შემადგენლობაში იყო. ელჩების მიერ მოხსენიებული დრანდის მონასტერი ოდიშს ეკუთვნოდა, ვინაიდან დრანდაც კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

გ. გასვიანი შენიშნავს, რომ დადიანჩიქოვანების მიერ ლენტეხის თავისუფალი თემის გლეხობის დამორჩილება უნდა მომხდარიყო იმერეთის სამეფოსაგან ქვემო სვანეთის საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ, XVIII ს-ის II ნახევარში (გასვიანი 1973: 231), მაგრამ, ბუნებრივია, ამ აქტს მრავალი წლის მანძილზე წინაპირობები ჰქონდა.

ლენტეხის თემის დადიანთა მფლობელობაში ყოფნას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ქვემო სვანეთში XVIII-XIX სს-ში ადგილობრივი თავად-აზნაურობა არ იყო. მართალია, დადიანები ქვემო სვანეთში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ აქ ისინი ფლობდნენ რამდენიმე ადმინისტრაციულ პუნქტს (გელოვანი იქვე: 138).

საჭილაო. ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის – ჭილაძეთა სათავადოს წარმოქმნა საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭილაძეთა სამფლობელოს წარმოქმნა და ერთ ფეოდალურ ერთეულად ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო XV საუკუნეში. სწორედ ამ დროს და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჭილაძეებს ძლიერების ზენიტისთვის უნდა მიეღწიათ (სოსელია I, 1973: 274-275).

თუკი გავითვალისწინებთ ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ დრანდის საეპისკოპოსო მოიცავდა **„კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“** (ვახუშტი IV, 1973: 781), ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩების ოდიშში ყოფნის დროისთვის და მოგვიანებითაც, XVII ს-ის 80-იან წლებამდე მაინც, დრანდის საეპისკოპოსო ოდიშის სამთავროში შედიოდა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ში კოდორის მარჯვენა მხარეს მდებარე ანაკოფიასა და ცხუმზე დადიანთა მფლობელობა არ ვრცელდებოდა, დრანდის საეპისკოპოსოს ოდიშის სამთავროში შემოსვლა ქართულ ისტორიოგრაფიაში იმის მოწმობად მიიჩნევა, რომ კოდორის დასავლეთით მდებარე გარკვეული ტერიტორია კვლავ დადიანებს ეკუთვნოდათ (კაკაბაძე I, 1921: 296; ბერაძე სიგკ, III, 1967: 180; ხორავა 1996: 93).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1630 წლისათვის, იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკას ცნობით, ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. აუსზე გადიოდა: **„21 მაისს მოვედით ძველ ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), სადაც მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“** (თამარაშვილი 1902, 144). პროფ. ილია ტაბაღუა ამ ადგილს შემდეგი სახით კითხულობს: **„ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ჰყოფს“** (ტაბაღუა III, 1987: 157). იგი ფიქრობდა, რომ მდ. აბსი იგივე კოდორია (იქვე: 160). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ბეჟან ხორავა და შენიშნავს, რომ ჯოვანი და ლუკასეული აუსი მდ. ბესლეთს შეესატყვისება (ხორავა 1996: 94). აუსის/აბსის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად სკისორნუმისა და სოხუმის იგივეობას ორივე მკვლევარი მხარს უჭერს.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იტალიელი მისიონერი დრანდის წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიას ოდიშის შემადგენლობაში აქცევდა (თამარაშვილი 1902: 149). ქართველებსა და აფხაზებს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე მიანიშნებს სკისორნუმელი (სოხუმელი?) თავადის – პუტოს ნათქვამი მისიონერ ჯოვანი და ლუკასადმი, რომ მას მეზობლად მყოფ ქართველ სასულიერო პირებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა (იქვე: 149; კვაშილავა 2011: 68). პირველი დასახლებული პუნქტი, რასაც დომინიკანელი მისიონერი სამეგრელოში ასახელებს, არის **შცოურცია** (იქვე). ესაა კოდორის ნაპირას მდებარე სოფელი სკურჩა. ის ფაქტი, რომ ჯოვანი და ლუკას ცნობით ჯერ კიდევ ფუნქციონირებს დრანდის მონასტერი, როგორც დრანდელი არქიეპისკოპოსის ( რიანდელლი) საკათედრო რეზიდენცია, კ. კვაშილავას აფიქრებინებს, რომ მომხდურ აფხაზთა შემოტევების გამო ოდიშართა სამხრეთ-აღმოსავლეთით დახევის მიუხედავად, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის არსებობა დრანდაშიც ამ დროისათვის (იგულისხმება 1630 წელი) შესაძლებელია (კვაშილავა 2011: 69). თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ იტალიელ მისიონერთა ცნობებს ეჭვით უყურებს თამაზ ბერაძე, რადგან დრანდის მონასტერი ამ შემთხვევაში ოდიშის გარეთ ჩანდა (იქვე: 69; ბერაძე 1999: 210).

ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი იყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის, მაგრამ მისი მთავრობის პერიოდში გახშირებულმა აფხაზთა ლაშქრობებმა დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების მონაწილეობით საფრთხე შეუქმნა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს. ამიტომ დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო და ამ მიზნით აფხაზთა მარბიელი ლაშქრობისაგან სამთავროს დასაცავად აფხაზეთთან საზღვარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით გაემაგრებინა. საუბარია კელასურის ზღუდეზე, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – აფხაზეთის დიდ კედელზე.

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით კელასურის კედელი ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდშია აშენებული (ვახუშტი IV, 1973: 782). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ვახუშტი სათანადო ადგილზე არაფერს ამბობს **„ქართლის ცხოვრების“** ცნობაზე მურვან ყრუს მიერ კელასურის ზღუდის გადალახვის შესახებ. ეს ფაქტი მას კარგად უნდა სცოდნოდა თავისი წყაროდან. მაგრამ აშკარაა, რომ ვახუშტი ღრმად არის დარწმუნებული ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვიდან მთამდე აგებული ზღუდის აგების დათარიღებაში და ამიტომ ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს (ალექსიძე 2, 2011: 37).

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ XVII საუკუნეში ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი კელასურთან გადიოდა. საზღვარი მიუყვებოდა იმ კედელს, რაც შავ ზღვასთან კელასურის შესართავთან იწყება და გასდევს მის მარცხენა ნაპირს ჩრდილოეთისაკენ. ზღვისპირას დღესაც დგას ოთხკუთხა კოშკი. კედელი კელასურის ხეობას ათიოდე კმ-ის მანძილზე მიუყვებოდა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ უხვევდა, გადაკვეთდა მდ. მაჭარას და უკვე მდ. კოდორიდან ფანავის ქედს გასდევდა. კოდორის ხეობის ზემო წელს აფხაზი მთავრები ფლობდნენ. მოქვისწყლის გადაკვეთის შემდეგ ზღუდე ღალიძგამდე, ტკვარჩელამდე აღწევდა (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 67; ხორავა 1996: 95-97).

არის თუ არა კელასურის ზღუდე ლევან დადიანის მიერ აშენებული? ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევანის დროს უმეტეს შემთხვევაში მთლიანი კედელი კი არ აშენებულა, არამედ საგანგებოდ იქნა გამაგრებული მხოლოდ გადმოსასვლელები. **„გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დროებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება“** (ხორავა 1996: 97). ოდიშის მთავარს გაცნობიერებული ჰქონდა ის დიდი საფრთხე, რაც თავის სამფლობელოს ელოდა აფხაზ-აფსუებისა და მათი მონათესავე ტომების შემოტევებისაგან. კელასურისპირა საზღვრის მოშლით მტერს უადვილდებოდა ოდიშის ტერიტორიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ენგურის მიმართულებით. ზ. ალექსიძის აზრით, საეჭვოა ლევან დადიანს **„ამხელა კედლის აგების შესაძლებლობა ჰქონოდა და არც მისი ეპოქა ითხოვდა მსგავს იდეებს. უკვე არსებულ ნაგებობას კი იგი, რა თქმა უნდა, გამოიყენებდა, გაამაგრებდა, რაღაცას დაუმატებდა, შეავსებდა და ა. შ. კოშკებში დატანებული სათოფურებიც, ცხადია, მისი გაკეთებული იქნება“** (ალექსიძე 2, 2011: 41).

არქანჯელო ლამბერტს თავის რუკაზე თავდასაცავ სიმაგრეთა სისტემაზე შემდეგი წარწერა გაუკეთებია: **„კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“** (ლამბერტი 2011, რუკა). ანალოგიურ წარწერას ვხვდებით 1654 წლის რუკაზეც: **„აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კედელი“** (კასტელი 1976, რუკა).

XVII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად კოდორი ჩანს, მაგრამ 60-იანი წლებიდან აფხაზთა მთავარი სოუსტან (ბაგრატ) შერვაშიძე თავისი ლაშქრით აწარმოებს გახშირებულ თავდასხმებს ოდიშის მიწა-წყალზე. **„ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“,** – წერს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი IV, 1973: 842). აღნიშნული ცნობა ოდიშის იმდროინდელი რეალური და საგანგაშო ვითარების ამსახველია. აფხაზებმა აიკლეს ოდიშის საზღვრისპირა პუნქტები და ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც შეაღწიეს. აფხაზთაგან ცაიშის ტაძრის აოხრების შესახებ გვაუწყებს სახარების ერთი მინაწერი: **„მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით“** (თაყაიშვილი 1913-1914: 188). აფხაზთა გამანადგურებელ ლაშქრობაზე მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი: **„...ბრმა ბაგრატისაგან შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“** (ციტირება იხ. ხორავა 1996: 111).

### ქიაჩის ხატი.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია კიდევ უფრო მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, სწორედ ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: “Абхазские феодалы в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского к няжества и захватили его северные районы“ (Анчабадзе 1959: 270). 1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგაღმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას გ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე 2006: 226).

** იგორ კეკელია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ამბები სამეგრელოდან

## ღონისძიება მარტვილში

მარტვილის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა **სსიპ "ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის"** ინიციატივით და დაფინანსებით ახალგაზრდული პროექტის **„მკითხველთა კონკურსის“** ფინალი. პროექტის მიზანია, ახალგაზრდებისათვის მხატვრული ლიტერატურის გაცნობა და კითხვის სტიმულირება, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას, კითხვის პოპულარიზაციას, სტიმულს მისცემს მათ, რათა კიდევ უფრო მეტი ინტერესით ჩაერთონ საგანმანათლებლო პროექტებში; ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 30-მა ახალგაზრდამ (12-დან 35 წლამდე). მათ მიეწოდათ ერიკ-ემანუილ შმიტის ნაწარმოები **"ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი"**. მხატვრული ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ ჩატარდა ტესტირება, რის საფუძველზეც შეირჩა 20 ახალგაზრდა, ხოლო პროექტის მეორე ტურში ჟიურიმ ოთხი ფინალისტი კონკურსანტი გამოავლინა: I ადგილი – გიორგი ხულორდავა (სალხინოს საჯარო სკოლა), II ადგილი – მარიამ გვილავა (მარტვილის I საჯარო სკოლა), III ადგილი – სალომე ხაჟომია (მარტვილის I საჯარო სკოლა), IV ადგილი – ხატია სხულუხია (მარტვილის I საჯარო სკოლა). ჟიურის წევრებმა: ფილოლოგმა ლევან გიგინეიშვილმა, **სსიპ "ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის"** თავმჯდომარის მოადგილემ მურმან პატარაიამ და დეკანოზმა გიორგი წეროძემ გამოავლინეს გამარჯვებულები და გადასცეს პრიზები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

## უნიკალურ არქეოლოგიურ მასალებთან მიახლება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილთან და ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ ნიკოლოზ მურღულიასთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ დაათვალიერა ექსპედიციის მიერ მოპოვებული უნიკალური მასალები და დაესწრო მათი გასუფთავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლის მოსწავლეებმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურისა და საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ერთობლივი პროექტის: **„ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს"**, რომელიც უკვე მე-6 წელია ხორციელდება, მორიგი სეზონი ზაფხულში დასრულდა. სკოლის მუშაობის შინაარსობრივად დატვირთული დღეების ერთ-ერთი სეგმენტი სწორედ ექსპედიციის კვლევით სამუშაოებთან მიახლება და მასში ჩართულობაც იყო.

## საქველმოქმედო აქცია სენაკში

ამას წინათ საერთაშორისო ასოციაცია **"ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"** სენაკს ესტუმრა. ასოციაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16 პირს სტანდარტული ეტლები გადასცა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ინტეგრირებას ნებისმიერი კუთხით. 11 ეტლი ქალაქ სენაკის უნარშეზღუდულ მოქალაქეებს გადაეცათ, 5 კი – ზანის, ნოქალაქევის, თეკლათისა და უშაფათის თემებში მცხოვრებლებზე გადანაწილდა. აქტიური ეტლი (რაფრაიდერი) მზადდება საქართველოში, კერძოდ **"ინვალიდთა ლიგაში"**, საამქროს ხელმძღვანელობს გია ძნელაძე. ასოციაციის საქმიანობა საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ეტლების დამზადებას აფინანსებს. ამასთანავე ჰუმანიტარული ორგანიზაცია საერთაშორისო ასოციაციის მეშვეობით დახმარებას უწევს ტუბერკულიოზით დაავადებულ მოქალაქეებს. აღსანიშნავია, რომ ასოციაცია **"ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"** აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებში. სენაკის ბავშვთა პანსიონატს აღნიშნული ორგანიზაცია ასოციაციის მეშვეობით ამარაგებდა პროდუქტებით, ტანსაცმლებითა და მედიკამენტებით. საერთაშორისო ასოციაცია აგრძელებს თანამშრომლობას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რომელიც კიდევ ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებებს განახორციელებს სენაკის მუნიციპალიტეტში.

## ხობში წყალმომარაგების სისტემის გამრიცხველიანება მიმდინარეობს

ქ. ხობში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით საღამო საათებში წყლის გამორთვები იგეგმება. ამ ეტაპისათვის წყლის გამრიცხველიანება საცხოვრებელ კორპუსებსა და პარალელურად საკარმიდამო ეზოებში მიმდინარეობს. მიმდინარე სამუშაოები დაახლოებით თვენახევარი გაგრძელდება.

ხობის მუნიციპალიტეტში გამრიცხველიანება ნოჯიხევში, პირველი ხორგაში, ბიასა და შუა ქვალონის თემებში დასრულებულია. როგორც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხობის სერვისცენტრის ტექნიკური მენეჯერი ლევან აბრამია აცხადებს, 1 სექტემბრიდან დაიწყება ქალაქის ქსელების სრული რეაბილიტაცია და ახალ ქსელებთან მიერთებისას კვლავ მოხდება წყლის გამორთვები. წყალმომარაგების კომპანია უახლოეს მომავალში მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფას ჰპირდება.

## ხობელი ახალგაზრდები პროექტ „მწვანე არდადეგებში“ ჩაერთვნენ

აგვისტოს მიწურულს კოლხეთის ეროვნულ პარკში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტში **„მწვანე არდადეგები"** ხობელი ახალგაზრდები ჩაერთნენ.

ეკოტურისტთა მორიგმა ჯგუფმა, რომელშიც შედიან ცნობილი თუ საზოგადოებისათვის ჯერ უცნობი პოეტები, ახალგაზრდებს გააცნეს თავიანთი შემოქმედება – ხობელმა და ფოთელმა ახალგაზრდებმა პროექტ **„მწვანე არდადეგების“** ფარგლებში საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს.

პროექტი 15 ოქტომბრამდე გრძელდება და ეკოტურისტებს მოუწოდებს საინტერესო დღეების გატარებას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ახალგაზრდული პროგრამების ჩართულობით.

# "სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება" – შს მინისტრის სკანდალური ინტერვიუ სააკაშვილის საიდუმლო თათბირებსა და სამოქმედო გეგმაზე

მასმედიასა და სოცქსელებში შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც ჭიკაიძე აცხადებს, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება, რომლის უკანაც **"ნაციონალური მოძრაობის"** მიერ კონტროლირებადი ჯგუფები დგანან. ჭიკაიძის თქმით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებულია გამოძიება, მაგრამ ხელისუფლებას წინ დიდი გამოწვევები ელოდება.

"ეს ძალა უკავშირდება "ნაციონალურ მოძრაობას" და მიხეილ სააკაშვილს, ჩემთვის ცნობილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კიევსა და სტამბოლში მიხეილ სააკაშვილმა მისცა კონკრეტული დავალებები "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს. ეს დავალებები უკრაინასა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე გაიცა. ამ შეხვედრების მთავარი თემა არ იყო შიდა პარტიული საკითხები, სააკაშვილმა თათბირის მონაწილე ნაციონალ ბობოლებს ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად კონკრეტული დავალებები და გეგმები მისცა.

მიხეილ სააკაშვილს მიცემული აქვს დავალებები, რომ შექმნან კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ დაიყოფა ცალკეულ მობილურ ჯგუფებად. მათ უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის პოლიციის თვალწინ, ეცადონ მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები, სხვადასხვა თემების მანიპულირებით, როგორიცაა კრიმინოგენური ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა, გამოიყენონ დევნილთა პრობლემები, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე მოახდინონ გაფიცვების პროვოცირება, შექმნან ქაოსური ვითარება. მათი მიზანია შექმნან ნეგატიური ფონი როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიაში და დიპლომატიურ საზოგადოებაში. მაგალითად, **"თავისუფალი ზონის"** წევრებს მიეცათ დავალება სასწრაფო დახმარების ექიმებისგან მიიღონ ინფორმაციები პიროვნების გარდაცვალების შესახებ და ეს გააპიარონ იმ კუთხით, რომ თითქოსდა ახალმა მთავრობამ შეუზღუდა მოსახლეობას სასწრაფოს გამოძახება და ეს არის ამის შედეგი. ამ გზით სურთ ნეგატიურად წარმოაჩინონ ის რეგულაციები, რაც მთავრობამ მიიღო სასწრაფოს რეფორმირებისათვის.

სააკაშვილისვე დავალებით, ქაოსის შექმნის გეგმაში უნდა ჩართონ ეროვნული უმცირესობები, უნდა შეიქმნას ეროვნული უმცირესობებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები საქართველოში. ეს არის ნაწილი დიდი **"რევოლუციური"** პროგრამისა, რასაც სააკაშვილი გეგმავს. ამ გეგმას, პირადად ვაცხადებ, რომ განხორციელება არ უწერია! ისინი ვერც იმ ილუზიას შექმნიან, რომ თითქოს ქვეყანაში არის ქაოსი და ანარქია. მათი სურვილები დარჩება სურვილებად. დღეს, საქართველოში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა, ბევრი მათგანის აზრი ჩემთვის გასათვალისწინებელია და მათ საქმიანობას პატივს ვცემ, მაგრამ რომელი ორგანიზაციებიც თქვენ ჩამოთვალეთ, სამწუხაროდ ისინი არასამთავრობო ორგანიზაციის საფარქვეშ მოქმედებენ და რეალურად ემსახურებიან კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მათ ქვეყანაში შექმნან ქაოსის ილუზია, ყველამ გაიგოს, ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის შესაბამისად ყველა უმკაცრესად დაისჯება!

**– თქვენ საკმაოდ სერიოზული ინფორმაციები ჩამოთვალეთ, რას აკეთებს სამინისტრო ამის პრევენციისათვის?**

– ჩვენ განვახორციელებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად. უკვე მიღებულია კონკრეტული ზომები. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მომზადებას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტს ვერ დავკონკრეტდები, – აცხადებს პრესასთან საუბრისას ალექსანდრე ჭიკაიძე.

**საკ. ინფ.**

***გაზეთ "ილორის" კომენტარი*** **– გველი მაშინაც კი საშიშია, როცა მკვდარია, რადგან თავზე რომ ფეხს დააბიჯებ, შეიძლება დაიგესლო. ამიტომ, ფრთხილად, მაგრამ საიმედოდ უნდა გავუჭეჭყოთ თავი იმ ავადსახსენებელ "ნაციონალურ მოძრაობას", რომელიც ცხრა წლის განმავლობაში გესლავდა საქართველოს. ისე, გულახდილები თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ უდღეური სააკაშვილი და მისი ნაცამფსონები პროვოკაციების დიდოსტატები არიან, რადგან გამოცდილება მათი დამგეშავი დაშნაკებისაგან მიიღეს. არა და, მართლა დაიჯერეს ამ არაკაცებმა, რომ პროვოკაციული "ვარდების რევოლუცია" მათ მოახდინეს, თუმცა, რევოლუციას რომ გულადობა და თავდადება სჭირდება, ამ ჩარჩებს ვინ მიაშავებს. ისინი ხომ ამერიკელმა სომხებმა მოიყვანეს ქვეყნის სათავეში, შევარდნაძისაგან წინასწარ მიღებული "გამარჯვების" გარანტიით.**

**თუ დაფიქრებულან მაინც, ვისი გმირობის იმედი აქვთ მიხეილ სააკაშვილს და მის ნაციონალურ ბრბოს, როცა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ?**

**ახლა ხომ აღარ ეყოლებათ 2003 წლის რევოლუციისას მათ საიმედო საყრდენად ქცეული კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურზანია, რომელთაც წინასწარ განაიარაღეს ძალოვნები და თავად შეუძღვნენ უგულავასა და კეზერაშვილისთანა ბაცნებს პარლამენტის შენობაში?**

**მაშ ვინ მოახდენს რევოლუციას?**

**იქნებ ხორციელად კვაზიმოდოზე, სულიერად კი ფელიქს კრულზე ბევრად უფრო მახინჯები გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე?**

**ან იქნებ წვერგაფანჩრული უტიფარი სომეხი ჩარჩი დავით დარჩიაშვილი?**

**ან იქნებ ნეხვნაჭამი გოჭივით სახემომრგვალებული გიორგი კანდელაკი?**

**ან იქნებ ტყვიამფრქვევივით მოლაპარაკე ლიყიანი ზურაბ ჯაფარიძე, რომელიც თავისი უნიჭობის ვუალირებას იმით ახდენს, რომ მისი ლაპარაკიდან აზრის გამოტანა არ შეიძლება?**

**ან იქნებ კლიმაქსმოძალებული ისტერიულად მოწიკვინე ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი?**

**ან იქნებ ფარმაკომაფიის ნათლიმამა გიგი წერეთელი?**

**ან იქნებ უტიფარი ელამი გიორგი ვაშაძე, რომელსაც ამას წინათ ძმა "გაუთხოვდა" და ამ მოვლენით გამოწვეულ სიხარულს თავს ვეღარ უჭერს?**

**ან იქნებ "ქართლის დედის" მაგინებელი სულით და სხეულით ქონდრისკაცი ზურაბ ჭიაბერაშვილი?**

**ან იქნებ სომეხი მედოლე ხაჩიკიანი – გოგა ხაჩიძე?**

**ან იქნებ არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფალი ზონის" შეფი, ყველასაგან მოძულებული და კომიკური ფიგურა კობა ხაბაზი?**

**ან იქნებ ის სახედაბიჟვინებული კახპა, "თავისუფალ ზონას" რომ მიუძღვის ხოლმე წინ სხვადასხვა სახის უზნეო პროვოკაციების მოსაწყობად?**

**ან იქნებ თავად მთავარი დაშნაკი, ჰალსტუხიჭამია მიხეილ სააკაშვილი, რომლის "გმირობა" თვალნათლად გამოჩნდა გორში 2008 წელს, როცა მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას ცხვირით ახნა მიწა?**

**მაინც სად შეიყარა ერთად ამდენი მახინჯი და გადაგვარებული?**

**დიდ ქვაბში რომ ჩაყარო, მათგან ერთ ნორმალურ ადამიანსაც კი ვერ გამოხარშავ!**

**მართლაც გასახარელი და სასიამოვნოა, რომ ეს საზიზარი არსებები ეთნიკურად ქართველები არ არიან.**

**გაბედონ და წამოიწყონ რაიმე პროვოკაცია – დარწმუნებული ვარ, რომ პოლიციას ჩარევა არც კი დასჭირდება, ისე აუგებს წესს ქართველი ხალხი.**

**თქვენი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ კი ნამდვილად ვისურვებდით პოლიტიკური სცენარის ამგვარად განვითარებას!**

# მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთში დაბრუნება!

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა სოხუმის დაცემისა და ქვეყნის სხეულიდან აფხაზეთის მოწყვეტის შემდეგ. დღემდე გაისმის მავანთა ოხვრა: როგორ დავკარგეთ აფხაზეთი?! ვერ გავრკვეულვართ, რასთან გვაქვს საქმე.

ხელისუფლებაც სდუმს.. არ არქმევს სახელს ქვეყანაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს. ეს მას ხელს არ აძლევს, რადგან საკუთარი წვლილიც გამოჩნდება მაშინ.

აფხაზეთის ტრაგედიის გენეზისი რთული და მრავალწახნაგოვანია. იგი წარსულისა და აწმყოს ურთიერთდაკავშირებულ არაგონივრულ მოქმედებათა ერთობლიობას ეფუძნება. დღემდე მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, მათ შორის: აფხაზეთი დავკარგეთ თუ გავასხვისეთ?! რა იყო ამისი უმთავრესი მიზეზი და შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების აცილება? რა იყო საჭირო საამისოდ?

აგერ უკვე 21 წელიწადი იწურება მას შემდეგ, რაც დავტოვეთ აფხაზეთი და დღემდე გრძელდება უთავბოლო, არაფრისშემცველი რიტორიკა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა და წარმოადგენს ქვეყნის ისტორიულ ოლქს, ხოლო თავად აფხაზები არაავტოქტონური მოსახლეობაა. აქედან გამომდინარე, მავანს მიაჩნია, რომ ყველაფრის თავი და თავი იყო აფხაზური სეპარატიზმი.

რა თქმა უნდა, აფხაზეთში არსებობდა ანტიქართული განწყობა. ის ათეული წლების განმავლობაში მწიფდებოდა და პიკს მიაღწია გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. საზოგადოების პოლარიზაციის და პოლიტიკური დაპირისპირების ნოყიერი გარემო თანდათანობით, ჩვენს თვალწინ ყალიბდებოდა. მაგრამ ჩვენი მხრიდან ერთი კონსტრუქციული ნაბიჯიც არ გადადგმულა, აფხაზურ მხარესთან უბრალო პოლიტიკური დიალოგის მცდელობასაც არ ქონია ადგილი. პირიქით, ვაკეთებდით ყოველივე იმით (ტოპონიმიკისა და დემოგრაფიული სურათის შეცვლით და აშ.), რაც უფრო აღრმავებდა დაპირისპირებას, გამოიწვევდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. ეროვნული ნიშნით ვემიჯნებოდით ერთმანეთს: ცალ-ცალკე ვქმნიდით მწერალთა კავშირებს, თეატრებს, საფეხბურთო გუნდებსაც და ბოლოს (დააკვირდით!), პარლამენტებსაც კი. აფხაზეთში ქართული მთავრობის – ქართველი მოსახლეობისათვის ცალკე მინისტრთა საბჭოს (ყველა სამინისტროთი და მათი ქვედანაყოფით, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურებითურთ!) შექმნასაც შევეცადეთ. ყველაფერი ეს ცენტრალური ხელისუფლების – სისხლიანი **„გოსსაბჭოს“,** მისი თავკაცის ბატონი შევარდნაძის წაყრუებით,მისი შენიღბული თუ აშკარა მხარდაჭერით ხორციელდებოდა,სისრულეში კი მოჰყავდა მის მიერვე აფხაზეთში შექმნილ **„ეროვნული ერთიანობის საბჭოს“** (სახელდახელოდ შექმნილი მე–5 კოლონის და მასში გაერთიანებული ქართული ცრუ-ინტელიგენციის) ლიდერების და უმაღლესი საბჭოს ექსტრემისტული ნაწილის მიერ (თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით). ისინი განუხრელად აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს და აფხაზი ხალხის სახით ქმნიდნენ მტრის ხატს, უბიძგებდნენ საზოგადოებას შეიარაღებული დაპირისპირებისკენ.

ასე რომ, აფხაზეთში პრობლემები იყო და სეპარატისტული განწყობა ადეკვატური მუხტით ძლიერდებოდა, მაგრამ ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობდა. ტანკები იქ არ იყო საჭირო! სხვა გამოსავლის მონახვაც, ცხადია, შეიძლებოდა. ბოლოსდაბოლოს, აფხაზეთი ბორბლებზე როდი იყო შეყენებული და მას ტერიტორიანად, მათ შორი აფხაზები, 250-ათასიან ქართული მოსახლეობასთან ერთად, ფსოუს იქით ვერ გადაიტანდნენ. მით უფრო, როცა ისინი გულწრფელად მოდიოდნენ კონსტრუქციულ დიალოგზე – ომამდე, ომის დროს და მის შემდეგაც. მაგრამ როგორც ჩანს, დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარება ხელისუფლებას არ აწყობდა, რადგან მრავალმხრივი პრობლემებისგან აზვირთებული ხალხის ენერგია მაშინ მას წასალეკად მიაწყდებოდა. საჭირო იყო ეს ენერგია სხვა მიზნისკენ მიმართულიყო...

ეს მიზანი რომც არ არსებულიყო, ხელოვნურად უნდა შეექმნათ. დიახ, ხელოვნურად! აფხაზეთში კი უკვე ყველაფერი მზად იყო ეთნოკონფლიქტისათვის და ხელისუფლებამ ეს შანსი გამოიყენა – **„სახელმწიფო საბჭომ“** გამოგონილი ვერსიით ჯავშანტექნიკა და კრიმინალური ელემენტებისაგან შემდგარი ბანდფორმირებები შეუსია აფხაზეთს. მანამდე კი ამ უკონტროლო ბანდამ რამოდენიმეჯერ გადაუარა სამეგრელოს, შეურაცხყო ძირძველი კოლხური მოსახლეობა, სულში ჩააფურთხა მას და ამით ზურგი მოურღვია მის მიერვე დაგეგმილ ომს აფხაზეთში, რათა მერე უპრობლემოდ ჩაებარებინა მტრისათვის. სწორედ ასე მოხდა, 1993 წლის 27 ივლისის – სოჭის ხელშეკრულების საფუძველზე უმაღლესმა სარდლობამ ცალმხრივად განაიარაღა ქართული მხარე და წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა აფხაზეთი მომხდურს.

სხვა ახსნას ვერ მოუძებნი იმ ფაქტს, რაც მოხდა...

კბილებამდე შეიარაღებული 9-10 ათასამდე ჯარისკაცი კისრისტეხით გამოიქცა აფხაზეთიდან და უიარაღო ქართული მოსახლეობა გააფთრებულ მტერს შეატოვა პირისპირ. **„მშობელ ხალხს“** უფრო უსაფრთხო გამოსასვლელი გზა ჩაუკეტეს ოჩამჩირის მიმართულებით და უსულგულოდ გაუყენეს საკენ-ჭუბერის ჯოჯოხეთურ ყიამეთს. ამ დროს, სარდლობამ საკუთარი შეიარაღებული ძალებით, პირველმა გააღწია სამშვიდობოს, სადაც აფხაზეთის ტრაგედიის სცენარის ავტორი და მთავარი რეჟისორი, თავის დამქაშებთნ ერთად, პატივით მიიღეს. შეჩვენების, ანათემისთვის გადაცემის ნაცვლად, ხალხისა და ქვეყნის მოღალატეს, ომში დამარცხებულ, ქვეყნის ტეტირორიების დამთმობ მთავარსარდალს, როგორც გმირს, ეკლესია აჯილდოვებს ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი – დავით აღმაშენებლის პირველი ხარისხის ორდენით.

აქ უნებლიედ გახსენდება ერის უგვირგვინო მეფის, ილია მართლის სარკაზმითა და გულისწყრომით ნათქვამი სიტყვები: **„არის კიდევ სადმე ერი, ჩვენისთანა ბედნიერი!..“** და ასევე დიდი აკაკის ისტორიული ფრაზა: **„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!..“**

აი, ის, რაც უნდა ითქვას მანამ, სანამ დავიწყებდეთ საუბარს აფხაზეთის პრობლემების მოგვარებაზე. მის შესაძლებლობასა და აფხაზეთისკენ მიმავალ გზებზე. წარსულის შეფასებისა და დაშვებული შეცდომების გონივრულად გაანალიზების, მათი გულწრფელი აღიარების გარეშე, საუბარი ამ საკითხებზე უსაგნო და უსაფუძვლოა. მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, დღემდე არა გვაქვს გაცნობიერებული, თუ რატომ, რისთვის დატრიალდა აფხაზეთის ტრაგედია; რა იყო საჭირო იმისთვის, რომ იგი ძირშივე აღკვეთილიყო. ვერც ურმის გადაბრუნების შემდეგ დავადექით სწორ გზას...

აფხაზეთის გასხვისების დაკანონებას ჯერ კიდევ მაშინ შეექმნა მყარი საფუძველი, როცა არალეგიტიმურმა ორგანომ, **„სახელმწიფო საბჭომ“** 1994 წელს გააუქმა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და ხელოვნურად შექმნა ქვეყანაში სამართლებრივი ვაკუუმი, რითაც იმწამსვე ისარგებლეს აფხაზებმა და მყისვე აღადგინეს 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. შიდარეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციით, შევარდნაძემ, პრობლემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანა და მერე თავად მიუჯდა აფხაზეთის წარმომადგენლებს მოლაპარაკების მაგიდასთან ხან ჟენევაში, ხან მოსკოვსა და ხან – სად, რითაც აღიარა აფხაზეთი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ასე გაუფორმა შევარდნაძემ აფხაზებს **„დამოუკიდებლობა“.**

დღესაც არ ვადგავართ სწორ გზას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, როგორც შევარდნაძის, ისევე მისი ნაშიერის, სააკაშვილის ხელისუფლებას და, შეიძლება ითქვას, ახალ მესვეურობასაც აღარ სურს აფხაზეთში დაბრუნება, მისი საქართველოს სამართებლივ სივრცეში დამკვიდრება. ეტყობა ისინი სიღრმისეულად ჩახედულნი არ არიან პრობლემის არსში, ან არიან დაგეშილები ქართველი ხალხის **„უგუნური მოყვარის თუ ჭკვიანი მტრის“** მიერ.

ომის დროს და მის შემდეგაც არაერთგზის მოგვეცა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ ჩვენგან ყველა მათგანი გამოუყენებული დარჩა. თავადაც არაერთხელ ვყოფილვარ მონაწილე და თანაავტორი ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული რამდენიმე ისეთი პროექტის, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასობრივ და უსაფრთხო დაბრუნებას და აფხაზეთის ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში მოქცევას, მაგრამ ისინი ყველა ჩაიშალა (ჩაშალეს). არ შეიძლება აქ გვერდი ავუაროთ ასეთ ფაქტსაც: სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე, საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს, ურეკავს ვლადისლავ არძინბა და სთხოვს მას: **„შემხვდეს შევარდნაძე, მზად ვარ მოლაპარაკებისათვის, სადაც გინდათ, როდესაც გინდათ“...** ბატონმა ალექსანდრემ პასუხად ჟენევის ფორმატი შესთავაზა, რაც ვ. არძინბამ ცივად უარჰყო – **„მოლაპარაკება ჟენევაში ერთია, მე კი პირადად შევარდნაძე მინდა შემხვდეს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ და გადასცეთ მას, რომ მე მასთან საუბრისთვის ვარ მზად, მოვდივარ დიალოგზე“.** ამ დროს შევარდნაძე სოხუმში იყო, რაციით დაუკავშირდნენ მას, მან კი ამგვარად დააკვალიანა საკუთარი აპარატის უფროსი ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე: **„გადაეცით საშას, უთხრას ვლადისლავ არძინბას, რომ მე ვერ მიპოვეთ!..“** (ალ. ჩიკვაიძე, **„პოლიტიკური ჭადრაკი, სამი სხვადასხვა ელჩის თვალით“**, თბ. **„ლოგოს არტი“**, 2004 წ.).

ვიმეორებ: ეს ხდება სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე. ედუარდ შევარდნაძე შეგნებულად გაექცა არძინბასთან დიალოგს და სამარცხვინო ომიდან ღირსეულად გამოსვლას. წარმოიდგინეთ, როგორ აისახებოდა ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რანაირი პოზიტიური სურათი გვექნებოდა დღეს – რამდენი სიცოცხლე გადაურჩებოდა სიკვდილს და რამდენი ოჯახი – განადგურებას. ესენი შეეწირნენ ერთი უგუნური და ავადმყოფური ამბიციების მქონე ბოროტი კაცის სატანურობას. თუ ვინმესთვის ეს არადამაჯერებელია, მოგიყვანთ ამ კაცის კიდევ ერთ შოკისმომგვრელ გადაწყვეტილებას, რომელსაც ვიშველიებ მისი სახელმწიფო მინისტრის, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის ინტერვიუდან: (გაზეთი **„კვირის ქრონიკა“**, 34 (452), 23–29, გვ., 2010 წ.)

2000 წლის მარტში ვლადიმერ პუტინი იგებს საპრეზიდენტო არჩევნებს. რამდენიმე კვირის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იგორ ივანოვი, ვაჟა ლორთქიფანიძეს გადასცემს პუტინის სიტყვებს: **„ინაუგურაციის შემდეგ მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც ვერ დავამთავრეთ მაშინ. შენ ჩამოხვალ მოსკოვში, მოგიპატიჟებთ აგარაკში და დავუძახებ ყველა მინისტრს, რომლებიც საჭირო გახდება ჩვენი მხრიდან. მთელ შაბათს ვიმუშავებთ, ვიმსჯელოთ და ამოვწუროთ კონფლიქტი. თუ შაბათი საკმარისი არ იქნება, ვიმუშავოთ კვირასაც, მაგრამ არ დავშორდებით ერთმანეთს მანამ, სანამ არ ამოვწურავთ კონფლიქტს. საჭირო იქნება აფხაზების ინტერესთა გათვალისწინებაც, მაგრამ საკითხი გადაწყდება საქართველოს ერთიანი საზღვრების შიგნით“.**

მაგრამ!.. რუსეთის პრეზიდენტ, ბატონ პუტინთან შეხვედრა, რომელიც დაგეგმილი იყო 15-16 მაისისთვის, ჩაიშალა – 4 მაისს ბატონმა შევარდნაძემ გადააყენა ვაჟა ლორთქიფანიძე დაკავებული თანამდებობიდან. რატომ?! პირველი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, ისაა, რომ მას ხელს არ აძლევდა პუტინი სახელმწიფო მინისტრს რომ ეპატიჟებოდა და არა უშუალოდ მას, – პრეზიდენტს. ვაჟა ლორთქიფანიძესთან რომ აპირებდა რუსეთის პრეზიდენტი აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვას და გადაწყვეტას, და არა მასთან! აი, სად მარხია ძაღლის თავი! **„თუ მასთან არა, მაშინ არავისთან!“.** სხვანაირად აფხაზეთი ვეღარ გასხვისდებოდა!

ადგილი ჰქონდა არაერთ სხვა დრამატულ შემთხვევასაც: არძინბას პირად წარმომადგენელთან ანრი ჯერგენიასთან მოსკოვში ხანგრძლივი და კონსტრუქციული დიალოგის შედეგად, მოვამზადეთ, ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული, დევნილი მოსახლეობის მასობრივი და უსაფრთხო დაბრუნების პროექტი, რომელიც დიპლომატიური არხებით გადაეგზავნა შევარდნაძეს, მაგრამ მან ჩვენ ახლოსაც არ გაგვიკარა! აფხაზეთში ჩვენი მხარის მიერ საგანგებოდ მოწყობილმა ტერაქტმა კი შეთანხმების განხორციელება საბოლოოდ ჩაშალა.

მაშინ ჯერ კიდევ ვერაფერს ვხვდებოდი, არ ვიცოდით რა მელონა, რა ხერხისთვის მიმემართა. მერე და მერე, სხვებთან ერთად, ცოტათი თვალები აგვეხილა და მივხვდით, გავაცნობიერეთ თუ როგორ მოქმედებდა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი **„დიდი“** პოლიტიკოსის, **„მსოფლიო დემოკრატიის მთავარი არქიტექტორის“,** ბატონი შევარდნაძის ცბიერზე უცბიერესი გონი: თუ მასთან არ სურთ, მაშინ არავისთან!..

ასეთი იყო თანამედროვეობის ამ **„დიდი პოლიტიკოსის“** ლოგიკა! ასეთმა მიდგომამ დააქცია ეს ქვეყანა, გააუბედურა ასობით ათასი ოჯახი **„თავის ქვეყანაში“**!.. ამ დროს ის ამაყობდა იმით, რომ თითქოს თავად დაანგრია გერმანიის გამყოფი ბერლინის კედელი; სანაცვლოდ მან **„თავის ქვეყანაში“**, ენგურის გასწვრივ აღმართა სიძულვილისა და მტრობის კედელი! ასე შეეწირა მის ავადმყოფურ ამბიციებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები. ამას წინ კი ელიტარულმა საქართველომ ზარ-ზეიმით გააცილა კაცი, როგორც ეროვნული გმირი, უკანასკნელ გზაზე. **კიდევ არის სადმე ერი, ჩვენისთანა ბედნიერი!..**

როცა ასეთი მუხანათები სხედან ქვეყნის სათავეში, წარმატებისთვის როგორღა უნდა მიგვეღწია, მით უფრო, როცა ასეთი მუხანათობა დაუსჯელი რჩება, მაგალითის ძალას იძენს და მეორდება. სწორედ დაუსჯელობამ განაპირობა ის, რომ წარსულში დაწყებული **„საქმენი საგმირონი“** არანაკლები წარმატებით დააგვირგვინა წინა ხელისუფლების პირმშომ და მიმდევარმა სააკაშვილმა მძინარე ცხინვალის დაბომბვითა და იქ ჯავშან-ტექნკის შეჯირითებით, რასაც მოჰყვა რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. აი, ამ საშინელებათა მეხამრიდად უნდა დაწესდეს ნებისმიერი მაღალჩინოსანის სრული ლუსტრაცია, სრული განჩხრეკვა, ჩვენი მომავალი თაობების უსაფრთხოება თუ გვავალია გონებადაუნჯგებულ პაპებს, მამებს, საზოგადოებას.

თუკი აფხაზეთი საბოლოოდ არაა გასხვისებული, მაშინ ნაცარს ნუ გვაყრიან თვალებში. სიმართლისა და მისი აღიარების გარეშე, ნუ მოვიტყუებთ თავს და ნურც იმ შედეგს მოველით, რასაც ასე სისხლხორცეულადაა დანატრებული ქართველი ხალხი, პირველ რიგში აფხაზეთიდან გამორიდებული მოსახლეობა. მხოლოდ დაშვებული შეცდომების გონივრული განსჯით, მათი ახლებურად დანახვით და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთისკენ მიმავალი გზებისა და ხიდების აღდგენა და მათზე გავლა. სიმართლით და მონანიებით შეიძლება მივუახლოვდეთ პრობლემას და მივუსხდეთ აფხაზეთის წარმომადგენლებს მოლაპარაკების მაგიდასთან. აქ სიმართლე მწარეა და არ არის ჩვენთვის მაინც და მაინც სახარბიელო, მაგრამ რამდენად სუსხიანი და სასტიკიც არ უნდა იყოს ჩვენთვის დამნაშავის მდგომარეობაში ყოფნა, უნდა ვაღიაროთ იგი. სიმართლე მწარეა, მაგრამ ის კურნავს! ძველი ბერძნების მოსაზრებით, ძალა სიმართლეშია და არა ღმერთში. მე კი დავძენდი: **სიმართლესა და სამართლიანობაში.**

გასაგებია, რომ სიმართლის აღიარება არ არის ყოველთვის ადვილი და მომგებიანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში, მაგრამ ეს აუცილებელია, თუნდაც შიდა მოხმარებისთვის. უნდა მოვეშვათ გაუთავებელ საუბარს აფხაზურ სეპარატიზმზე. ეს არაფრის მომტანია. იგი ხელს უმართავს გაუცხოების პროცესის გაღრმავებას, აფხაზ ხალხთან დისტანცირებას. მით უფრო, რომ პოლიტიკაში სიტყვა **„სეპარატიზმი“** შემოგდებულია ისევ იმათ მიერ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის, უფრო ეთნიკურად განსხვავებული ნაწილის მიმართ და ცდილობენ პასუხისმგებლობა მათვე დააკისრონ მიღებული უკუშედეგების გამო. ამის მაგალითი არაერთია.

დაპირისპირება და გაუცხოვება ძლიერ გაღრმავდა და შორს წავიდა. თუ არ არის გვიან, აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით – შემოსაბრუნებელია ჯერ აფხაზები, აფხაზი ხალხი და შემდეგ – აფხაზეთი! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზი ხალხის ნდობის აღდგენით, მათი ნებით და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია!

**ნაპო მესხია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# საბაღანო ემუორეფი

უსასურველო არ იქნება, მოზარდებმაც შეიყვარონ „ილორი“. უშუამავლოდ ასახსნელ გამოცანებს ვთავაზობ უსუარებს „ნანინაზე“. მე-17-სთან მეთანაავტორება ირა ხუბულავა (ოდიში-სინწა), ხოლო მე-20-სთან დათო გ. ქირია (ქირიათა).



1. ტკიბირს გატკაპურ ცირუ,
ნისორს მუ გიაცირუ?

2. მუ – გითოქილი
თი ნაწისქვილი
დო ჭკიდო ჭვილი?

3. ნოცერო,
ქვირო დო
ღარღილო,
მი ირთუ,
მუთ გირთუ
ნაწილო?

4. ქვირ სუმო გორთე ცირუათ,
ხეთ მუში გოტკაპურუათ?

5. უჯგუშ რე,
მუში ჭკუაშა?
ბჟას ვერზენს
მოგანუაშა.

6. თი სამარწვენე,
მუთ დემარწვენე? –
ბჟა მორჩხეთ ოკო,
დუღათი ვენე.

7. ართუცფას ქომიწუე –
მუთ ოკო დანაწუე?

8. მუს ირზენს დონაწაფილი?

9. ეხანს დო დაშაქვანს,
დაჸოთანს, დარღვანს,
ნაშიერს მუ დო მუ?

10. დო ეთი ეხელეფს
ვაკათუ შხვაფერი,
არძო რე ართფერი.
მუ ფერი?

11. მუ იჸი დოხაწაფილი?

12. გოხვალამ მესხი მითა:
გუსვია მუს ცვალმითა?

13. ჩინჩოლია ცვალ ჭყინტუ
ჩხე ღუმს აშაჭაბუნი,
მუ გემოშა გაყინტუ
ცვალმითამი გაფუნი.
დო ქომგამი: პირველო
მიში ხეშე გასუნი.

14. გვარეფი გიჩქუდას
ირთუდას ოთხონი
ნინათკილს ორგუდას
ზოხო დო ზოხონი.

15. აბა დო, აშო რჩქილა:
მუ გვარს წუმუხე
„რჩილა“?

16. „ცვალმითა“ დო „მითაჟამი“
მის ცენს პატის, ქომიგამი.

17. ადრე გეშეჸონუ-და,
ნოდის ჯგირ დღა აჸუაფ,
გვიანოვო, მუშ გოკო,
ჭვიმას მუ გაბარგუაფ?
ვარა ამდღარ შქირენას
ტყურათ ვადგახარჯუაფ?
პატიცემა ნასხებუთ
ძვირო გინგაგაფუაფ.
ართ სუაში ეკულა
მუ რე, ეკობარგანი,
ნოდიშ დღა რე გეკულა,
ჭვიმაქ მაჭიშუანი?
ირო სქანდა ჩოდ-და მის,
ხოლო ჭუმეშ გეღანი?
პატი იშენ ოკო ცე,
ოჭკუმან დო გეშვანი.
ვერწუმუ-და, ვეჩქარა
ნოდის აკუძახენი,
ხომ ტაროზიშ გოვალუ
გარანტია მართვენი?
მუ რე თი მენცარეფი
სანოდე დღა უჩქუნი?
ქუდუჯერე, ცვანეფი
ჩხანას ეგაბარგუნი?
ექქაფა, ხანდა წკმა
ართმაჟირას ენოდე.
მუმაშ ჭიშკარს ბერგამო
მუჟანს მადირთ მენოდე?

18. დეი ვარცუნდუკონი,
ვაგათხუებედკონი,
ბაბას ქვიშილ ვაცვენუდ,
დეი დიაშ და რენი
უჩქიმეთი გარჩქენუდ.
დო, გურცუჯო მარჩქილი:
დიასქანს მუ აჸუაფ
ბაბა სქანიშ ქვიშილი?

19. ჯიმალაფილი,
ჯიმაჩაფილი,
შინაარსობა
რთილი.
ღურელ ჯიმაში
მანგიორობა
ნამუშა იჸიდ
თხილი?

20. გორგილაფირი?
შერგილაფირი?
ნამუ გინაღურ
ჩიონს?
ჟირშე ართის ხვად
ჩხე ჩილამური,
ვეიაჸუნუ ცოონს.

## ენწყუმა:

1. ქვირი.
2. სიმინდი.
3. ქვირი, ცირუათ.
4. ტკიბირიში.
5. ჩხოუში.
6. ხაწათ.
7. ნაწით.
8. ჭყინტ ცვალს.
9. ეხანს კამეში, დაშქვანს ცხენი, დაჸოთანს რინტუ, დარღვანს ღეჯი.
10. უჩა.
11. მარწვენი.
12. ცვალს.
13. მითა მესხიში ხეშე.
14. ხუფაცარია (ხუ, ფა, ცა, რია).
15. ხარჩილა.
16. მითა მესხის.
17. ქოთომეფი. ბარგუა ჟამს ადრე ეშაჸონუაში გოთანელს.
18. დაში ქომონჯი.
19. ჯიმაშ მანგიორო გიშაგორილი „საჯიმაჩაფილოშა.“
20. ცოცხალი: შერგილაფირი.

ბეჟით ჯალაღონია

## პოეზიის კუთხე

### კოლხეთს

ვუძღვნი მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ბ-ნ კლიმენტი შელიას ხსოვნას

*იესო-უფალო, მიტომ*
*მოხვედი:*
*ჩვენთვის გეკურთხა დიდი*
*კოლხეთი!*

ვერ დაგელია მტერი მომდური,
ვინ დაითვლიდა მმუსრავ კაეშანს;
ჰკითხე კოლხეთის ციხის ქონგურებს,
ბევრჯერ სუდარაც ნისლად დაეშვა.

იყო ბრძოლა და რა შერკინება...
დიდება შენდა შვილთა გაჩენას:
ცხრაჯერ სიკვდილიც ვერ აკვდინებდა
მებრძოლს სიცოცხლის გადასარჩენად.

მრავალ საგმირო საქმეს ზღაპრული
შენი შვილების ჰკითხეთ ეგრისსაც,
ღვთიური მადლი, პეშვით ნაპკური,
შენი შვილობა ვისაც ეღირსა.

ვერავინ მნახავს დარდით მოცელილს,
თუ სიჭარმაგის დღენი მიქრიან;
კვლავ ის ბავში ვარ შენზე მლოცველი
და სასოებაც შენზე ფიქრია.

შენზე მლოცველიც ვიტყვი რატომ ვარ,
რადგან მადლი ხარ ზენა განგების;
ბედმაც უშენოდ რომ არ დამტოვა,
ვითარც კოლხური ტკბილი ჰანგები.

მნათობთა ფერი იმ ოქრო-ვერცხლის,
ჩემს გულში შენით დანაბადია.
დედა-შვილობას ვერაფრით შეცვლი,
თუმც ლექსის მეტი რა მაბადია?!

მინდა ვაუწყო აქ მთელ სამყაროს,
თავისუფლების ალამის შრიალს:
ერთი წვეთი ვარ შენი ცხრა წყაროს,
ალალი გულიც გადამიშლია!

როგორ მომინდა იმ მოლიკლიკე,
შენი მკერდიდან ნექტარს მასმევდი;
მინდა გავუყვე იმავ ბილიკებს,
კვლავ დავეწაფო მთელი არსებით.

არ ემონები დროთა დინებას,
მარგარ ვარსკვლავო, ჯანო მხარულის;
კოლხეთის ცაზე მოსავლინებლად,
იმედი, რწმენა და სიყვარული!

ისე გაღმერთებ ვითარც სულ ადრე,
ვერ მომაყენებ ავდარო ზიანს;
რადგან სიცოცხლის დასასრულამდე,
კოლხეთი ჩემი ავგაროზია!

ბურამ ჯიქია,
ჩხოროწყუ, სოფ ლესიჭინე

# "არტ-გენის" ფესტივალზე

მიმდინარე წლის ზაფხულში ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც უკვე 11 წელია ემსახურება ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან წარდგნენ ფესტივალზე ფოლკლორული ანსამბლები. გასულ წლებთან შედარებით სენაკის მუნიციპალიტეტი გაცილებით მეტი ანსამბლებითა და მრავალრიცხოვანი პროგრამით იყო მიწვეული ფესტივალზე. ესენია: სენაკის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები: **„ეგრისი“** და **„კოლხური ტრიო“**, ქალაქ სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი **„კოლხი“**, სენაკის სამუსიკო სკოლასთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი **"მორდუ"**, ფოლკლორული ანსამბლები: **„გოგალაი“** და **„კოლხიდა“**.

2014 წლის ფესტივალ **„არტ-გენი“**-ს, ორგანიზატორთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ანსამბლები: **„კოლხური ტრიო“**, **„გოგალაი“** და **„მორდუ“**, როგორც საუკეთესონი, მიწვეულნი იყვნენ გალა კონცერტზე, რომელიც გაიმართა ამ დღეებში.

***სიახლეები ნაციონალთა ბუნაგიდან***

# გიორგი ვაშაძის ძმა „გათხოვდა“

მას შემდეგ რაც, ახალმა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამაც **ლგბტ** პირებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. უფრო მეტიც, იმ დონის წარმატებულ ხელოვანს, როგორიც თამარ ივერია, თავისუფალი აზრის გამოხატვა **ლგბტ** პირთა მიმართ, საკმაოდ ძვირად დაუჯდა – ევროპის ცნობილ სოპრანოს, მუსიკალურმა სამყარომ თითქოს ზურგი შეაქცია. თამარმა ხსენებულ პირებს ბოდიშიც მოუხადა. ის ასევე **„იდენტობის“** ხელმძღვანელ ირაკლი ვაჭარაძესაც შეხვდა, რომ არა თვითონ თამარის კეთილი ნება, მის კარიერას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. ვაჭარაძესთან შეხვედრის შემდეგ კი, მან **ლგბტ** პირთა პატივსაცემად საქველმოქმედო კონცერტიც დაგეგმა.

შექმნილმა მდგომარეობამ საქართველოში, წაახალისა განსხვავებული ორიენტაციის პირთა მიმართ მიმბაძველობაც და ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ცოდვად აღიარებული სოდომ-გომორი. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ **ლგბტ** პირთა მიმართ, უარყოფითი აზრის გამოთქმა ცოდვაა, ხოლო მეორე ნაწილი, თვლის, რომ განსხვავებული ორიენტაციით ცხოვრების წესია ნორმა. ამიტომ, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უცხო და დასაძრახი აღარ არის ერთი სქესის ადამიანთა თანაცხოვრება ქორწინების გარეშე.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ კინოთეატრ **„პრომეთეს“** ხელმძღვანელმა გაგა ჩხეიძემ, რომელიც წარსულში კინემატოგრაფიის ცენტრის დირექტორის თანამდებობას იკავებდა, 2007 წელს თავისთან სამუშაოდ დათო ვაშაძე მიიყვანა, რომელიც **„ნაციონალური მოძრაობის“** ერთ-ერთი ლიდერისა და დეპუტატის, გიორგი ვაშაძის ძმაა. დათო ვაშაძე კინემატოგრაფიის ცენტრში დღემდე ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსია. როგორც კინოთეატრ **„პრომეთეს“** თანამშრომლები ამბობენ, სანამ გაგა ჩხეიძე დათო ვაშაძეს სამსახურში თანაშემწედ აიყვანდა, ისინი მანამდეც ურთიერთობდნენ და ეს ურთიერთობა არ იყო ჩვეულებრივი. ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ინფორმატორი **„ექსკლუზივ ნიუსთან“** საუბარში საჯაროდ აცხადებს, რომ ვაშაძესა და ჩხეიძეს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. ახლა კი გადაწყვიტეს, რომ საზოგადოებას არ დაემალონ. ამიტომ გაგა ჩხეიძემ ვაშაძესთან ურთიერთობა **„დააკანონა“** და ისინი დღეს ერთად ცხოვრობენ. მოკლედ, გიორგი ვაშაძეს ძმა **„გაუთხოვდა“**. **„დღეს აღარ არის ის, რაც 20 წლის წინ იყო, დღეს არც სინდისია და არც ნამუსი“**, – აცხადებს კონფიდენციალური წყარო – **„გიორგი ვაშაძე, რომელსაც დიდი პრეტენზია აქვს ქართველობაზე და კაცობაზე, საკუთარი ოჯახის უზნეობაზე დაფიქრდეს. ვულოცავ მას ძმის გათხოვებას და მთელი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძმების „გათხოვება“ მიგველოცოს. იმ ქვეყანას რა ვუთხარი, სადაც ვაშაძისნაირი გარყვნილი ოჯახის შვილები წესიერ ადამიანებს ნერვებს უშლიან და მორალს უკითხავენ. მაგ ბანდიტის ადგილი ციხეშია, ეს არის კაცი, რომელიც ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებით არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი თანამონაწილე იყო. გიორგი ვაშაძე უფრო მეტად საშიშია ქვეყნისთვის, ვიდრე მისი „ახლადგათხოვილი“ ძმა“.**

კინემატოგრაფიის ცენტრის რამდენიმე თანამშრომელმა გაგა ჩხეიძის და დათუნა ვაშაძის რამდენიმეწლიანი სასიყვარულო ურთიერთობა დაადასტურეს.

ჟურნალისტი შეეცადა დათო ვაშაძესთან დაკავშირებას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

# ფაშიზმს მშვიდობა ხელს არ აძლევს — ფაშიზმის სტიქია ომია!

მიუხედავად სამშვიდობო მოლაპარაკებებზე მიღებული შეთანხმებისა უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მაინც არ აპირებს, ჯარი დაკავებული პოზიციებიდან გაიყვანოს. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა. კითხვაზე, არის თუ არა მზად უკრაინის ხელისუფლება მოლაპარაკების თანახმად, ჯარი დაკავებული პოზიციებიდან გაიყვანოს, პოროშენკომ უპასუხა, რომ ტერიტორიების დატოვებაზე ვერ ისაუბრებს, რადგან საუბარია უკრაინის ტერიტორიებზე.

როგორც პოროშენკომ აღნიშნა, დაახლოებით სამი თვის წინ, როდესაც ის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს, დონბასში ტერორისტების კონტროლქვეშ იყო ტერიტორიების დიდი ნაწილი.

**“დღეს მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები ორ მესამედამდე შემცირდა და ეს არის უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატება”,** – განაცხადა პოროშენკომ.

მისი თქმით, საერთაშორისო მხარდაჭერითა და **ნატო**-ს სამიტზე მიღებული რეზოლუციით კმაყოფილია. ამასთან, მას დიპლომატიაში მუშაობისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების დიდი გამოცდილება აქვს და არასდროს უნახავს, რომელიმე ქვეყანას ისეთი დონის საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონოდა, რომელსაც უკრაინა იღებს.

პოროშენკომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ **ნატო**-ს რამდენიმე ქვეყანამ მზადყოფნა გამოთქვა უკრაინას თანამედროვე იარაღი მიაწოდოს, თუმცა ამ ქვეყნების დასახელებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

**“უკრაინას პირველად შესთავაზეს თანამედროვე იარაღი ქვეყნის ტერიტორიების დასაცავად. ეს არ კეთდება იმისთვის, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ ამ კონკრეტულ ომში. ეს კეთდება იმისთვის, რომ შევძლოთ ევროპული უსაფრთხოების სისტემა შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, არავის აქვს ილუზია, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედროები იბრძოლებენ უკრაინის ტერიტორიაზე, უკრაინის დემოკრატიისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცად. ჩვენ ჩვენი თავის იმედი გვაქვს, მაგრამ სასიცოცხლოდ გვჭირდება ფინანსური და ტექნიკური დახმარება”,** – განაცხადა პოროშენკომ.

რაც შეეხება კითხვას, რამდენად არის დარწმუნებული, რომ უკრაინის აღმოსავლეთში შერიგება შეიძლება იყოს მიღწეული, პოროშენკომ აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული კითხვა და ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული არ არის.

**“იმაში დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო და მე, როგორც ამ სახელმწიფოს ლიდერი, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგუროს, რომ შეჩერდეს ომი, შეწყდეს მშვიდობიანი მოსახლეობის და უკრაინელი ჯარისკაცების მასობრივი ხოცვა. ომი გაგრძელდება თუ რუსეთის ჯარები განაგრძობენ ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნას და ამით დაზარალდება დონეცკისა და ლუგანსკის ოლქის მოსახლეობაც”,** – განაცხადა პოროშენკომ და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ადამიანს სურს მშვიდობა.

უკრაინის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ ქვეყანაში მშვიდობა დამყარდეს.

მაგრამ რეალობა დიამეტრალურად განსხვავდება არსებული მდგომარეობისაგან და ამას ლამის იძულებით აღიარებენ ის არასამთავრობოებიც კი, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებას. მაგალითად, გერმანელი ფაშისტებიც კი არ სჩადიოდნენ იმგვარ უმსგავსოებას, რასაც დღეს უკრაინის სადამსჯელო რაზმები იყენებენ – ისინი წითელი ჯვრის მანქანებით ახდენენ მძიმე საბრძოლო ტექნიკის გადაადგილებას, რაც კატეგორიულად აკრძალულია საერთაშორისო ნორმებით. მაგრამ რომელი ჰუმანური ნორმების დაცვაზე უნდა ელაპარაკო იმ ხალხს, რომლებსაც გროშის ფასად არ უღირთ საკუთარი ხალხის ცხოვრება, ან კი, საერთოდ, შეიძლება **“საკუთარი”** უწოდო იმ ხალხს, რომელსაც ბომბებს უშენ, ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს ხოცავ განურჩევლად, სასწაულებრივად გადარჩენილებს კი საცხოვრისებს და საარსებოდ აუცილებელ ინფრასტრუქტურებს უნგრევ და მშობლიური კერიდან ერეკები მოუსავლეთში!

ყოველივე ეს მხეცობები კარგად ჩანს ქვემოთ გამოქვეყნებულ ფოტოებში.

ასე იყო და ასე იქნება მანამ, ვიდრე ფაშიზმი იარსებებს დედამიწის ზურგზე, რადგან ფაშიზმის სტიქია ომია და არა მშვიდობა!

თანაც, სხვას რას უნდა მოელოდე იმ ხელისუფლებისაგან, რომელსაც მრჩევლად ჰყავს პირწავარდნილი ფაშისტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც თავად დაუშინა ჭურვები მძინარე ქალაქ ცხინვალს!

**“ჩვენ მზად ვართ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა. მე მზად ვარ ვიბრძოლო ჩემი ქვეყნისთვის და მისთვის თავი გავწირო კიდეც. გარწმუნებთ, რომ ასე ფიქრობს უკრაინის მოსახლეობის უმეტესობა”,** – ჰებელსისებური მონდომებით ცრუობს პეტრო პოროშენკო.

ფაქტები კი სულ სხვა რამეზე მეტყველებენ და მიუხედავად პოროშენკოს ხელისუფლების ცრუ შეპირებებისა, უკრაინელი პატრიოტები წარმატებულად უმკლავდებიან ბანდერელი ნეოფაშისტების ბარბაროსულ შემოტევებს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მალე დაისადგურებს მშვიდობა უკრაინის მრავალტანჯულ მიწაზე!

ჯერჯერობით კი გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს უკრაინაში. ქვეყნის ფაშისტური ხელისუფლების მიერ მკაცრი სადამსჯელო ოპერაციების ჩატარების შედეგად აღმოსავლეთ უკრაინიდან მილიონამდე ადამიანი იძლებული გახდა, სახლკარი დაეტოვებინა,– იტყობინება გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველო ლტოლვილთა საკითხებში. ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო სამი კვირის განმავლობაში ლტოლვილთა რიცხვი, რომლებიც ბრძოლების რაიონებიდან უკრაინის სხვა რეგიონებში ან რუსეთში გადასახლდა, თითქმის სამჯერ გაიზარდა და ახლა დაახლოებით 260 ათას კაცს შეადგენს. აგვისტოს დასაწყისში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები 117 ათასი უკრაინელი ლტოლვილის შესახებ იტყობინებოდნენ.

ამასთან, გაეროს მონაცემებით, 814 ათასამდე უკრაინელი წლის დასაწყისიდან რუსეთში გადასახლდა.

**„დონეცკში, ლუგანსკში და დონეცკის ოლქის სამხრეთში ხანგრძლივი ბრძოლების გათვალისწინებით, ვშიშობთ, რომ ლტოლვილთა რიცხვი კვლავაც გაიზრდება“,**– განაცხადა სამმართველოს ევროპის ბიუროს ხელმძღვანელმა ვინსენტ კოშტელმა.






*დონეცკელი სახალხო მოლაშქრეების დედებს შვილების მოჭრილი თავები გაუგზავნეს!*

# გვანჯი დარასელიას წერილი ბატონ ნაპოლეონ მესხიას

***ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი უაღრესად საინტერესოა. ის იმსახურებს, რომ ფართო საზოგადოებისთვის იყოს ცნობილი. ეს საჭიროა ყველასათვის და პირველ რიგში კი იმათთვის, ვისაც მოაქვს თავი პოლიტიკოსად. დააკვირდით, ყური მიუგდეთ, როგორ აზროვნებს უბრალო გლეხკაცი. დააკვირდით კარგად...***

***გთავაზობთ მის წერილს ყოველგვარი რედაქციისა და კომენტარის გარეშე. გაეცანით და თავად განსაჯეთ!***

***ნაპო მესხია***

დიდად პატივცემულო ბატონო ნაპო, ვკითხულობ თქვენს წიგნს **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“**, როგორც ქართულად ასევე რუსულადაც. მიხარია, რომ ამქვეყნად ყოფილა ადამიანი ვისი აზრი ზუსტად ემთხვევა ჩემსას, ერთ-ერთი გლეხკაცის აზრს. ნება მომეცით გაგაცნოთ ჩემი გლეხური შეხედულებები, თქვენისთანა ბუმბერაზ პოლიტიკოსს, საღად მოაზროვნე პიროვნებას.

ბატონო ნაპო, მთელი ჩემი ცხოვრება აფხაზეთში – გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში გავატარე. 1948 წელს, 18 წლის ყმაწვილი ჩავედი გაგრაში და 15 წელი დავყავი იქ – ჯერ ვსწავლობდი, მერე ვმუშაობდი. თამაზ ნადარეიშვილის მამას შორიდან ვიცნობდი, მგონი ბანკში მუშაობდა. 1959 წელს დავსახლდი სოხუმში – ლეჩკოფში. პარალელურად ოჩამჩირეში პორტის ტერიტორიაზე ავაშენე საკუთარი სახლი, გავაშენე ბაღი, მიყვარდა ფიზიკური შრომა, ამავე დროს პოლიტიკაც. თოხითა და ბარით რომ მივდიოდი სამუშაოდ თან მიმქონდა საწერკალამი და რვეული, რადგან ფიზიკური შრომის დროს ხშირად მებადებოდა აზრი. ჩემს ცხოვრებაში 24 საათი ვფიქრობდი საერთო საქმეზე. ჩემი ოჯახი ნახევრად ქართული, ნახევრად აფხაზურია. მეუღლე აფხაზია, კორტავაა გვარად, ოჩამჩირიდან, რძალიც აფხაზია ათარიდან, გვარად ბეჭვაია. რძალი ქორეოგრაფი იყო, ჩემი შვილი გია სალამურზე უკრავდა იმავე ანსამბლ **„შარატინში“**, რომელსაც ედიკ ბებია ხელმძღვანელობდა. ვახტანგ ვოზბა ჩემი შვილის ქვისლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ სისხლითა და ხორცით აფხაზებთან ვარ გათქვეფილი. და არა მარტო მე, არამედ აფხაზეთში მცხოვრები ათიათასობით ქართველებიც. ჩვენ, მეგრელებს, აფხაზებზე ახლოს დედამიწის ზურგზე არავინ არ გვყავს. ჩვენ, ტყუპი ძმებივით ვგავართ ერთმანეთს გარეგნობით, კულტურით, წესითა და ადათით, პურმარილით, სტუმართმოყვარეობით. ოდითგანვე ჩვენს წინაპრებს უყვარდათ ერთმანეთი. ჩვენი ახალგაზრდები შერეულ ოჯახებს ქმნიდნენ, რითაც კმაყოფილი იყვნენ მათი მშობლები. მეგრელებისთვის აფხაზური ენა და სახელები მეტად საპატივცემულო და საყვარელი გახლდათ. მახსოვს, პატარა ვიყავი, გალიდან სტუმრები რომ მოდიოდნენ ცხენებით, მშობლები იტყოდნენ: აფხაზები მოვიდნენო. მაშინ ენგურსგაღმელ მეგრელებს ყველას აფხაზებს ეძახდნენ. მთელი დღე პატეფონს ვუსმენდით, ვამღერებდით აფხაზურ სიმღერებს. ძველად ბაბუაჩემს ხარკამეჩით გუდაუთიდან ღვინო მოჰქონდა. ერთხელ, ბაკურიანში ყოფნისას, გუდაუთელი აფხაზი შემხვდა. გულში ჩავიკარი, გადავეხვიეთ ერთმანეთს როგორც დიდი ხნის უნახავი ძმები.

ბატონო ნაპო, ჩემს თავს ვეკითხები მთელი 24 საათის განმავლობაში, რა მოხდა, რომელმა სატანამ დაგვინგრია ეს ბედნიერი ცხოვრება, ძმობა, ნათესაობა, სიყვარული და ა.შ. ვიცით ყველამ კარგად, მაგრამ რატომღაც ყველა სდუმს. როდემდე ასე? ალბათ ეს გაგრძელდება მანამ, სანამ თქვენისთანა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები არ გამოჩნდებიან და ყველაფერს არ დაარქმევენ თავის სახელს. სანამ ეს არ მოხდება აფხაზური საკითხი მოუგვარებელი დარჩება. არავისთვის არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ **„при союзе абхазцы были ущемлены“**, იყო დრო აფხაზეთში აფხაზები არ ჩანდნენ, არც ქუჩაში, არც სახელმწიფო სტრუქტურებში. როგორც ვიცით სტალინისა და ბერიას მერე გამოჩნდნენ და თანდათან დაიწყეს ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეს ბუნებრივია, აფხაზებიც ისეთივე ადამიანები არიან როგორც ქართველები, რუსები და სხვები. მახსოვს ვლადისლავ არძინბა გამოვიდა საბჭოეთის ბოლო სესიაზე და განაცხადა: **„Когда исчезают рыбы, их заносят в красную книгу, а когда исчезает народ – молчат“**. იმ დღიდან დაიწყო მათი გამოსვლები. მე ვეთანხმები ვ. პუტინს რომ თქვა **„საბჭოთა კავშირის დაშლა იყო კატასტროფა ყველა საბჭოთა ერებისთვისო“**. ჯერჯერობით ასეა და მომავალი ღმერთმა იცის როგორი იქნება. ჩემი გაგებით, ნაციზმი, შოვინიზმი, სეპარატიზმი, ფაშიზმი ერთი და იგივეა.

სტალინი თავის მე-5 ტომში წერს, ქართველები ჩაგრავდნენო აფხაზებს. ამის მოწმე მეც ვარ. ასე იყო თუ ისე, ვიყავით ერთად ჭირში და ლხინში. მიუხედავად ამისა აფხაზები დღედაღამ ფიქრობდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებაზე. ამ მიზნის მისაღწევად აფხაზებმა ქართველებზე უკეთესად გამოიყენეს ყველა ბერკეტები და კიდეც მიაღწიეს მიზანს. ძნელი სათქმელია იყო თუ არა აფხაზებისთვის თვითმიზანი განედევნათ ქართველები აფხაზეთიდან. მე ასე ვფიქრობ, რომ ყველა ქართველის – არა. ჩვენს ვაიპოლიტიკოსებს დანაშაული რომ არ ჩაედინათ ქართველთა ხელშეუხებლობა გარანტირებული იყო.

არძინბა ტრაგედიის წინა დღეებში მიმართავდა ქართველებს „давай братья в месте будем защищать Абхазию от бандитов“. კარგი იყო ავტომატები არ აგვეღო და ნეიტრალური პოზიცია დაგვეკავა, კუდში არ გავყოლოდით **„ნალიოტჩიკებს“** ავტომატით ხელში.

ბატონო ნაპო, მე პირადად არ მიმიღია მონაწილეობა ამ უაზრო სისხლისღვრაში. ომამდე სულ აფხაზების გვერდით ვიყავი. მონაწილე ვარ თითქმის ყველა მათი ყრილობებისა. ხშირად გამოვდიოდი სიტყვით, ვატყობდი, რომ უხაროდათ ქართველის გამოსვლა, მათს გვერდით ყოფნა. ხშირად მიწვევდნენ აფხაზეთის რადიოსა და ტელესტუდიებში. ვწერდი საგაზეთო სტატიებს ქართულ გაზეთ **„აფხაზეთის ხმა“**-ში **„ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ“, „РЕСПУБЛИКА АБХАЗИЯ“**-ში **„разобщенность не выгодно никому“** და სხვა. სიტყვით გამოვსულვარ მთიელთა წინაშე. აფხაზები ხშირად მეკითხებოდნენ, რატომ არ მოდიან ქართველები ჩვენთანო. მე თითქმის ყველა აფხაზეთის ლიდერი მიცნობდა: ვ. არძინბა, ს. შამბა, ზ. აჩბა, ს. ბაღაფში, ვ. კვარჭია, ვ. ზანთარია და სხვები. ოცდაოთხი საათი პარლამენტის წინ ვიყავი ატუზული, მუხლჩოქში ვეხვეწებოდი ყველას, რომ არ მომხდარიყო ძალადობა. ვ. არძინბას წერილიც კი გადავეცი და როგორც მითხრეს მან ჩემი წერილი პარლამენტარებს გააცნო. მახსოვს ერთხელ სხდომიდან გამოსული სერგეი ვასილის ძე ბაღაფში ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მანუგეშა: **„Гванджи, дорогой, не переживайте так сильно, не бойтесь, Эдуард Амвросович ни как не допустит на абхазской земле второго карабаха“**. მე დავფიქრდი და ვუთხარი **„вы очень ошибаетесь“**.

მეორე დღეს – 1992 წლის 11 აგვისტოს ვეწვიე თბილისს, პირველად შევუარე პრესცენტრს და ვალერი კვარაცხელიას ჩემი წერილები დავუტოვე პრესისთვის. მოვითხოვე ტელეეთერში გამოსვლა, რომ მიმემართა ქართველებისათვის – არ მომხდარიყო თოფის გასროლა ძმებს შორის. ვალერი კვარაცხელიამ გულგრილად მიმიღო, წერილი უჯრაში შეაგდო და მკითხა: რა ამბავია თქვენში, მეგრული დროშა აგიფრიალებიათო. აფხაზეთზე ერთი ხმაც არ ამოუღია. თბილისელი პოლიტიკოსები მხოლოდ იმუქრებოდნენ და სხვა არაფერი. ამის მერე შევხვდი ჩემთვის კარგად ნაცნობ სახელმწიფო საბჭოს წევრ ჯანსუღ ჩარკვიანს. კაბინეტის კარი შევაღე და რომ შევედი, გამიკვირდა ცივი თვალით რომ შემომხედა. მე ვუთხარი, ბატონო ჯანსუღ, რა ბზიკმა გიკბინათ ასე რომ მხვდებით-მეთქი. ის წამოხტა თავისი ჩვეული მანერით და ავტომატივით მომახალა: რომელმა ბზიკმა მიკბინა ბატონო და თქვენმა მეგრულმა ბზიკმაო. მსოფლიო პოლიტიკოსს ვაცილებდით მე და ვალერი კვარაცხელია სამეგრელოში და წალენჯიხაში მეგრელი ქალი დაიკუზა და თეთრი მეგრული ტრაკი უჩვენა შევარდნაძესო. სენაკში კი კვერცხები გვესროლესო. თქვენს დამპალ გამსახურდიას რომ არ ჰქონოდა **ია**-ზე დამთავრებული გვარი, ის არ მოუვიდოდა რაც მოუვიდაო. მას ივანე ჯავახიშვილი დაავიწყდა და თავის მამას კოსტაიას დაბადების დღე გადაუხადაო. თქვენი მეგრელი ბერია მოვიდა და დედაჩემს ეჟოვის სურათი ჩამოახსნევინა კედლიდანო. ეხლა, რომ ჩახვალ თქვენს მხარეში, უთხარი აფხაზებს და მეგრელებს, რომ არის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება შევარდნაძის ხელმოწერით, სამ დღეში მოვდივართ 170 ტანკით და ერთ დღეში ზვავივით გადაგივლით მეგრელებსა და აფხაზებსო. მე ვერ მოვითმინე, შევაჩერე გლეხმა სახელმწიფო საბჭოს წევრი – შევარდნაძის მარჯვენა ხელი და ჩემი გლეხური გაგებით პასუხი გავეცი: თქვენისთანა ვაიპოლიტიკოსები დაღუპავენ საქართველოს-მეთქი. ვიცი თქვენ მოხვალთ სამ დღეში და იოლად გადაუვლით მეგრელებს რადგან ისინი ქართველები არიან და წინააღმდეგობას ადგილი არ ექნება მაგრამ დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი – აფხაზებს ვერასოდეს ვერ გადაუვლით-მეთქი.

**გვანჯი დარასელია,**
**ზუგდიდი, კოლხიდა**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# რადგან თავია სიცრუე ყოვლისა ბოროტებისა!

ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება.

წარსულში დედამიწაზე განხორციელებული ღონისძიებები და ახლო მომავალში განსახორციელებული მოვლენები, ბიბლიური აპოკალიფსური ბოლო პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით, ნათლადაა ცნობილი, თუმცა, ჯერჯერობით არა საყოველთაო მსოფლიო ხალხთათვის, არამედ გონებამისაწვდომია კაცობრიობის იმ მცირერიცხოვანი ეთნოსითათვის, რომელთა სულიერ-გენეტიკური მოწიფულობის დონე ადეკვატურ მდგომარეობაშია ქრისტეს მოძღვრებისა და მარადიული უსასრულო სამყაროს შეცნობა-შესწავლის რანგობრივ მიმართებაში.

ბიბლიური შეგონებაა: – თუ კაცისგანაა არ შესდგება, თუ ღმერთისგანაა შესდგება; – ნებისმიერი ადამიანის ინდივიდუალური შეხედულება ყოველივეს მიმართ, მისი მიზანსწრაფვა, შემოქმედებითი გაქანება, მაშინაა ჭეშმარიტი, სწორი და მართალი როცა ის თანხვედრილია აზრობრივად ბიბლიასა და წმიდა წერილების გონებრივ-შინაარსობრივ მიმართებასთან.

დედამიწაზე წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე გასულია ექვსი (6) მილიარდი წელიწადი. **„გაასრულა ღმერთმა მეშვიდე დღე თვისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან“.** (დაბ 2.2.)

მომავალ ათასწლეულებში დედამიწაზე არსებობა გაგრძელდება იესო ქრისტეს III რჯულითა და მოძღვრების თანახმად. **„აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმინდაჰყო იგი“.** (დაბ. 2.3)

პლანეტა დედამიწაზე ადამიანი ითვლის თავის, სრულყოფილი სახით ცხოვრებას არა უმეტეს სამასი (300) ათასი წლისა. ესოდენ კოლოსალური დრო დასჭირდა კაცობრიობას რათა შექმნილიყო არსებული განათლების სისტემა, თავისი სრულყოფილი სახით როგორიც არის ის დღეს. **„ამგვარად უნდა ააგო იგი; სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით ოცდაათი წყრთა“.** (დაბ. 6.15)

სამასი ათასი წლით ადრე ჩაეყარა საფუძველი არსებული მსოფლიო განათლების სისტემას, ორმოცდაათში იგულისხმება დედამიწაზე პირველი სრულყოფილი ორმოცი ასონიშანი ასომთავრული ანბანი და (10) ათი რიცხობრივი ციფრი (1.2.3.4.5.6.7.8.9.0) რომელთა ჯამი ორმოცდაათია.

ეს არის კაცობრიობის ცივილიზაციის განათლების ბაზისი, რომლის ფუნდამენტურ სიმყარეზეა დაფუძნებული სხვა დანარჩენი მსოფლიო ხალხთა დამწერლობები და საგანმანათლებლო სისტემები. რომლებსაც დროის დისტანციური შუალედებით ქმნიდნენ და ანვითარებდნენ კაცობრიობის ცივილიზაციის განმანათლებლები, ბიბლიური პერსონაჟები; ადამი, ნოე, აბრამი, ისააკი, იაკობი, მოსე და მეშვიდე, მაცხოვარი იესო ქრისტე.

ყოველივე ეს და სხვა გიგანტური სამყაროსეული საიდუმლო ინფორმაციები უნდა გაეცხადებინა ოცდაათი (30) წლის **„იესო ქრისტეს“ – „თვით ისეო როცა იწყებდა იქნებოდა 30 წლისა“.** (ლუკა 3.23).

ჩვენ (კაცობრიობა) ვიმყოფებით პლანეტა დედამიწაზე, ბიბლიური ქრონოლოგიითა და კოსმიური ჟამთააღრიცხვით მაცხოვარ **„იესო ქრისტეს“** დედამიწაზე მოვლენიდან 2000 წლის თავზე. სამყაროსათვის ეს ის დროა, როცა მზე დგება ირმის ნახტომის გალაქტიკის ღერძზე, რომელიც გამოიწვევს არსებული კოსმიური სისტემის გადალაგებას ახალ მდგომარეობაში. მათ შორის დედამიწაზე შესამჩნევია მიმდინარე მოვლენები, როგორც სეისმურ-კატაკლიზმურ პლანში, ასევე არსებულ სულიერ-შემეცნებითი ცნობიერების არასაკმარისობა და უფრო მაღალ ცნობიერ იერარქიაზე გადასვლა, რომელსაც ქრისტეს მოძღვრება ეწოდება.

**„მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად; მაგრამ ჩემს შემდგომ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ, ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით“.** (მათე 4,11).

აღსანიშნავია და მისასალმებელი ის ფაქტი, რომ დედამიწაზე, კავკასიის არეალში, კერძოდ საქართველოში, პროტოქართველთა ეთნოსის წიაღში იშვა ადამიანი, რომელმაც ადამის, ნოეს, აბრაამის, ისააკის, იაკობის, მოსეს, იესო ქრისტეს, თორმეტი მოციქულის, იოანე ზოსიმეს, რუსთაველის შემდგომ შესძლო დაენახა, გაეგო და აეხსნა ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს, მიკრო-მაკრო კოსმოსის მარადიული არსებობის საიდუმლო (ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, სად მივდივართ.).

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ; ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, ისიც გააკეთებს, და მასზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ“ (იოანე. 14.12)

ძვირფასო ქართველებო! ქართული სულითა და მენტალიტეტით გამსჭვალულო ადამიანებო, ამჯერად შევეცდები, თეოლოგისა და ეზოთერიკოს, ბატონ: მირიან ქართველის ნაშრომების თქვენამდე მიწოდებას.

თანამედროვე მსოფლიო კაცობრიობას მართავს და განაგებს ქრისტეს მკვლელი სინაგოგას სინედრიონის ინსტიტუტის იდეოლოგია (ცრუ სიტყვის თავისუფლების გლობალიზაცია), რომლის მიზანია, შექმნას მსოფლიო მთავრობა, რომლის მეთაური იქნება კაცობრიობის მხსნელი (მესია), რომელიც თითქოსდა დაამყარებს აბსოლუტურ წესრიგს (დემოკრატიას) სამხედრო-პოლიციური დიქტატურით (რომლის პატარა მაგალითი იყო სააკაშვილის საქართველო).

იმისათვის, რომ იუდა-მასონებმა შექმნან მსოფლიო მთავრობა, მანამდე აუცილებელია მსოფლიოს დაპყრობა და დამორჩილება იარაღის ძალით. მოცემული მიზნის ხორცშესასხმელად ისრაელს, აშშ, ევროკავშირს (ნატო) დაგეგმილი აქვთ ომი არაბულ-ისლამურ სამყაროსთან (ძველ სპარსეთთან). მათი ვარაუდით, ომს ისინი აუცილებლად მოიგებენ, თანაც ეკონომიკისა და სახელმწიფო მართვის სისტემას დაუნგრევენ რუსეთსა და ჩინეთს, შემდეგ ქმნიან მსოფლიო იუდეველურ-მასონურ მთავრობას, რომელიც მარადიულად იბატონებს კაცობრიობაზე. ამაზეა ნათქვამი: კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო.

სინამდვილეში ისინი ამ მსოფლიო ომის წამოწყებით (აპოკალიფსით) ინადგურებენ თავს. ამიტომ გვეუბნება წმინდა სახარება: ღვთის (სამართლის) გამყიდველმა იუდამ თავი ჩამოიხრჩო, მუცელი გამოიფატრა და იქიდან ვერცხლი გადმოცვივდაო, ანუ მსოფლიო ბანკი და მისი იდეოლოგიური ბოროტი მამები (იუდა-მასონები) მსოფლიო ომის შედეგად იღუპებიან, ხოლო მათგან დაჩაგრული ლაზარე (საქართველო-იბერია) კი გაბრწყინდება ქრისტეს მეორედ მოსვლით საქართველოში.

ბოლო ჟამს, ზვიად გამსახურდიადან დაწყებული და მას აქეთ ყველა ათავისუფლებს ქართველ ხალხს (როცა ღვთის სიტყვას არ ვიყავი ნაზიარები მეც მეგონა, რომ პოლიტიკით შეიძლებოდა ხალხთა გათავისუფლება), მაგრამ გათავისუფლების ნაცვლად უარეს მონურ სამართლებრივ გარემოს ამყარებენ პოლიტიკოსები საქართველოში. პიროვნებამ მეორე ადამიანი და მით უმეტეს ერთი რომ გაათავისუფლოს ცოდვისა და უმეცრების მონობიდან, ჯერ საკუთარი თავი უნდა გაათავისუფლოს მოცემული მანკიერებისაგან. ასეთი კი არის ქრისტე და წმინდა მამათა გუნდი. ამიტომ გვასწავლის მაცხოვარი იესო: ***„თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ, შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ თქვენ“***-ო. მაცხოვარი გვასწავლის: **“პაპები, პატრიარქები და პოლიტიკოსები (კეისრები) კი არ გაგანთავისუფლებთ თქვენ, არამედ ღვთის ჭეშმარიტ სიტყვაზე ზიარება, და კიდევ, თუ მე გაგანთავისუფლეთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით“.** (იოანე 8,36).

ძე ღმერთი, იესო ქრისტე ანთავისუფლებს კაცობრიობას უმეცრებისა და ცოდვის მონობისაგან, რომელსაც ადასტურებს ღვთაებრივი ბიბლია: ***„აჰა, ჩემი მორჩილი, რომლისთვისაც ხელი მაქვს ჩავლებული, ჩემი რჩეული, რომელიც მოისურვა ჩემმა გულმა, მასზე გარდმოავლინე ჩემი სული; ის გაუჩენს სამართალს ხალხებს“. (ესაია 42,1).***

ქრისტიანმა და ნორმალურად მოაზროვნე ქართველმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: რომელმა მსოფლმხედველობის რელიგიურმა ინსტიტუტმა უარყო და მოკლა ძე ღმერთი, იესო ქრისტე (მართალი)? მოცემულ კითხვას ქრისტიანმა ადამიანმა სახარების ტექსტით უნდა გასცეს სწორი პასუხი: იესო ქრისტე (სიმართლე და სამართლიანობა) უარყო და მოკლა მცირე აზიის სინაგოგას სინედრიონის სამღვდელოებამ და იმპერიის მსახურმა პილატემ, რომლის მსოფლმხედველობას ეწოდება ძმის მკვლელი კაენი.

ამის შემდეგ უნდა დაგებადოს ლოგიკური კითხვა: თანამედროვე მსოფლიოში არსებობს სინაგოგას სინედრიონის სიმართლის (ქრისტეს) მოძულე რელიგიური ინსტიტუტი? – დიახ, არსებობს და მისგან აღმოცენდა თალმუდი, მარქსიზმი, კომუნიზმი, ცრუ დემოკრატია, ცრუ სიტყვის თავისუფლების გლობალიზაცია და მასონური პარტიები, რომლებიც განაგებენ ევროპის, აზიის, ამერიკის და თითქმის ყველა სახელმწიფოს, რაც კი არსებობს დედამიწაზე.

მაშასადამე, ქრისტეს (სიმართლის) მოძულე იუდაიზმია გამეფებული თანამედროვე მსოფლიოს ელიტის აზროვნებაში, რომელიც შესაბამის ბოროტ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას ქმნის და ებრძვის სიმართლეს (ქრისტეს). ე.ი. თანამედროვე მსოფლიოს სასულიერო და პოლიტიკურ ელიტას აზროვნებას, მსოფლმხედველობასა და საქმიანობას ეწოდება ***ანტიქრისტე***.

ისევ იბადება მარტივი კითხვა: ვის საქმეს აკეთეს თანამედროვე საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, სამღვდელოება, პოზიცია, ოპოზიცია, საინფორმაციო სამსახურები და პარტიები? ამაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია; ისინი შეგნებულად და შეუგნებლად ოცდათი (30) ვერცხლის ფასად აკეთებენ **ანტიქრისტეს** საქმეს.

**მურმან ხუბულავა**

*(გაგრძელება იქნება)*

# ვეხმაურებით გალის რაიონის უხუცესთა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ლავრენტი ბერაძის გაზეთ “ილორში“ გამოქვეყნებულ წერილს

ბატონი ლავრენტი შეეცადა თავის წერილში (**“ილორი”** – 17-24 ივნისი) გაეანალიზებინა აფხაზეთში არსებული მდგომარეობა, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. ის სახალხო დიპლომატიას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, რაც სავსებით სწორია, რამეთუ სხვა ხერხებით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. სახალხო დიპლომატია, ეს ის ბერკეტია ჩვენს ხელში, რომელიც მიგვიყვანს აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენამდე.

თავის წერილში, ეხება რა სამეგრელოს კუთხეს, ამბობს **“...რომ აფხაზებთან დამაკავშირებელი ოდნავ მფეთქავი ნერვი მხოლოდ სამეგრელოა და სწორედ ამ საზღვრისპირა კუთხეში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან აფხაზები. ამიტომაა საჭირო სამეგრელოს ეკონომიკურად აღორძინებისა და შემდგომი განვითარების კომპლექსური გეგმის შექმნა, რომ შეიქმნას იმგვარი ყოფითი გარემო, რასაც ნდობით მოეკიდებიან აფხაზები“.** პირდაპირ შეიძლება გითხრათ, ბატონო ლავრენტი, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ ამ თქვენ ბრძნულ წინადადებას, არაფრად აგდებენ, ან, როგორც სააკაშვილი ამბობდა: **“მე გაზეთებს არ ვკითხულობო”**, ისე, ეს ხელისუფლებაც ამ სენითა დაავადებული.

გეთანხმებით იმაშიც, ბატონო ლავრენტი, რომ თუ ვინმე მუშაობს აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმისათვის – ეს გახლავთ გაზეთი **“ილორი“**, რომელიც ხმალამოღებული იბრძვის ამისათვის და გაზეთის ყოველი ნომრის მეორე გვერდში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს.

თქვენს წერილში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქ. ქუთაისში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ბატონი ოთარ მარშავას მიერ სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბების საკითხს, რომელიც ემსახურებოდა აფხაზეთიდან გადმოსულ ავადმყოფებს, სადაც ჭარბობდნენ ეროვნებით აფხაზები (რომლებიც მადლიერების გრძნობით აღსავსენი ბრუნდებოდნენ უკან – აფხაზეთში). მკურნალობა იყო უფასო, რასაც უდავოდ შესაძლო იყო დიდი როლი ეთამაშა ჩვენს შორის ნდობის აღდგენის საქმეში.

მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ, როგორც წერს ბატონი ლავრენტი, ცენტრი დახურა და მუშაობა სხვა რეჟიმზე გადაიყვანა. აი, მაგალითი ჩვენი უნიათობისა – ეს მაგალითი მიგვანიშნებს, თუ რა დონეზეა დღეს აფხაზეთის საკითხი. ალბათ მთავრობა ამით არაა დაინტერესებული.

ბევრ ასეთ საჭირბოროტო საკითხს ეხება ბატონი ლავრენტი გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში და ასკვნის, რომ საჭიროა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რასაც ჩვენ – **“აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი”** და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭო (აფხაზეთიდან) უკვე ორი წელია ვაყენებთ დღის წესრიგში, მაგრამ ამას არც ხელისუფლება და არც სხვა ორგანიზაციები (რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის საკითხზე) არ გვეხმაურება.

ხელისუფლების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, რომლებსაც შეუძლიათ აფხაზებთან ურთიერთობით შექმნან დადებითი გარემო ნდობის აღდგენის საქმეში, შეიძლება დავეთანხმოთ და სასურველია მათ დაემატოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაპო მესხია, თვით ლავრენტი ბერაძე და კიდევ სხვები, რომლებსაც მართლაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში.

ბატონ ლავრენტის ახლოს გაცნობა და მის წერილზე გამოხმაურება დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ ვუცდიდი და მქონდა იმედი, რომ ვინმე გამოეხმაურებოდა ამ წერილს, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც საქართველოს მთავრობიდან – ვინმე და არც ე.წ. აფხაზეთის მთავრობიდან – არავინ შეწუხებულა.

არ გამკვირვებია, როცა არც აფხაზეთის მთავრობის რომელიმე წევრი და არც საქართველოს მთავრობის რომელიმე მინისტრი ბატონი ლავრენტის წერილს არ გამოეხმაურა. უფრო მეტს გეტყვით, მოსკოვში შარშან შედგა ვეტერანთა საერთაშორისო კავშირის ყრილობა-კონფერენცია და ველოდით, რომ იქ იქნებოდა დელეგაცია აფხაზეთიდან. საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის დელეგაციამ ბატონების რეზო ნაცარიშვილისა და გურამ გვეტაძის ხელმძღვანელობით სთხოვეს ვეტერანთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს, ფლოტის ადმირალ ბატონ სოროკინს დაერთო უფლება საქართველოს ვეტერანთა დელეგაციაში ჩართულიყო **“აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის“** თავმჯდომარე ოლეგ ჯოლია – აფხაზთა დელეგაციასთან შესახვედრად – რაც დადებითად გადაწყდა. მოსკოვში შეხვედრა შედგა ძალიან მეგობრულად, მშვიდ, საქმიან ვითარებაში – ბევრ საკითხზე რამოდენიმე საათის განმავლობაში მსჯელობდნენ ვეტერანები ოლეგ ჯოლიასთან და მიაღწიეს ურთიერთგაგებას ზოგიერთ საკითხში, რაზეც დაიწერა საქართველოს გაზეთებში, გადაიცა რადიო **“თავისუფლების”** მიერ (პრაღიდან), მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ – ამ მნიშვნელოვან მოვლენას არც აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელობიდან და არც საქართველოს მთავრობიდან არავინ არ გამოხმაურებია – ვითომც არაფერი.

რადგან ასეა საქმე, ვთხოვ ბატონ ლავრენტის, რომლის ახლოს გაცნობა ძალიან გვინდა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების (ვინც მუშაობს აფხაზეთის საკითხზე) წარმომადგენლებს შევიკრიბოთ და შევქმნათ საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უფრო ორგანიზებულს და მიზანმიმართულს გახდის ჩვენს სწრაფვას აფხაზებთან ნდობის აღდგენის საკითხში.

როგორც შევიტყეთ, ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ იმით არიან დაინტერესებულნი, რომ თვითონ გამოჩნდნენ, სხვისი ინიციატივა თავისად გაასაღონ. ამის მაგალითად პაატა ზაქარეიშვილის განცხადებაც გამოდგება, რომელმაც ახლახან საზოგადოებას აუწყა, რომ ხელისუფლების ინიციატივით დაიწყო ბაზრობის მშენებლობა ენგურის ხიდთან ახლოს. ის გაიხსენოს ბატონმა პაატამ, რომ რამოდენიმეჯერ ვიყავით მასთან ამ ინიციატივის გამო (ბაზრობის მშენებლობაზე შესახებ ენგურის ხიდთან), მაგრამ ყოველთვის ცივი უარით გამოგვისტუმრეს... შე დალოცვილო, ერთი სიტყვა მაინც სთქვი, საიდან და ვისგან მოდის ეს ინიციატივა! მაგრამ არა – მათთვის მთავარია მოაჩვენონ ხალხს, რომ თავად არიან გენიოსები – ჯანდაბას, მთავარია საქმე გაკეთდეს – ჩვენ მივესალმებით ყოველგვარ ინიციატივას!

დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი მინისტრი გაზეთებს არ კითხულობს, ან აფხაზეთი და სამაჩაბლო მათი ინტერესის სფეროში არ ზის.

არასამთავრობო ორგანიზაციებს (რომლებიც აფხაზეთის საკითხზე მუშაობენ) ვთხოვთ გამოგვეხმაურონ – ჩვენ თვითონ ერთობლივად მივხედოთ საქმეს – იქნებ უფალმა ინებოს და გამოგვივიდეს.

**მამანტი ჯოლია,**
**ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე**

# ზიზილოს ფავორიტები

*შეპირებისამებრ გთავაზობთ ცნობილი ქართველი მწერლის ელიზბარ უბილავას მოთხრობას, რომლის გამოც მწერალს სიცოცხლეში უამრავი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია შეუპოვარი შემოქმედისათვის, რომ უამრავი საინტერესო ნაწარმოებით გაეთქვა სახელი.*

თბილისის შუაგულში, ვერეს ხეობის მხარმარჯვნივ, ერთ ჩამოხრამულ ბექობზე აღმართულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ოთხსართულიანი შენობა. ნაძვნარში გაუჩინარებული რუხი შენობის წინა ფასადი ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე გამოდის, ხოლო უკანა, შუშაბანდიანი დერეფნები – მდინარე ვერეს გადაჰყურებენ.

შენობის შესასვლელთან და ვესტიბიულში მუდამ ხალხმრავლობაა. რკინის ღობით შემორაგულ პატარა ეზოში მრავალი მსუბუქი ავტომანქანა შედის და გამოდის. ამ ავტომანქანებს გაჰყავთ პაციენტები, მათი მნახველები და სამედიცინო პერსონალი.

საავადმყოფოს პალატებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში ჩუმად ფუსფუსებენ თეთრხალათიანი ექიმები, ექიმის თანაშემწეები, ლაბორანტები და სანიტრები. უთუოდ დიდია მათი მოვალეობა. რამდენადაც ეს საავადმყოფო-პოლიკლინიკა მხოლოდ თანამდებობის პირებსა და მათ ოჯახებს ემსახურება, აქაურ სამედიცინო პერსონალს მართებს, რაც შეიძლება, თავაზიანი და ყურადღებიანი იყოს.

სხვა საავადმყოფოებისაგან განსხვავებით აქ სავალდებულოდაა მიჩნეული პაციენტებისადმი დიფერენცირებული მიდგომა; ესე იგი დიდსავარძლებიანებს, დიდი სიგრძე და განის მქონე პირებს – ღირსეული პატივმიგება, ლუქს-პალატებში მოთავსება, მწვავედ დეფიციტური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; საგანგებოდ მოწვეული რჩეული პროფესორების ზედამხედველობა, ხშირი კონსილიუმები, მასაჟები, განსაკუთრებული კვება, სათუთზე უსათუთესი მოპყრობა, ხოლო დაბალჩინოსნებს – ეგრეთ წოდებულ **"უწყინარ პაციენტებს"**... გააჩნია, ვინ სად და როგორ... მოცალეობის ჟამს მათაც უნდა მიხედვა! – ამ მორალს ქადაგებდა წლების მანძილზე საავადმყოფოს მთავარი ექიმი ლონგინოზ ნადირაძე და თავის ხელქვეითებსაც ამასვე შთააგონებდა.

მთავარი ექიმი ერთი თავკომბალა მელოტი კაცი იყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მარჯვენა თვალი აღმოსავლეთისაკენ გაურბოდა, ხოლო მარცხენა – დასავლეთისაკენ. თვალების კანკალი ან მედიცინის ენით რომ ვთქვა **"ნასტიგამი"**, რომლითაც ექიმი იყო დაავადებული, ბუნებრივად ერწყმოდა მის მეორე ფიზიკურ ნაკლს – ენის კიდებას, სულ მცირე გაღიზიანების დროს შავი სათვალიდან თეთრად გამოკვესილ თვალთა ბრიალი და ფუღურო ხეს დაწაფებულ კოდალას ნისკარტივით გაასპიტებული ენის წამდაუწუმ ხტუნვა თუ როკვა, პირველ შეხვედრისთანავე აქცევდა მთავარ ექიმს ისეთ გამოუცნობ ქიმერად, რომელთანაც მეორედ შეხვედრას ყოველი ჭკუათმყოფელი უსათუოდ მოერიდებოდა. უკიდურესად მლიქვნელი ხელქვეითები კი ლონგინოზის მზეს ლოცულობდნენ, რადგან კარგად უწყოდნენ მისი ასავალ-დასავალი და **"ყოვლისშემძლეობა"**.

ლონგინოზს წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო ზიზილო ნებიერიძის – თავისი გავლენით და მოხერხებულობით რესპუბლიკაში სახელგანთქმული ქალის უპირველესი ფავორიტი. ლონგინოზის ყოვლისშემძლეობის მითიც ზიზილოს სახელთანაა დაკავშირებული.

თავად ზიზილო, ცხოვრებითა და გარემო პირობებით განებივრებული მანდილოსანი, არსად მსახურობდა, მაგრამ მეუღლის თანამდებობას ისე იყენებდა, მთელ რესპუბლიკას შიშის ზარს სცემდა. უიმისოდ თანამდებობის პირი არც დაინიშნებოდა და არც მოიხსნებოდა. სასამართლო-პროკურატურაში უდიდესი საქმეები ხშირად მისი სურვილისამებრ წარიმართებოდა, ხოლო ვაჭრობის სამინისტროს ბაზებსა და საკომისიო მაღაზიებში ახალმიღებული ბეწვეული, ოქროული თუ ანტიკვარული ნივთები, რა თქმა უნდა, ჯერ ზიზილოს უნდა ენახა, ვინიცობაა მოეწონებოდა, მის კოლექციას შეემატებოდა, ხოლო თუ არ მოეწონებოდა, მერე ლონგინოზი და მისი ამფსონები ჩაერეოდნენ საქმეში.

ლონგინოზს წამლის რეცეპტის გამოწერა კარგა ხანია დავიწყებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩინებულად ეხერხებოდა მოჩვენებითი პოზები და ყოველგვარი საჩოთირო ილეთები. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ვიზიტის დროს თავი ისე ეჭირა, თითქოს ეს დედამიწა მის მხრებზე ყოფილიყოს დაყრდნობილი, საერთო საქმისათვის ანთებული სანთელივით იწვოდეს და თავად მინისტრი არავის ისე არ ჰყვარებოდეს, როგორც მას. ადვილი არ იყო ამის მიღწევა. ჯამბაზის თოკზე ცეკვა, ალესილი დანის პირზე ფეხშიშველა სიარული უფრო ადვილია, ვინემ არ გეცინებოდეს და უფროსის ხათრით იცინოდე, კაცი ჭირის დღესავით გეჯავრებოდეს და თავს ისე აჩვენებდე, თითქოს მასზე ამოგდიოდეს მზე, გულში სხვას ფიქრობდე, ენით სხვას ლაპარაკობდე. ერთი ალთას, მეორე ბალთას...

ამ თვისებებმა თავიდანვე განსაზღვრა ლონგინოზის მომავალი ცხოვრება და კარიერის გზა. ახალგაზრდა კაცი სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გადაეშვა წყალვარდნილების ორომტრიალში. კარიერისაკენ მისი ტრიუმფალური სვლა შორეულ პროვინციაში დაიწყო, რომელიც მიყრუებული სოფლის ამბულატორიაში რიგით ექიმად მოხვედრილი კაცი მალე დასკუპდა რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ. აქედან კი ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს ერთ-ერთი სანატორიუმის მთავარ ექიმად ამოჰყო თავი.

ლონგინოზმა ჩინებულად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ამ სანატორიუმის მესვეურობა. აქ დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდიოდნენ მეტად საჭირო ადამიანები – მინისტრები, მინისტრთა მოადგილეები, რესპუბლიკის პასუხიმგებელი პირები და მათი ოჯახები. გავლენიან ადამიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, ადრე თუ გვიან, უთუოდ სასურველ შედეგს გამოიღებდა. ასე ფიქრობდა ლონგინოზი პირველ ხანებში. მერე და მერე უფრო მოკლე ბილიკებიც გამოიკვეთა დიდებისაკენ მიმავალ გზაზე.

ერთ დღეს მან მთის კალთაზე შეყუჟულ ფაცხა-კარავში სადილი გაუმართა თბილისიდან ჩამოსულ რევიზორებს. კვირაზე მეტ ხანს ამოწმებდნენ ისინი სანატორიუმის საფინანსო ოპერაციებს, ბევრი დარღვევა გამოავლინეს, მაგრამ რევიზიის აქტში არცერთი მათგანი არ შესულა. უწყინარი აქტი მთავარმა ექიმმა გულუხვი ასიგნაციებით მოიპოვა და ახლა ბოროტზე კეთილის გამარჯვების აღსანიშნავი სადღეგრძელოები ისმებოდა ჯიხვის ყანწებით.

ლხინის ეშხში შესული ერთ-ერთი რევიზორი ყველას გასაგონად მოჰყვა ზიზილო ნებიერიძის სასწაულებრივ საქმიანობაზე.

– ამჟამად, რესპუბლიკაში, – ყვებოდა რევიზორი, – ზიზილოს ჩაურევლად არც ერთი დიდი საქმე არ წყდება. მრავალთა შორის ერთი დიდი ღირსებაც გააჩნია: საკმარისი მოეწონოს მამაკაცი და მას ტვინის მაგივრად თავში თივა რომ ჰქონდეს, დიდი პოსტი არ ასცდება. ერთი ჩემი ნაცნობი, გვარად კუჭუაშვილი, ყოვლად უსაქმური, მაგრამ კარგი შესახედავი, მოქეიფე, მომღერალი, გიტარაზე დამკვრელი კაცი, როგორც ჩანს, თვალში მოუვიდა ზიზილოს. რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს **"მაღალ დონეზე"** და საქმეც გაიჩარხა. ასე რომ, ამ დღეებში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ მოგვევლინება ჩემი მეგობარი სინო კუჭუაშვილი. ვენაცვალე მარიფათიან დაქალებს და ძმა-ბიჭებს! მე მათ სადღეგრძელოს ვსვამ! – რევიზორმა ჯიხვის ყანწი დასცალა და ალავერდი ლონგინოზთან გადავიდა, რომელიც ყურდაცქვეტილი ისმენდა ზიზილოს ქებადიდებას, გულით ნატრობდა მასთან შეხვედრას, ყანწიც მასთან მომავალი შეხვედრის სურვილით და რაღაც დიდი მოლოდინის ცდუნებით დასცალა.

რევიზორის თბილისში გამგზავრების მეორე თუ მესამე დღეს ლონგინოზმა ცენტრალური გაზეთის მეოთხე გვერდზე **"ქრონიკაში"** ამოიკითხა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ახალი მოადგილის სინო კუჭუაშვილის გვარი.

იმ დღიდან საბოლოოდ ირწმუნა ლონგინოზმა ზიზილო ნებიერიძის ძალა და სულ იმის მოლოდინში იყო, როდის ინებებდა ქალბატონი ზიზილო მის სანატორიუმში დასასვენებლად ჩამობრძანებას.

ეს დღეც მალე დადგა.

ერთხელ, ახალი წლის დამდეგს სანატორიუმის მთავარი ექიმი გააფრთხილეს სამი ლუქს-პალატა რეზერვში იქონიეო. უფრო გვიან გაირკვა, რომ დასასვენებლად ჩამოდიოდა ზიზილო ნებიერიძე თავისი ქალიშვილითა და მეგობრებით.

მთავარი ექიმის დიდი ხნის ნანატრი ოცნება ფრთებს ისხამდა. ზიზილოსთან მომავალი შეხვედრა ლონგინოზს ფანტასტიკურად მომხიბლველი ეჩვენა და ფიქრობდა, ამიერიდან მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. რესპუბლიკის დედაქალაქში სამუშაოდ გადასვლა ახლა უფრო რეალური ჩანდა, ვინემ ოდესმე. ამიტომ ამ სასიამოვნო ცნობის მიღებისთანავე საზღვარგარეთის ტურისტული საგზური უკან დააბრუნა და სტუმრების დასახვედრად თადარიგი დაიჭირა.

ლონგინოზის ბრძანებით ზიზილოსთვის განკუთვნილ პალატაში ახალი ფარდები ჩამოჰკიდეს, ლარნაკები და ქოთნები ახალი ყვავილებით დაამშვენეს.

სამი **"ვოლგით"** ჩამოვიდნენ ზიზილო და მისი თანმხლები პირები. პირველ მანქანაში ზიზილო, მისი ქალიშვილი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის მეუღლე ზელმა კაჭკაჭიშვილი და მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე ადამაძე ისხდნენ. მეორე და მესამე მანქანაში – იუსტიციისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ლონგინოზი დიდი ხნის ნაცნობივით შეეგება ზიზილოს, ხელზე ეამბორა, დიდის ამბით მოიკითხა და შემდეგ სტუმარმასპინძელი ტაატით აუყვა კიბეს მეორე სართულისაკენ. როგორც კი სტუმრები დააბინავეს, ლონგინოზმა თავის კაბინეტში პატარა თათბირი გამართა. ამ თათბირის მიზანი იყო შეემუშავებინათ ახალჩამოსული სტუმრების სამედიცინო მომსახურეობის და მათი კულტურული დასვენებისა და გართობის მტკიცე გეგმა.

აბასთუმან-ზეკარის მიმართულებით სამი მონადირე გაგზავნა – იქნებ შველი მოეკლათ და თუ ცოცხლად ჩამოიყვანდნენ, ეს ხომ ნამეტანი კარგი იქნებოდა, მეთევზეებს დაევალათ ტაბაწყურისა და ქციის ხეობაში კალმახები დაეჭირათ. ქალაქის სასადილოში მრავალნაირი კერძები შეუკვეთა. მახლობლად ფაცხა-კარავის მზარეულები გააფრთხილეს – ვინიცობაა გეწვიოთ, მზად იყავითო.

ქალბატონ ზიზილო ნებიერიძის ჩამობრძანების მეორე დილით ქათქათა ხალათსა და **"კალპაკში"** გამოწყობილი ლონგინოზი თავისი მოადგილის, თერაპევტი ქალის თანხლებით პალატაში ეწვია ზიზილოს. ქალბატონს ეღვიძა, ოღონდ ჯერ არ ამდგარიყო. ნასათუთევ ქერა სახეზე თვითკმაყოფილების მედიდური ღიმი დასთამაშებდა.

ლონგინოზსაც ამაყად ეჭირა თავი, თვალების წარამარა ხამხამი ნაკლებად შესამჩნევი რომ ყოფილიყო, შავი სათვალეები ეკეთა. პაციენტის გასინჯვის დროს ცდილობდა, რაც შეიძლება სერიოზული გამომეტყველება მიეღო და ოფიციალური ყოფილიყო, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა, მით უფრო ახლა, ქალბატონ ზიზილოს ოქროს საყურეებსა და ბრილიანტის ბეჭდების თილისმური ციმციმი მოსვენებას უკარგავდა. მუარის ღამის პერანგში ნაფოფინები ყმაწვილი ქალის აფუებული გულ-მკერდი და განიერი თეძოები ამ ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ კაცს ასაკს ავიწყებდა. ალუბლისფერი ტუჩები, მოცხარივით შავი თვალების ვნებიანი გამოხედვა უალო ცეცხლს უკიდებდა დროულ კაცს, მაგრამ საიქიოში ცხონების მოლოდინით სააქაოში მოთმინებას ამჯობინებდა, თანაც თავს ძალას ატანდა, რაც შეიძლება ენაძუნწი ყოფილიყო და თავისი მეორე ფიზიკური ნაკლიც აშკარად არ გამოჩენილიყო. ნელსაცხებლის სურნელით გაბრუებული არად აგდებდა ნაირნაირი ბეწვეულობისა და ქურქ-პალტოების კოლექციას, კარადის გამოღებული კარიდან რომ ჩანდა. კარადის მინის თაროზე თვალმარგალიტებით მოჭედილ სამაჯურებს, გულქანდებს, მძივებსა და პალატისათვის უჩვეულო ზიზილპიპილოებს. ცალი თვალით თუ გადახედა პაციენტის გასინჯვით გართული ექიმი.

გულმოდგინე სამედიცინო გასინჯვისა და ლაბორატორიაში ანალიზისათვის გასაგზავნი სისხლის აღების შემდეგ ქალბატონ ზიზილოს დაუნიშნეს დღეგამოშვებით მინერალური წყლის აბაზანები, მთელი ტანის მასაჟი, წყალქვეშა მასაჟი, ცირკულარული შხაპი... შემდეგ საუბარი წავიდა კვების რაციონზე, სამკურნალო ფიზკულტურაზე, ექსკურსიებზე, სამინისტროსა და სანატორიუმის საშინაო ამბებზე. ექიმი და სანიტარი პალატიდან გავიდნენ.

ქალბატონ ზიზილოსთან საუბრით გართულ ლონგინოზს სულ დაავიწყდა, რომ ზელმა კაჭკაჭიშვილიც უნდა ენახა – ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის მეუღლე, პატივსაცემი მანდილოსანი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ლონგინოზიც არ ტყუოდა, რამდენჯერაც ზელმას პალატაში დააპირა წასვლა, ზიზილომ იმდენჯერ სხვა რამეზე ჩამოუგდო სიტყვა. ამასობაში ზელმა ამდგარიყო, ტანთ ჩაეცვა და ზიზილოს ქალიშვილთან ერთად პალატაში შემოვიდა. შეცბუნებული მთავარი ექიმი ქალება ხელებზე ეამბორა და ბოდიში მოუხადა დილით რომ ვერ მოინახულა ისინი.

– ჩემი ბრალია, ექიმს არაფერი აქვს საბოდიშო. ამ დილით უქეიფოდ ვიგრძენი თავი და სანამ არ მოვმჯობინდი, მთავარ ექიმს უფლება არ მივეცი დავეტოვებინე, – თვალსა და ხელს შუა იცრუა ზიზილომ. ამ, ერთი შეხედვით პატარა სიცრუემ, საბაბი მისცა მთავარ ექიმს შემდგომ დღეებში უფრო გაშინაურებოდა ქალბატონ ზიზილოს და ნელ-ნელა დაეწყო მასთან ისეთი ქსელის გაბმა, რომელიც ადრე თუ გვიან დიდ ჩინოსანს გახდიდა.

ეს ჩანაფიქრი ედო საფუძვლად წრესგადასულ ბანკეტებს, ამ ზამთარში ყოველდღე რომ იმართებოდა სანატორიუმსა და მის შემოგარენში. ამ ღრეობის ფინალი ის იყო, რომ ქალბატონ ზიზილოს ექვს ქურქს მეშვიდეც მიემატა, მისი ბუდუარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ხოლო მისმა ახალმა ფავორიტმა ლონგინოზ ნადირაძემ ამიერიდან ბორჯომის მაგიერ თბილისში დაიდო ბინა. პრესტიჟული, მაგრამ მაინც პროვინციული სანატორიუმის ყოფილი მესვეური ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს კომფორტული საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი გახდა.

ახალ თანამდებობაზე დანიშვნის დღესვე გაჩნდა ბზარი ლონგინოზსა და მის მოადგილეს ვახტანგ ადამაძეს შორის. პირველად ამ კონფლიქტის მიზეზი არავინ იცოდა, მერე და მერე გაირკვა შემდეგი: ზიზილომ დაავალა ლონგინოზს თავისი ქალიშვილი ვახტანგისათვის შეერთო, თუმცა ერთსაც ჰყავდა მეუღლე და მეორესაც ქმარი. ლონგინოზმა ათასგვარი მახე დაუგო ვახტანგს, მაგრამ ეს ახალგაზრდა ექიმი მარტო შესახედაობით კი არ აღმოჩნდა ლამაზი და მიმზიდველი, სულიერადაც ფაქიზი და ზნეობრივად სუფთა და ის არცერთ მახეში არ გაება.

ვახტანგმა – თავის ცოლ-შვილზე უზომოდ შეყვარებულმა, ქალბატონ ზიზილოს შეაქცია ზურგი, მის ქალიშვილსაც და ახლადდანიშნულ უფროსსაც. ასეთმა პრინციპულობამ ერთგვარად შეარყია ვახტანგის სამსახურეობრივი კარიერა, მტრებიც გაუმრავლა, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ის არ აპირებდა პირვანდელი პოზიციებიდან გადახვევას. რაკი ლონგინოზი ვერაფერს გახდა ვახტანგის მორჯულებაში, ზიზილომ მისი მეორე ფავორიტი, მეოთხე სამმართველოს უფროსი აპოლონ ჯანდიერი ჩაერია საქმეში, მერე ზელმა კაჭკაჭიშვილი და მისი მეუღლე სინო კუჭუაშვილი. ამ გაწამაწიაში მონასტერიც აირია და ყველა ერთად ვახტანგ ადამაძეს – ამ ალამართალ, საერთო საქმისა და ოჯახის ერთგულ კაცს დაუპირისპირდა; ვახტანგიც ღონივრად დაუხვდა მის წინააღმდეგ ამხედრებულ ტალღას და დაელოდა ხელსაყრელ შემთხვევას, როცა ცალ-ცალკე და ყველას ერთად გაუსწორდებოდა კანონისა და სამართლის ძალით.

**ელიზბარ უბილავა**

*(გაგრძელება იქნება)*

სათრევველები

## ნავარო, ისევ ნავარო?

არც თუ უსაფუძვლო ეჭვი დაბადა „ნაციონალთა“ ნაცადი რუპორის – საქართველოში „ენდიაის“ ახალი ლიდერის კრისტინა ვილფორმის მიერ გამოკითხულებისათვის გადაბრალებულმა „კვლევა-ძიებამ“.

*გამოკითხვა თავის ხელრთვით*
*„ნაცებისთვის“ კვლავ ასრულებს მთავარ როლს.*
*სათქმელად სხვა აღარც ეთქმის;*
*რაღად გვეტყვის,*
*ვისთვისა და რა ვარო?*
*ბედი, აი!*
*საქართველო კვლავ დასეტყვა „ენდია-იმ“,*
*მოგვივლინა დღეს ახალი ნავარო!*

* * *

*მაკკეინის „ბუშტები“,*
*ეგების აგვიხსნა გარკვევით,*
*მაკკეინ, თავს ირთობ რა კევით?*
*როგორც კი გაბერე ბუშტები, –*
*იოლად მოხვეჭის მუშტრები,*
*განუსჯელები და კუშტები,*
*საჩხუბრად შეკრული მუშტებით*
*წამსვე მიაშველე მიხოსა, –*
*სისხლისმსმელს, –*
*ვინც შვილებს გვიხოცავს*
*და დღემდე*
*წვინტლს თითით იხოცავს.*
*გვაკმარე, ბატონო მაკკეინ,*
*გთხოვ, ბუშტებს ნუ ბერავ მაგ კევით!*

**ალექსანდრე შენგელია**

## სამარგალო ქგიგალე

ჩქიმი ხე დო კუჩხითია,
მუთუნ ბორჯის გემორჩი და
მონოფრთედა ხუნკითია.
ჟუნ ღორონთის დოუჭყუდას
ჩქიმი ლუკმა, ჩქიმი თიაქ,
დიხა ვაბჭარაფუდასი
ქოფცუმუდას ბუტუტია.
საყოროფო ელი-მოლსი
უსხაპუნქ დო უბირქია,
დამიჯერი, მარგალ კოჩი
უსქანეთი ვებრგუქია.
ირიათო ქოყოფედა
სამარგალო, ჩქიმი გური,
სქანი გამო დობღური და
თენა მაი ოცქვაფური.
ტერი გეშაბჭყვიდიკონი
თოფი ხესი მიკებუდუ,
სქანი ყოროფაში გამო,
ღურა მურდენ ვამიჩქუდუ.
ამდღა ხოლო თასი ვორექ
ოდო შური მაქანცენი,
ჩქიმი სქვამი დიხა-წყარი
მარგალობას იძახუნი.
სქანი ყოროფათი მიღუ,
სქანი სქუას ჯგირ დო ფური,
თენას გურით ვაფთქუანდა,
დობჭუდასი ჩქიმი შური

## შიო ტორონჯ

შიო ტორონჯ, ქოფურინი,
გინილ ინგირი დო ღალი
გალერებსი ქიგნაძახი:
ვორექ, ოჩამჩირეში მალი.
ქიგიჯინი ჩქიმი ყუდეს,
ქოძირ, ქიგედგნდო ვარი,
ჭვილი რენდა, დომიფული,
ვაგენგმობა დუღა წყარი.
ჭყოლი გურსუ ქუა გემძუ,
ლოდი, ჩილამურით რჩხილი,
ვარე გინოდგუდგილირე,
ჩქიმი კილეშ ნახანდილი.
ჩქიმ ტორომჯი, ქუმოფურინ,
ქოთქვი, ქოთქვი, მუ ძირინი.
მიჩქ, ოლააფე ვარე
სი მუსუთ გინაჯინი.
მენდი ოკო ვადინუე,
თოლსი მომთხოზ ჩილამური,
ჩქინ ტერეფიშ გაძიცალო,
ვედიბჩიჩუათი გური.

**ავერიკო თორია**

# მსოფლიოში ვინ როგორ აფასებს ვეტერანებს და რამდენს აძლევს პენსიის სახით

უნდა მოგახსენოთ, მეგობრებო, რომ სწორედ ამის შესახებ წერს გაზეთ **„ვეტერანში“** (ივლისი 2014 წელი 7 (10)) **საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი ტიტე ლეფსაია.**

ნება მიბოძეთ ჩამოგითვალოთ ზოგიერთი ქვეყანა (რაც გაზეთშია დასახელებული) და ვეტერანთა პენსიების რაოდენობა:

**1. რუსეთის ფედერაცია – 1000 ევროს ექვივალენტური თანხა;**
**2. დსთ-ს ქვეყნები – 1000 ევროს ექვივალენტური თანხა;**
**3. ამერიკის შეერთებული შტატები – 2700 დოლარი, რასაც ემატება უფასო სამედიცინო მომსახურება და გრძელვადიანი უპროცენტო სესხები ბინით, აგარაკებისა და მანქანების შესაძენად;**
**4. ინგლისი – 2000-დან 9000 ევრომდე (გირვანქა სტერლინგებში გადაყვანით), აგრეთვე უფასო სამედიცინო მომსახურება საუკეთესო სამხედრო ჰოსპიტალებში;**
**5. ისრაელი – 1500 დოლარის ექვივალენტური თანხა და სოციალური შეღავათები;**
**6. ავსტრალია – 1500 დოლარი და სოციალური შეღავათები;**
**7. გერმანია – 2000-დან 8000 ევრომდე;**
**8. საქართველო – 172 ლარი ანუ 72 ევრო (150 ლარი პენსია და 22 ლარი, ომში მონაწილეობისათვის).**

**მართლაც სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს!**

2015 წლის 9 მაისს მთელი მსოფლიო (ქვეყნები, რომლებიც იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ) ემზადება უმაღლეს დონეზე იზეიმოს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი.

უკვე ყველგან ტარდება კონფერენციები, ყრილობები, ვეტერანებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად – მაგალითად რუსეთის ფედერაციამ უკვე ორჯერ ჩაატარა კონფერენცია ფართო საზოგადოებასთან ერთად, სადაც საქართველოდან მიწვეულნი იყვნენ საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე ბატონი რეზო ნაცარიშვილი, მისი მოადგილე, ბატონი გურამ გვეტაძე და აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის თავმჯდომარე ოლეგ ჯოლია. როგორც ვიცით წერილიც იყო გამოგზავნილი მთავრობის სახელზე, მაგრამ ჯერჯერობით მას რეაგირება არ მოჰყოლია. როგორც ირკვევა, ზემოთხსენებული წერილი გადაეგზავნა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურს. საკითხავია, რას გააკეთებს ეს სამსახური?

ჩვენი აზრით – ვერაფერს! იმიტომ კი არა, რომ არაფრის გაკეთება არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ მათ ამის სახსრები არ გააჩნია – ეს მთავრობის საზრუნავი უნდა იყოს. არავითარი კონფერენცია ან რამე შეკრება ჩვენთან არ ეწყობა, ჯერჯერობით...

მეორე მაგალითი: საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურმა კავშირმა თხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს თანხით მათი დაფინანსების თაობაზე (თანხა მიზერული იყო). ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი თაბუაშვილმა ყოველგვარი დაინტერესების გარეშე ურჩია მათ მიეკითხათ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურისთვის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბატონ გიორგის უნდა სცოდნოდა, რომ ვეტერანთა სამსახური მათ ვერაფერს გაუკეთებდა, იმიტომ კი არა, რომ არ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ სხვისი დაფინანსება კი არა, თავად არ არიან დალხენილები.

უნდა იცოდეს ბატონმა გიორგიმ, რომ ვეტერანთა ცენტრალური კავშირი ის ორგანოა, რომელშიც შედიან ქალაქებისა და რაიონების ვეტერანთა საბჭოები. შე კარგო კაცო, გამოვიძახებდი უფროსს ან მოადგილეს, გავერკვეოდი საქმეში და მერე მიგეწერა პასუხი (შეიძლება ასეთი ცარიელი პასუხი არ დაგჭირვებოდა), ეგებ დალაპარაკების შემდეგ სხვა აზრი დაგბადებოდა. საქმის უცოდინარობამ, მისდამი ზედაპირულმა დამოკიდებულებამ, არა სპეციალისტებისა და ცხოვრებაში გამოუცდელ პირთა დანიშვნამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შეიძლება ქვეყანა დაანგრიოს. ადგილი აქვს ბევრი არასპეციალისტის დანიშვნას ქვეყნისათვის გადამწყვეტ სამინისტროებში, რაც, როგორც ზემოთ ვთქვი, კარგს არაფერს მოგვიტანს.

უფრო საგანგაშოდაა საქმე ქალაქის ზოგიერთ სკოლაში – საუბედუროდ, მოსწავლეებმა ჰიტლერზე ბევრად უფრო დეტალურად იციან ყველაფერი, ვიდრე სტალინზე – სამარცხვინოა – არა, უფრო სატირალია, რომ მოსწავლემ არ იცის სტალინი რა გვარისა იყოს და საიდან არის წარმოშობით. ვაი უბედურებავ – რომ გაემარჯვა ჰიტლერს, ქართველების ფეხი არ იქნებოდა საქართველოში – დაფიქრდით ბატონებო, ნუ მოწყდებით ხალხს – იყავით ყველგან კომპეტენტურები, რამაც შეიძლება გვიშველოს.

სტალინი – იოსებ ჯუღაშვილი ეპოქის მოვლენა იყო და ვინ იცის კიდევ როდის მოევლინება მეორე სტალინი მსოფლიოს. ვურჩევ ზოგიერთ **„ყველაფრის მცოდნეს“** სტალინის შესახებ წაიკითხოს გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოში“** ბატონ გიორგი ონიანის საავტორო გვერდი. რახან სიტყვამ მოიტანა, თუ გინდათ სიმართლით იაროთ ამ ქვეყნად სხვასთან ერთად განსაკუთრებით იკითხეთ გაზეთები: **„ილორი“, „საქართველო და მსოფლიო“,** და **„საერთო გაზეთი“.**

დავუბრუნდეთ ისევ ვეტერანებს. ცხადია, გადასაყრელი ფული არც ამერიკას აქვს, არც ინგლისს და არც ისრაელს, მაგრამ იციან ვეტერანთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში და ამიტომ არ ზოგავენ არაფერს.

ჩვენ, ქართველებს გვმართებს დავფიქრდეთ ამაზე და შეუძლებელი უნდა შევძლოთ, მათ დიდი დრო არ დარჩათ ამქვეყნად.

ამაზრზენია ის, რომ ზოგიერთი ქალაქის ხელმძღვანელი იქამდეც კი მივიდა, რომ მერიიდან გაგდება მოუნდომა ვეტერანთა ცენტრალური კავშირის წარმომადგენლებს. მაგალითებიც შეიძლება დავასახელოთ – სამტრედიის, საგარეჯოს და ახმეტის მერიების თავკაცები. აი მეგობრებო რა დონეზეა დღეს დამოკიდებულება დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი საქართველოში – რა დარჩა, მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდება, მალე სულ არ ვიქნებით.

ვიცით ნამდვილად, რომ ახალ მთავრობას ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით ბევრი საქმე აქვს გამოსასწორებელი და გასაკეთებელი, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ქართველი ვეტერანები (მხედველობაში მყავს აფხაზეთის ომის ვეტერანებიც) არ უნდა იყვნენ.

ბევრს გავიძახით, რომ აფხაზები ჩვენკენ მობრუნდებიან (ღმერთმა ქნას), მაგრამ რომელი გიჟი იტყვის რუსეთის პენსიაზე უარს (350 დოლარი, 1000 ევრო) 172 ლარზე გაგიჯდება და ჩვენკენ გამოიქცევა – დროა სიმართლეს გავუსწოროთ თვალი და შევცვალოთ ასეთი მიდგომები – დიდი სამამულო ომის თუ აფხაზეთის ომის მონაწილეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცოტა დაფიქრება გჭირდებათ ბატონებო.

საქართველოში შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს თანხა ირიცხებოდა საქართველოს ვეტერანთა კავშირის აპარატის შესანახად. არც სააკაშვილის დროს და არც ახლა ერთი თეთრიც კი არ ირიცხება და საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ხელმძღვანელობა მართლა გმირულად (სხვა სახელს ამას ვერ მოუძებნი) ეწევიან გიგანტურ შრომას და უძლვებიან ვეტერანთა არმიას (მათთან ყველა სახის ვეტერანები არიან) – ემსახურებიან მათ.

უფრო სამარცხვინოა რომ ვეტერანთა გაზეთი სახელწოდებით **„საქართველოს ვეტერანი“** შევარდნაძის დროს გამოდიოდა დიდი ტირაჟით და მრავალგვერდიანი იყო დღეს კი ეს გაზეთი არ არსებობს. წელს ბატონების რეზო ნაცარიშვილის, გურამ გვეტაძის, ტიტე ლეფსაიას და სხვათა ძალისხმევით გამოსვლა დაიწყო გაზეთმა სახელწოდებით **„ვეტერანი“**, რომელიც მარტო ოთხგვერდიანი იყო და რომელსაც დიდი სიხარულით შეხვდა ყველა დროის ვეტერანი, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა – ივლისში უსახსრობის გამო ისიც დაიხურა. თქვენ იკითხავთ ვინმე თუ შეწუხდა (ხელმძღვანელობა) – არა ყველა დუმს – ასე შორს ვერ წავალთ, მეგობრებო.

ჩვენ, საქართველოს ვეტერანებს ჩამოგვიყალიბდა კარგი ურთიერთობა რუსეთის, მოლდავეთის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა ქვეყნების ვეტერანებთან. ეს განაპირობა მეტწილად საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის ბატონ რეზო ნაცარიშვილის, მისი მოადგილის, ბატონი გურამ გვეტაძის და აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის თავმჯდომარის ბატონი ოლეგ ჯოლიას ვიზიტებმა მოსკოვში – ვეტერანთა ფორუმებზე დასასწრებად. ამ ფორუმებზე ზემოხსენებულმა პირებმა თავისი სიტყვა თქვეს – პირუთვნელად მოახსენეს ვეტერანებს სამაჩაბლოში – ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და ჩვენს საზღვარზე როგორ ივლება მავთულხლართები და როგორ ექცევიან ოსეთის მხარეს ქართველთა სახნავ-სათესი მიწები, ეკლესიები და სასაფლაოები. რაც არ იყოს გასაკვირი ფაქტია, რომ ეს გამოსვლები დადებითად იქნა აღქმული ფორუმის მონაწილეების მიერ – მიუხედავად იმისა რომ, ხაზგასმული იყო, მავთულხლართებს მაინც ავლებენ რუსი ჯარისკაცები.

ფორუმის მთელი მსვლელობის განმავლობაში (3 დღე) იგრძნობოდა თბილი დამოკიდებულება ქართული დელეგაციისადმი. ჩვენთვის ძალიან ამაღელვებელი იყო ის, რომ კონფერენციის დამთავრების თანავე ბატონმა ვალერი კალიაკინმა (რომელიც პრეზიდენტია საერთაშორისო კავშირისა **„გამარჯვების მემკვიდრეები“**) ქართველ დელეგაციასთან მოიყვანა აფხაზეთის დელეგაცია ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის იაკუბ გუმბას მეთაურობით. მან მათ მიმართა დაახლოებით ასე: **“გთხოვთ დაჯდეთ ერთად და მეგობრულად, როგორც გვჩვევია ვეტერანებს, დაილაპარაკოთ იმ საკითხებზე, რომლებიც თქვენ გაღელვებთ და სცადეთ გაუგოთ ერთმანეთს“.**

ვფიქრობ ეს განაპირობა ჩვენი დელეგატების მიერ დასმულმა პრინციპულმა საკითხებმა, რომლებმაც არ შეიძლება არ დააფიქროს საღად მოაზროვნე ადამიანი.

ჩვენ შეიძლება ახლო მომავალში საქართველოში მოვიწვიოთ და ჩამოვიყვანოთ სწორედ ბატონი ვალერი კალიაკინი. რომელსაც შეუძლია დიდი როლი ითამაშოს 70 წლისთავთან დაკავშირებით, მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთოს საქართველოს ვეტერანების დაჯილდოებისა თუ სხვა დახმარების აღმოჩენის კუთხით. ეს და მრავალი სხვა ღონისძიების ჩატარება მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი წარმატება იქნება.

იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება ბატონ ვალერის და ზემოთხსენებულის შესრულებას არაფერი დაუდგება წინ.

ბოლოს მინდა ვაუწყო საქართველოს ვეტერანებს, რომ ომის დამთავრების 70 წლისთავთან დაკავშირებით შედგენილია გეგმა და ყველგან (სადაც საჭიროა) გაგზავნილია ყველა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა ჩატარდეს 2015 წლის 9 მაისს.

გეგმის შესრულება კი დამოკიდებულია მთავრობაზე, რისი იმედიც გვაქვს, და ეს მართლა მოხდება დიდი წარმატებით, თუ ბატონი პრემიერი შეხვდება ბატონ ვალერი კალიაკინს, რომელიც ამავდროულად არის ვეტერანთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის, ფლოტის ადმირალის ალექსეი სოროკინის მოადგილე – ცნობისათვის სოროკინი უმაღლესი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო რუსეთის ვეტერანებს შორის არამედ საერთაშორისო ვეტერანთა მოძრაობაში, რომლის პრეზიდენტიც ის არის.

ვეტერანებს სწამთ, რომ ჩვენი მთავრობა ომის დამთავრების 70 წლისთავთან დაკავშირებით პენსიებს გაუზრდის როგორც მეორე მსოფლიო ომის, ისე აფხაზეთისა და სხვა ომების ვეტერანებს – რა თქმა უნდა, საშური საქმე იქნებოდა, რომ მოემატებინა ყველა ჯგუფის ვეტერანებისთვის.

ბატონ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს უმორჩილესად ვთხოვთ საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის დაფინანსება მიზერული თანხით (80-90 ათასი ლარი) ბოლოს დაბოლოს დადებითად გადაწყდეს.

**მამანტი ჯოლია**
**ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ა.რ. ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის საპატიო თავმჯდომარე**

# პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

რგ. ძირის მქონე ეთნონიმი მა-რგ-ალი **"მეგრელი",** გარდა ამ აღნიშნული მნიშვნელობისა, აგრეთვე, ზედმიწევნით გლეხს და მრგველს (ანუ მიწათმოქმედს აღნიშნავს; მთელი სამყაროს თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა გიორგია არის მიწათმოქმედთა ქვეყანა

**ფილოსოფოსი** – ყოველივე ამის გამო, ყოველ მიზეზგარეშე, პირსახელი გიორგი მიწათმოქმედების (რგვა-თესვის) აღმნიშვნელ უძველეს ქართველურ რგ ძირიდანაა და შეუძლებელია არ იყოს ქართველური, რაც თვით რგვა-თესვის (მიწათმოქმედების) მიმგნებთა ვინაობასაც ჰფენს ნათელს.

**ავტორი** – როგორც ვთქვით. გი-ორგ-ისმეცნიერ-მკვლევართა (მათ შორის ენათმეცნიერთა კვლევით, მრავალი ალომორფალური ფორმა გააჩნია, როგორიცაა: გერ-გე (აქ გრ კომპლექსი გახმოვანდა); გე-გე (რგ-დან რ დაიკარგა); ჯგ-ეგ-ე (მოხდა სიმეტრიულ დისპოზიციაში კომპონენტთა გადაადგილება და რ-საფრიკატიზაცია); ჯ-ეგ-ე (გარდა აქვე აღნიშნული ცვლილებებისა გ თანხმოვანი დაიკარგა). პირსახელ გიორგი-სრგ კომპლექსი სამ ცვლილებებს თუ **"აკადემიურ"** საფუძვლად გამოვიყენებთ და, რაკი რ<ლ ენათმეცნიერებაში ცნობილი ფაქტია, შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოტეზა: პირსახელები მეგრ.სვანურში ხშირი გი-გლ-ა და შუმერული გი-ლგ-ა-მეში-სგი-ლგ-ა მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილ, ზემოთდასახელებულ, მრავალრიცხოვან ტერმინთა მსგავსად, მათივე, ოდინდელი გრ კომპლექსის დერივატები გახლავან.

**ფილოსოფოსი –** რა თქმა უნდა, პირსახელ გიორგისა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა, ზემოთდასახელებულ, ფაქტობრივი ფუძემდებლურობის გამო, ნებისმიერისთვის ეს ჰიპოტეზა ჭეშმარიტია. მ.ე. მიწათმოქმედებაში პიონერები ქართველები არიან.

**ავტორი** – რაც შეეხება გილგამეშ-ის მეორე მეში ნაწილს, შესაძლებელია აქ პროფ. მიბჩუანია სწორი: გილგა + მესიალ **"სვ.მეომარი, გმირი"** ან ავტორი: გილგა + ქართვ. სუფიქსები მე+ში (შდრ.ექვთი-მე, სალო-მე, ბათლო-მე; ტუღუ-ში, გუგუ-ში. ქედანგვარიგუგუშია > გუგუჩია) და ა.შ.

**ენათმეცნიერი** – გილგამეში თუნდაც ქართველური გენეზისის სახელიც რომ იყოს, ეს სრულებით არ ნიშნავს მისი პერსონის ქართველურობას.. მიწათმოქმედების პიონერებად მსოფლიო მეცნიერება შუმერებს ასახელებს.

**ავტორი** – დიახ, მაგრამ მათ, ხშირად, მხედველობაში აქვთ ქალამ-ელები და არა პროტოშუმერები ანუ ჭეშმარიტი შუმერები, რომელთა დამყრობ უცხოტომელებს და თავად მათ, ოღონდ ასიმილირებულთ მრავალრიცხოვან ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა, ანთროპონიმთა და სხვა სახელთა დარად, რაც მთავარია, პროტოშუმერთა ქვეყნის სახელები – ქალამ, კენგირ, კენგერ და შუმერი შემორჩათ.

**ისტორიკოსი** – მ. ე. თქვენ თვლით რომ ეს სახელები კოლხურია?...

**ავტორი** – დიახ. ეს სახელები კოლხურია, რადგან მხოლოდ ახალკოლხურით – მეგრულით შესაძლებელია მათი სრულფასოვანი ეტიმოლოგია. ძველად ე-გურ-ი მდინარის და მთლიანად ქვეყნის – ეგრისის სახელი იყო. იგი ავტორმა მიწათმოქმედებას დაუკავშირა. ო მეგრ დანიშნულების და კუთვნილების პრეფიქსია. გრ\\რგ და მათ გახმოვანებულ უძველეს მიწათმოქმედების აღმნიშვნელ ძირთა თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასე რომ ე-გურის რესტავრირებული წინაფორმა ო-გურ გაგებული იყო როგორც სარგავი, ოღონდ ამჟამად, უკვე, ეჭვს იწვევს მისივე ო-გურ > ე-გურ ინტერპრეტაცია. საქმე იმაშია, რომ შუმერში ქალამელთა მიერ, თავიანთი ქვეყნის სახელად მოცემული, კენ-გირ// კენ-გერ და მეორეს მხრივ, კოლხეთში დაფიქსირებულ – ე-გურ//ენ-გურ და ინ-გირ სახელთა მსგავსება იმდენად დიდია, მათი საერთო წინაპრიდან ამოზრდა საეჭვო არაა. მითუმეტეს რომ, ორივეთაგანნი – კენ-გირ//კენ-გერ და მეორესმხრივ, ეგურ ქვეყნის სახელიც იყო. ამ სიტყვათა წინაპარი უნდა ყოფილიყო კოლხ. ქიან-გირ ზედმიწ **"ქვეყანა მრგველთა, მიწათმოქმედთა".** ე.ი. ქიან-გირ > ქენ-გირ//კენ-გირ//კენ-გერ და ე-გურ//ენ-გურ//ინ-გირ განხორციელდა. ანუ ამ სახელთა პირველი სეგმენტები ქენ//კენ//ენ\\ინმეგრ. ქიან-ა – **"ქვეყანას"** გამარტივების შედეგი ყოფილა.

**ისტორიკოსი – «...გეოგრ. სახელთა თუ ტერმინთა ეტიმოლოგია „...ყოველთვის როდი მოითხოვს „მაინცადამაინც„ ლექსიკოლოგიის სფეროში მომუშავე სწავლულთა ერუდიციას...»** ივ. ჯავახიშვილი. ქ.ი.

**«...ამა თუ იმ მიწაწყლის მოსახლეობის, როგორც ტომობრივი არსებობის, ასევე ოდინდელი ფართობის გამოსაკვლევად ერთიდაიმავე გეოგრაფიულ სახელთა გავრცელების არესაც აქვს მნიშვნელობა...»** ნ. ბერძენიშვილი. დ. ნ. გვ. 14. მაგ. «...ჰალაფის კულტურა, ძვ. წ. მე-6 ათასწლეულის დასასრულის... ადრე სამიწათმოქმედო კულტურა ჩრდილო მესოპოტამიაში... მისი გავრცელების საზღვრები ჩრდილოეთით ვანის ტბამდე აღწევდა (ესე იგი კარდუხების საცხოვრისამდე ე. ი.) ... ვანის ტბიდან შეტანილია ობსიდიანი... ჰ. კ-სა და აღმ. ამიერკავკასიის, კერძოდ, ქვემო ქართლის ადრინდ. სამიწათმოქმედო ძეგლებს შორის გარკვეული მსგავსება შეინიშნება, როგორც წრიულ არქიტექტურაში, ისე ანტროპომორფულ ქანდაკებებსა და კერამ. ფორმებში. წარმომავლობის თვალსაზრისით ამ მსგავსებათა ახსნა, ჯერჯერობით, დაუდგენელია...» (ქ.ს.გვ. 594). მაგრამ თუ გავითვალიმწინებთ მეგრ. **«გეოგრაფიულ სახელ»** – ჰიდრონიმ ხობი-ს **«გავრცელებას»,** ხობ-ურ (ურ უხშირესი ქართვ. სუფიქსია, ამიტომ ხობურ = ხობელს) სახელის სახით, რომლის ნაპირებზეც იყო ჰ. კ. აღმოცენებული. ამ უკანასკნელის, წარმომავლობის ახსნა არ უნდა გაჭირდეს, მითუმეტეს რომ თანხვედრაა სხვა ნომინაციებში, მაგ. ხაბ-იუ ს. აფხ. ხაბ-უმე ს. ჩხორ რ-ნი; პირსახელები: ხუბ-უ, ხუმ-ფუ; გვარები: ხუბ-უა, ხაბ-არელი. ხოლო გვარი ხაბურ-ზანია პირდაპირ უდრის ხაბურელ ზანს ანუ ხაბურელ მეგრელს, რადგან სვანები მეგრელებს დღესაც ზანებს ეძახიან...

ასე რომ, ბ-ნო ენათმეცნიერო, სისტემური და «აკადემიური» მტკიცებულებები წამოვაყენეთ. გაქვთ რამე საწინააღმდეგო?...

**ენათმეცნიერი** – ?!...

**ფილოსოფოსი –** ჯერ მივყვეთ ავტორის ლოგიკური აზროვნების დინამიკას: რომ მიწათმოქმედების პირველი ჩანასახები მდინარეთა ნაპირებზე უნდა აღმოცენებულიყო, სწორია არა მარტო იმიტომ, რომ ეს მიწები ადვილად ასათვისებელი და ნოყიერია, არამედ ეს ისტორიული ფაქტია: მიწათმოქმედება მართლაც მდინარეთა ნაპირებზე გაიფურჩქნა. ესენია: ტიგრი, ევფრატი, ნილოსი, რიონი, ენგური და ა. შ.

თუნდაც მხოლოდ აქვე, ზემოთ დასახელებულ საკუთარ სახელებში, ეთნონიმებში, ჰიდრონიმებში, მიწათმოქმედების და ა. შ. სახელებში არსებულ გახმოვანებულ თუ გაუხმოვანებელ რგ//გრ//გურ//გერ და ა. შ. კომპლექსების ფუნქციის დადგენის შემდეგ, შევუდარებთ რა ამ სახელებს საქართველოდან იმავე კომპლექსების შემცველ და იმავე მნიშვნელობის სახელებს მესოპოტამიაში, მათი შექმნის ერთგვაროვნება ეჭვს არ ბადებს. განსაკუთრებით თვალსაჩინო და სარწმუნოა ის ფაქტი, რომ ჯერ ერთი, ყველა ეს სახელი კავშირშია მიწათმოქმედებასთან და პლიუს ამას, ის რომ ქვეყანას და მდინარეს საქართველოში ერთიდაიგივე სახელი ქვია და ასევეა ეს მესოპოტამიაში. მ. ე. ამგვარი სიტყვათხზვის პოეზია ერთიდაიგივე ხალხის შემოქმედებაა.

**ავტორი** – შუმერული ენ-ქი მეგრ. ქიან-ა **"ქვეყანა"** აგებულებით მხოლოდ მარცვალთა დისპოზიციით განსხვავდებიან. მათი შემადგენელი ნაწილები – ქი იგივე ქა **"მიწა"** და ენ იგივე ან **"ცა"** ერთიდაიგივეა. რაკი ქი იგივე ქა მიწა გახლავთ, ქა-ლამ იქნება სველი მიწა, რადგან მეგრულად მო-ლამ-ე მოსველებულია, ლამ-ირი და ლამ-ე კი სველია. თვალში საცემია და, იმავდროულად, უმნიშვნელოვანესი გახლავთ ის ფაქტი, რომ (შ2 >) შუ მარცვალის წყალობით, იგივეა შუ-მერ-იც. ეს უკანასკნელი, დიდმა ნიკო მარმა იმერ, იბერ, ივერ, სპერ და გუერ-ს დაუკავშირა. ოღონდ არც მას და სხვა მრავალ მეცნიერ-მკვლევარს არ მოუხმია კოლხური სიტყვებისათვის – შ2 **"სველი, წყალი"** და მერე (იხ.დამატება გვ. 33-34) მეგრ. **"წყლისპირა მიწა,"** გურ. **"ჭალა".** და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სიტყვები მეცნიერული განსჯის ობიექტად, მხოლოდ ავტორმა გახადა. როგორც ბევრჯერ ითქვა, სწორედ სუბტროპიკული კოლხეთის მდინარეების ქვიშიანი და სველი ჭალების შ2 + მერე ადგილებში დაიწყო მატრიარქატში მიწათმოქმედებამ აღმოცენება რადგან ეს მიწები ფრიად ნოყიერი და ადვილად დასამუშავებელი იყო. ამიტომაც ეწოდებოდა რიონ-ენგურის შუამდინარეთს შ2 + მერე, რომელიც დღეს (შ2-მერ>) იმერ-ის სახით საქართველოშია, ხოლო (შ2-მერ>) შუ-მერ-ის სახით მესომოპატამიაში იყო ცნობილი (იხ. "გთ" გვ.130-135).

**ენათმეცნიერი** – შუმერ-ი მოსე ჯანაშვილის მიხედვით, შუა + მერე-დანაა, რაც შუამხარეს ნიშნავს.

**ავტორი** – მეგრულში გვაქვს ადგილის ზმნიზედები — ამარ-ი **„აქ"** დაემერ-ი **„იქ».** მათი შესატყვისია ქართ. ამერ-ი დ აიმერ-ი აქეთა დ აიქითა მხარის მნიშვნელობით. ახლა კი, ვთხოვ ძვირფას მსკითხველს გვ-ზე კვლავ გადახედოს მსჯელობებს ქართვ. წარმომავლობის ინდოევრ. ზღვის აღმნიშვნელ მარ//მერ//მორ სახელთა თაობაზე, რომელთაგან, მნიშვნელობის დავიწროებით, მიღებულია ზღვის და მდინარის ორივე ნაპირის გაგება. ქართვ. ა და ე ხმოვნები, შესაბამისად, აქეთა და იქითა მიმართულებაზე მიუთითებენ.

**ფსიქოლოგი –** მ. ე. ქართვ. მწარე>\\მარე **„ზღვისწყალი"**// „ზღვა"> შემდეგ მეგრ. ზმნიზედები ამარ-ი წარმოიქმნა მდინარის – აქეთა ნაპირის, ხოლო ემერ-ი კი იქითა ნაპირის თვალსაჩინო წარმოდგენიდან, რომლებმაც, თავის მხრივ, ასევე მოგვცეს აქეთა დ აიქითა მხარის აღმნიშვნელი ქართ. ამერ-იდაიმერ-ი.

ბატონებო, საქმე გვაქვს უაღრესად სარწმუნო ფსიქოტრანსფორმაციებთან.

**არქეოლოგი** – ჯანაშვილის შუა-მერე **„შუა-მხარესთან"** შედარებით ავტორისეული შუ-მერ **„სველი ნაპირის"** უპირატესობა აშკარაა, რადგან პირველი მიწათმოქმედება, როგორც ბევრჯერ ითქვა, არა მდინარეთაშორის არსებულ, ძნელადასათვისებელ შუამხარეში, არამედ ადვილად დასამუშავებელ მდინარის უშუალო, გვალვაგამძლე, ნაპირებზე – ჭალებში ვითარდებოდა. რაც მთავარია, სწორედ ასეთია რიონ-ენგურის, კოლხეთის სხვა წყალუხვ მდინარეთა და ტიგრ-ევფრატისა და მათი განშტოებების ნაპირები მესოპოტამიაში (დღევანდელ ერაყში). და საერთოდ, ყველგან.

**ავტორი** – როგორც ბევრჯერ ითქვა, სწორედ სუბტროპიკული კოლხეთის მდინარეების ქვიშიანი და სველი ჭალების შ2 + მერე ადგილებში დაიწყო მატრიარქატში მიწათმოქმედებამ აღმოცენება. ამიტომაც ეწოდებოდა რიონ-ენგურის შუამდინარეთს შ2 + მერე, რომელიც დღეს (შ2-მერ>) იმერ-ის სახით საქართველოშია, ხოლო (შ2-მერ>) შუ-მერ-ის სახით მესომოპატამიაში იყო ცნობილი (იხ. **"გ. თ"** გვ.130-135).

**არქეოლოგი** – ოპტიმალური ეკოლოგიური გარემოს გამოყენება (რაც პირველხარისხოვან ფაქტორადაა აღიარებული) კოლხეთში ნათლად და მკაფიოდაა დაფიქსირებული: მდ. რიონი (და ენგურიე. ი.) ხელს უწყობდა ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას..."ო. ლორთქიფანიძე **„ნასლედიე დრევნეი გრუზიი"** გვ 204- 208-209.

**ანტროპოლოგი** – გასაგებია, თქვენი თვალსაზრისით, მიწათმოქმედებამ, როგორც ადამიანის სხვა სამეურნეო მოღვაწეობათა საბაზისო დარგმა და გეოგრაფიულმა სახელმა, შ2-მერ>შუ-მერ-ის სახით, რიონ-ენგურიდან ტიგრ-ეუფრატის ნაპირების გაყოლებით, ჩააღწია მესოპოტამიამდე.

**ისტორიკოსი – "...როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, დაახლოებით ძვ.წ. XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე, სემიტებთან ბრძოლის შემდეგ, ლაზ-მეგრელების ერთი ნაწილი ქვემო მესოპოტამიიდან გადასახლდა ზემო მესოპოტამიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე...»** (კლ. შელია **"კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭე"** გვ. 226).

**ანტროპოლოგი** – "...ზ. ქაფიანიძე წერს: ქართულ-მეგრულ-სვანური – ეს ერთი ენის შვილები და შუმერის ენაა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას (დ.ნ. გვ.225).

**ისტორიკოსი** – ერაყის ტერიტორიაზე **»კულხას», «კოლხას»** არსებობის შესახებ მოთხრობილია „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში **„..ქ. კალხუ კოლხი ხალხის საცხოვრებელი იყო".** დ. ნ. გვ. 269.

**არქეოლოგი – «...ვახტანგ გოლაძე...ხუმუშკიას (კარდუხთა ქვეყანა) და შუბრის (მუშქთა ქვეყანა) მოსახლეობის ქართველურ წარმომავლობაზე მიუთითებს...»** დ. ნ. გვ. 269.

**არქეოლოგი – "...რკინის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი გასაიდუმლოებული იყო ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლომდე. რკინის აღმოჩენა და დამუშავება ხდება შავიზღვისპირეთის სამხრ.აღმოსავლეთში, ქ. ტრაბიზონის მიმდებარე ტერიტორიაზე...აქ ... ადრე შექმნილი ჰქონდათ ლითონის, ოქროს, ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგიები.. სტრაბონის თქმით, ხალდები – ხალიბები უფრო ადრე მეგრელებად მოიხსენიებოდნენ. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს შუმერის ცივილიზაციისათვის საჭირო ნიადაგი და თვით შუმერის ცივილიზაცია"** (დ.ნ. გვ. 248).

**ავტორი** – მადნეულიდან ოქროს მოპოვება საქართველოში ექვსათასწლეულს მოიცავს.

ისტორიკოსი – ავტორთა: წერეთელი, გელოვანი, მარი, ჯავახიშვილი, ჯანაშვილი, ჯანაშია, ალფენიძე, ქაფიანიძე და სხვათა მიერ შუმერულ — ქართველური ეტიმოლოგიური პარალელების ჩვენების კვალდაკვალ, ავტორის მიერ ეთნონიმთა ზემოთხესენებული სიცხადით დადგენის ფაქტი დიდმნიშვნელოვანია...

**ავტორი –** პროტოშუმერთა და კოლხთა იდენტურობას ურყევ ჭეშმარიტებად აქცევს ის ფაქტი, რომ სახელები ქა-ლამ-ი, შუ-მერ-ი და ე-რაყ-ი იგივურ ეტიმოლოგიურ შინაარს, სახელდების მასგავს პრინციპებს არიან დაფუძნებულნი: ე-რაყ-ის რაყ ძირი შუ-მერ-ის მერ-ის ფარდია, მნიშვნელობით: თუ მერ-ე წყლისპირა მიწაა, ჭალაა, იგივეა რიყ-ე// რეყ-ე; მეგრ. ო-რეყ-ე (>ე-რაყ-ი) კი დღესც წყლისპირა სანახების — რიყე ადგილების მნიშვნელობისაა, ხოლო ქალამ, როგორც ზემოთ ითქვა, ქა **„მიწა, ქვეყანა" + ლამ მეგრ. „სველი"** იძლევა ჯამში **„სველი მიწის"** (როგორიც მერე და რიყე ადგილებია) მნიშვნელბას.

**ენათნეცნიერი** – ქვეყანა და სახელი მისი – ალ-ი-რაკ-ია, ე-რაყ-ი გვიანდელია.

**ავტორი – „ტოპონიმიკა „ისტორიის დედაა".** ქვეყანაა გვიანდელი და არა სახელი მისი. შუმერული და ქართველური სხვა მრავალი სახელიც წარმოქმნის ერთიდაიგივე პრინციპებს ეფუძნებიან:

მაგ: მერე ქვია მიკრტოპონიმს მდ. ჩხოუშიის შესართავს ენგურთან, ხოლო სოფელს ვაკეზე, ლიახვის ნაპირებზე – მერე-თი; მარა-დი ქვია ქალაქს ევფრატის განშტოების ნაპირებზე შუმერში, მაგრამ დღევანდელი ქართ. გაგება ამ სიტყვისა არაფერ შუაშია: ამ სახელის წინაფორმა გახლდათ მერე-თი **„წყლისპირა ჭალა ადგილი".** უცილოა, სახლდებები: მერე, მერეთი სქართველოში და მერე-თი > მარა-დი შუმერში მიწის წყლის პირად მდებარეობით არიან განპირობებულნი.

ტოპონიმი, შემდეგ ქალაქი სახემწიფო შუმერში – ლა-გა-ში და ტოპ. სამეგრელოში გა-ში-ფერდი გარკვეული ტერიტორიის, ერთიდაიგივე, ქედის ფორმის ქონების მოზრებებიდან ამომდინარეობენ: გა ქედია მეგრულად. გაში-ფერდი ზედმიწ. ნიშნავს ქედის ფერდობს. ლა-გაში მეგრულად იქნება ქედის ფორმის ტერიტორიის მდებარეობა. შდრ. ლა- ფარო, ლა- კადა და ა. შ.

**ფიზიოლოგი** – დილეტანტური შენიშვნა თუ ური (შდრ ურთა მთა სამეგრელოში), ურუქი (შდრ. ურეკი), შურუფაქი, ლა-გაში, მარადი, ერიდუ, კოლხა, და ა.შ. ქართველური ტოპონიმებია, მაშ, ბატონებო, შუმერი საქართველოა ძველი საქართველო.

**ფსიქოლოგი** – ჩემი აზრით, პროტოშუმერთა კოლხებად აღიარებისათვის, მხოლოდამხოლოდ, შუმერში დაფიქსირებული სახელები შუმერი, ენგური და ქალაქ კოლხას სახელიც საკმარისია.

**არქეოლოგი** – მაგრამ რა უნდა ითქვას იმ შემთხვოვაში, თუ დავამატებთ, ზემოთქმულ, მიწათმოქმედებასთან, საერთოდ შრომასთან დაკავშირებულ სახელებს: **«...კოლხეთი საწყისია არამარტო პროტოშუმერული ისტორიისა, არამედ პრეისტორიისა, როცა მხედველობაშია მეტყველების წარმოქმნა...»** (იხ. ჟურნ. **"აია"** 1998 წ. 7. ინტერვიუ ავტორთან აქვე თქმული ქვესათაურით).

**ისტორიკოსი** – ენათა ლექსიკის აბსტრაქტული ტერმინებით შევსება დაიწყო ძირითადად, მიწათმოქმედების დაწყებიდან, რომელმაც, როგორც ითქვა დააჩქარა მეურნეობის სხვა დარგების განვითარება, ზოგიერთი მეცნიერების ჩასახვა (ვთქვათ მათემატიკის) და, შესაბამისად ამგვარი სიტყვებით მეტყველების კიდევ უფრო გამდიდრება.

**ედემი იზორია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# მეგრული (იბერიული) ენა (მონაცემები და მნიშვნელობა)

როგორც გვარწმუნებენ, თვალი უფრო სრულყოფილია, ვიდრე ყური და სულიერმა თვალმა ჯერ ასონიშნები აღიქვა, ხოლო გახმოვანება მერე მოხდაო, ეს სრულყოფილება ფარდობითია და, შეუძლებელია, ყველა გრძნობის ორგანოები ერთად აღებულიც, გონებაზე მაღლა იდგეს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, განვითარებას არ ექნებოდა ადგილი. გონება ყოველთვის უფრო შორს ჭვრეტს, ვიდრე თვალი. ამიტომ აღემატება ადამიანი ცხოველებს, თორემ ზოგ ცხოველს ხუთივე გრძნობის ორგანო უკეთ აქვს განვითარებული, ვიდრე ადამიანს.

ЗОАР-ის მიხედვით ასონიშნები წარმოადგენენ განსაზღვრულ საფეხურს. „ამიტომ ასონიშანი **ტავ** ამტკიცებს, რომ ის ყველაზევარგისია თავისი თვისებებით სამყაროს შესაქმნელად, რომ მისი თვისებებით შეიძლება მივიყვანოთ სამყარო გამოსწორებამდე და ქმნილების მიზნამდე, იმიტომ რომ ის განსაზღვრავს თვისებას „სიმართლე“, წარმოადგენს შემოქმედის ბეჭედს“ (გვ. 310).

შევადაროთ აქ აღწერილი, იბერიული ბგერა-სიტყვის **ტგ** მნიშვნელობას **ტოვა**. სიტყვა **ტოვა** გამომხატველია რეალობისა, თვალსაჩინო ჭეშმარიტებისა, რომლის მიხედვით შეიძლება ამ ბგერის აღმნიშვნელ ასონიშანს მიეცეს პირობითად გრაფიკული მოხაზულობა და ებრაული ასონიშნის **ת** (ტ) შექმნისას, სწორედ ქმნილების ადამიანის ეს თვისებაა გამოყენებული (იხ. Михаел Лаитман, ЗОАР, Буквы Амнона-Саба). აქ სქელი ჰორიზონტალური ხაზი ღვთიური ნათელის მიმღებად არის წარმოდგენილი, ამ ხაზის მარჯვენა ბოლოდან დაშვებული ვერტიკალური შემოუსაზღვრელი სწორი ხაზიდან ხდება სხვებზე ნათელის (ღვთიური სიბრ ნის) გაცემა, ხოლო მარცხენა ვერტ–იკალური ხაზი მოხვეული ბოლოთი ღვთიური ნათელის გარკვეული ნაწილის თავისთავში შემნახველია.

„...სამყაროს და მასში მაცხოვრებლებს შეუძლია არსებობა მხოლოდ ასონიშან **შინ**-ის დახმარებით, მისი თვისების წყალობით, რომელიც საზღვრავს ნათელის გავრცელებას...“ (იხ. იქვე. გვ. 317).

ბუნებრივია, მეხსიერების მქონე არსების – ადამიანის გარდა, ვერცერთი სხვა ცხოველი ვერ გააცნობიერებდა სამყაროს არსებობას. ე.ი. სამყარო და მისი მაცხოვრებლები არსებობენ მეხსიერების წყალობით. მეხსიერების გარეშე ვერ გავრცელდებოდა ნათელი (ღვთიური სიბრძნე). მეხსიერებაა ორფეხა ველური ცხოველის ადამიანად ჩამომყალიბებელი უპირველესი თვისება და ეს თვისება ასახულია ერთადერთ იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვაში **შგ**, რაც ნიშნავს **ახსოვს**-ს. რადგანაც უძველეს არქაულ ხანაში გრამატიკული სააფიქსაციო საშუალებები არ არსებობდა, ბგერა-სიტყვა **შგ**, ზოგადად, ხსოვნას, მეხსიერებასაც ნიშნავდა. ე.ი. ამ ღვთით ბოძებული თვისებით მდიდარი ადამიანი პოტენციური ღმერთია და ამ თვისებით განისაზღვრება ღვთიური ნათელის გავრცელება. ებრაელმა ბრძენმა კი ბგერა – სიტყვა **შგ**-ში ასახული ეს თვისება (მახსოვრობა) ამ ბგერის აღმნიშვნელ ასონიშანს დააბრალა, რადგან ებრაულ ენაში არ არსებობს თითო ბგერით გამოხატული სიტყვები.

„შევიდა ასონიშან **פ** (პ) – პეი (პირს ნიშნავს ებრაულად, კ.ფ.) და უთხრა: „სამყაროს მფლობელო, კარგია ჩემგან სამყაროს შექმნა, რამდენადაც სამყაროს შემდგომი განთავისუფლება, ხსნა იწყება ჩემგან. ე.ი. განთავისუფლება – ეს ხსნაა ყოველგვარი ტანჯვისგან. ამიტომ ღირს ჩემგან სამყაროს შექმნა“.

უპასუხა შემოქმედმა: „თუმცა შენ კარგი ხარ, მაგრამ შენგან იწყება და შენით საიდუმლოდ აღინიშნება სიტყვა – პეშა (ცოდვა), მსგავსად გველისა თავისი თავის ტანში მმალველისა...“ (იხ. ЗОАР, გვ. 324).

„...თვისება – ცოდვა (პეშა), იმყოფება დაფარულობაში, იქ იმყოფება გველის ძალა, მომტყუებელი ხალხისა და მათი მიმყვანი სიკვდილამდე (იხ. იქვე, გვ. 326).

აქაც ასონიშანი (ბგერის აღმნიშვნელი გრაფიკული გამოსახულება) წარმოდგენილია ადამიანის ზემოაღნიშნული თვისებების მატარებლად.

ბგერა პ ბაგისმიერი ბგერაა. ცხადია, ბაგე-პირმა და მეტყველების უნარმა გაანთავისუფლა ველური ცხოვრების ტყვეობიდან ადამიანი. ასევე, ცხადია, ტანჯვა-წამება, ომები და მკვლელობები, სიკეთისა და ბოროტების შეუცნობლობისა და გაურჩევლობის ბაგე-პირით გამოვლინების შედეგია. ე.ი. ადამიანად მყო(ფიერებლისა) და მკვლელის როლის შესრულება მისი პირ-ბაგეთა თვისებაა. და, სწორედ, პირი (განმანთავისუფლებელი, ანუ ადამიანად მყო-ფიერებელი) და მკლა (ვკლავ) ერთი ძირიდან პგრგ არის ნაწარმოები (პგრგ//მყო არის; პგ=მყო, რგ= რე=არის):

პგრგ პგრე (მყო არის) პირე პირი

პგრგ პგლგ პილგ (მკლა; ვკლავ)

(ბგერა რ-ს რელაქსაცია (დარბილება) ბგერათი ლ ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა).

როგორც ვხედავთ, ადამიანთა თვისებები განთავისუფლება და მკვლელობა იბერიულ ენაზე პ ბგერაშია ასახული.

ЗОАР-ი მოგვითხრობს, რომ ასონიშანი **ג** (გ) – გიმელი ფლობს გულმოწყალების ნათელს, რომელსაც გასცემს გაძარცული და ღარიბი ტანის საწყის ასონიშანს – **ד** (დ) დალეთს, რომლის გარეშე ის, საერთოდ, მოკლებული იქნებოდა ნათელს და მის გარეშე არსებობა არ შეეძლო დანარჩენ ასონიშნებს, ანუ ადამიანის დანარჩენ თვისებებს (ინტერპრეტაცია ჩემია კ.ფ. დაწვრილებით იხ. ЗОАР, გვ. 318-319). ებრაული ასონიშანი **ג** (გ), მისი გრაფიკული მოხაზულობა ფლობს გულმოწყალების ნათელს (სიბრძნეს) (?!)

იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვაში გგ ასახულია პატივის მიგება (მარდი გინა-გგ – მადლი მი-აგო), ადამიანური ვალის მოხდა (ვალი გინი-გგ ვალი გადა-იხადა), გარემოცვისთვის სასარგებლო რეალობების აგება-შენება (ხიდი, შენობა, ოხორე აუ-გგ ხიდი, შენობა, სახლი აუ-გო) და, საერთოდ, გულმოწყალება (სიკეთის კეთება), ანუ ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება საზოგადოებაში კავშირის დასამყარებლად. მაგრამ რამდენად ამსახველია ადამიანის აღნიშნული თვისებისა ებრაული ასონიშანი **ג** (გ), მკითხველმა შეაფასოს.

„შევიდა შემოქმედთან ასონიშანი ბეთ-ი და უთხრა: „სამყაროს შემქმნელო, კარგია ჩემით სამყაროს შექმნა, რადგან ჩემით განგადიდებენ შენ მაღალნიც და მდაბალნიც. ვინაიდან ბეთ-ი – ეს ბრახაა – კურთხევაა“. უპასუხა მას შემოქმედმა: „რა თქმა უნდა, შენით შევქმნი მე სამყაროს, და შენ იქნები სამყაროს საწყისი!“ (იხ. ЗОАР, გვ. 343). ე.ი. „...ЗОАР-ი მოგვითხრობს, რადგან მიდიან ასონიშნები – თვისებები, ძალები, სურვილები შემოქმედთან, ლოცვის დროს განდიდების მსგავსად. ყოველ ჯერზე ადამიანი ითხოვს იმას, რომელიც მას ეჩვენება ნამდვილ მიზნად, იმას, რა თვისებას და ძალას სურს დაეუფლოს იგი. და თითოეული ასონიშანი (თვისება, ძალა, სურვილი, კ.ფ.) ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისაა ყველაზე უკეთესი შემოქმედის თანაგრძნობის მისაღწევად, მასთან შესარწყმელად. ხოლო შემოქმედი ამტკიცებს, რომ ყველაზე უკეთესი და ერთადერთი – ეს ასონიშანი ბეთ-ია, რომ მხოლოდ ის აძლევს ადამიანს მასთან კავშირს“ (იქვე, გვ. 303).

ფიზიკის კანონების ელემენტარულმა მცოდნემაც კარგად იცის, რომ სამყარო მის ელემენტთა ურთიერთკავშირს უჭირავს, რომ ამ კავშირის გარეშე ვერ იარსებებდა სამყარო; სოციუმის არსებობის კანონების ელემენტარულმა მცოდნემ კარგად იცის, რომ ადამიანი ადამიანებთან ურთიერთკავშირის გარეშე, ველური ცხოველი დარჩებოდა. ე.ი. ბმის, კავშირის (ბ) გარეშე, ადამიანი და, საერთოდ, სამყარო ვერ იარსებებდა. ამ კავშირითაა შექმნილი სამყარო და იბერიულ ენაზე ეს კავშირი ბ ბგერაში აისახა.

სამეტყველო ბგერები ბუნებამ (ღმერთმა) გვიკარნახა: ბუნებაში არსებულ ბგერებზე ხმაბაძვით მივიღეთ ისინი.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ბგერები, მაგრამ ძირითადი ბგერები ყველა ენისათვის ერთია, ხოლო ამ ბგერების აღმნიშვნელი ასონიშნები 250-ზე მეტი. ე.ი. სხვადასხვა ენაზე მეტყველმა ადამიანებმა ერთიდაიგივე ბგერა სხვადასხვა გრაფიკული მოხაზულობის მქონე ასონიშნებით აღნიშნეს. მაგრამ, როგორც ებრაელი ბრძენები ირწმუნებიან, ერთადერთს მათ უბოძა შემოქმედმა მზა-მზარეული, ადამიანის თვისებათა მატარებელი ასონიშნები.

ელემენტარულად მოაზროვნე ადამიანს, ოდნავ მაინც ჩახედულს იბერიულ ბგერებში და ებრაულ ასონიშნებში, რომლებსაც ისინი ადამიანთა თვისებების მატარებლად თვლიან, უეჭველად დაებადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ იბერიულ ენაზე ამა თუ იმ ასობგერაში ბუნებრივად ასახული თვისება ადამიანისა, აისახა იმავე ბგერის აღმნიშვნელ ებრაულ ასონიშანში, როცა ებრაულ და, ამასთან, არცერთ სხვა ენას დედამიწაზე თითო ბგერით გამოხატული სიტყვები არ გააჩნიათ?

მაგალითად, როგორ მოხდა, რომ იბერიულ ენაზე ასობგერა შ-ში ასახული უმთავრესი თვისება ადამიანისა – მახსოვრობა, რომელიც საზღვრავს ამა თუ იმ ადამიანის სიბრძნის დიაპაზონს, მოცულობას და ამ სიბრძნის გავრცელებას საზოგადოებაში, აისახა იმავე ასობგერის აღმნიშვნელ ებრაულ ასონიშანში **ש** (შ)-შინ, როცა ებრაულ და ნებისმიერ სხვა ენაზე ასობგერა შ არაფერს ნიშნავს?

ვფიქრობთ, ამ სტატიის მკითხველი დასმულ კითხვასაც გასცემს პასუხს.

ახლა კი იმაზე, ადამიანის რა თვისებებია ასახული იბერიულ თანხმოვან ბგერებში. 30 თანხმოვანი ბგერაა იბერიულ ენაში. ალბათ, არ იქნება ინტერესმოკლებული ადამიანის რა თვისებებია ამ ბგერებში ასახული და რას გვაძლევს ისინი. ეს საკითხი უფრო ვრცლად განხილული გვაქვს ნაშრომში „იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა”. ამიტომ აქ წარმოვადგენთ მხოლოდ დასკვნით ნაწილს.

ჰყოფა-ქმნაობა (ყგ=ჰყო; ქმნა), წოლა-დასვენება ხანგრძლივი დროით, ღამის საათებში, დახარჯული ენერგიის აღსადგენად (ჯგ=წვა), დაშლა-დამხობა უვარგისობისა, ან უკეთესობის შექმნის მიზნით (ჴგ=შალა; ამხო), შეკვრა-შეკოწიწება ახალი ქმნილებისა (ჭგ=კერა) და დაუოკებელი სურვილი-სწრაფვა ჭეშმარიტების სიღრმეში (ჭგ=ჭა) ძირისძირამდე წვდომისკენ და ამისთვის სულიერი წვა (ჭგ=ჭუ=წვა), წოვა, ანუ გონების მუდმივი კვება ინფორმაციებით (წგ=წოვა), უმოქმედოდ გდება და ძილი (ძგ=ძევს), ურთიერთ პატივისცემა და ფიზიკურ-სულიერი წკეპლით ცემა ადამიანისა ადამიანის მიერ (ცგ=სცა), გარემოცვის ჭმევა-კვება (ჩგ=აჭამა, ზოგადი ფორმით, ჩამა//გო-ჩამა-გაცემა), ინფორმაციათა დამახსოვრება (შგ= ახსოვს, ზოგადი ფორმით, ხსოვნა, მახსოვრობა), სასოწარკვეთილის ყვირილი გასაჭირისას და აღფრთოვანებულის ყვირილი სიხარულისას (ყგ=იყვირა), მიღება-გაცემა სიბრძნისა, თუ მატერიალური ღირებულებებისა (ღგ=იღო, მიიღო-გაიღო), გარდაქმნა-გადაკეთება (ქგ=ფქვა; ქმნა-გარდაქმნა), აზრთა დუღილი და ამაღლება (ფგ= იდუღა), სხვათა ხსნა-გადარჩენა, ნათელის, თუ ცოდვის კვალის დატოვება, ცოდვათა მიტევება, შობა-განთავისუფლება (ტგ=არჩინა; ტოვა; ტევა; შვა), განტვირთვა-შვება და სიამოვნება-ნეტარება (სგ=შარდა=განიტვირთა), რეალობათა დაფიქსირება (რგ=რე=არის), შემოქმედისგან ჩადებული ღვთიური ნათელის მზესავით პერიოდული გამონათებები და ამაღლება (ჟგ//ჟი//ჟა=მზე; ჟგნცგ=მზეობს), მყო-ფიერებლისა და მკვლელობის ჩადენა (პგ=მყო), წყალობა და წყენა-ვნება (ნგ=წყალი; ვნო. ნგნცგ=წყალობს), საკუთარი შინაგანი ძალების, ანუ მეობის შეცნობა (მგ=მე; მგნცგ=მეობს), ვარდნა-დაცემა (ლგ=ვარდება), სულიერი სიმტკიცის წრთობა და ფასეულობათა მოკავება (კგ=კვერა (აწრთო); იკავა), ხედვა, აღქმა ნათელისა (თგ=თოვა, ანუ ნათელი მოვიდა), სუნთქვა სასიცოცხლო (ჰგ), ზელვა-დამუშავება ქმნილებისა, სასიცოცხლო, თუ სასიკვდილო ცეცხლის დანთება და დაზავება (ზგ=ზილა; ანთო, აზავა), სასოწარკვეთა და ვაება-წუხილი (ვგ), დება-დაკონსერვება ფასეულობებისა (დგ=დო), ადამიანური ვალის მოხდა, პატივის მიგება და აგება-შენება, ანუ გულმოწყალება (გგ=იხადა; აგო; უგო) და, ბოლოს, გარემომცველ სამყაროსთან მუდმივი კავშირი (ბგ=ბმულია; კიდია; ეკიდა) – ესენი ადამიანის ის თვისებებია, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს ღვთით ნაკარნახევ იბერიულ სამეტყველო ბგერებში, განაპირობეს ორფეხა ველური ცხოველის გაადამიანება და შემოქმედის დახმარებით ამ თვისებათა გონივრული გამოყენება და მართვა, გარემომცველ სამყაროსთან მუდმივ კავშირში, უზრუნველყოფს სამყაროს სრულყოფილ შეცნობას და ადამიანის საბოლოოდ განღმრთობას. აი, ჩვენი აზრით, რას გაძლევს ისინი.

გარდა აქ წარმოდგენილი მონაცემებისა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა მეტნაკლები რაოდენობით დღემდე ინახავს დედამიწაზე არსებულ ოთხივე ტიპის ენობრივ მონაცემებს, რაც მის გლოტოგონიურობას მოწმობს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, ტომი I, გვ. 172-180).

უშეცდომობის პრეტენზია ნამდვილად არა მაქვს, პირიქით, მჯერა, რომ აქ წარმოდგენილი საკითხების ბევრად უკეთ შესწავლა შეიძლება, ვიდრე ეს მე შევძელი, და აუცილებელიცაა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალები ენათმეცნიერული თვალსაზრისით ინტერესმოკლებული იყოს. და პროფესიონალი ენათმეცნიერები თუ გამოიჩენენ ამ მიმართულებით დაინტერესებას და ჩემს მიგნებებს განავითარებენ დღეისათვის არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელზეც მე ხელი არ მიმიწვდება და შეეცდებიან ე.წ. მეგრული ენის სიღრმისეულ შესწავლას, ლინგვისტური მეცნიერება მნიშვნელოვან ნახტომს გააკეთებს თავისი განვითარების ისტორიაში, რამეთუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ენაში ინახება ორფეხა ველური ცხოველის გაბმული ზმუილიდან დანაწევრებული ადამიანური მეტყველების ჩამოყალიბების საიდუმლოებანი.

**კუკური ფიფია**

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“ იუწყება, რომ 94 წლის ასაკში გარდაიცვალა ამ აკადემიის ნამდვილი წევრი

**ზაგამბეი გოგოხია**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ჯაბა კანკავა: საქართველომ უნდა მოიგოს, თორემ ირლანდია თავისით არ წააგებს



"7 სექტემბერს" სულ უფრო ხშირად ვახსენებდით. ამ დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში ირლანდიის ძლევასა და ევროშესარჩევი ციკლის გამარჯვებით დაწყებას შეეცდებოდა.

ცხადია, თემურ ქეცბაიას გუნდს იმ მატჩში ჯაბა კანკავა უკაპიტნებდა – "დნიპროს" საყრდენი ნახევარმცველი, ვინც თითოეულ სანაკრებო შეხვედრაში ეროვნული გუნდის ნამდვილი ყოჩია...

ბოლო დროს მას უკრაინის ჩემპიონატში ძველებურად აღარ ენდობა დნეპრისპირელთა მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩი. ჯერ კიდევ აღნიშნულ მატჩამდე, კანკავასთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ...

– ფაქტია, რომ ისე ხშირად ველარ ვთამაშობ, როგორც ადრე. ჩემზე მეტად ამას არავინ განიცდის. მიზეზებზე მეც ბევრს ვფიქრობ. ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშეთ კარგად. მერე, უკრაინის პირველობაზე მწვრთნელმა შემადგენლობა შეცვალა და იმ შემადგენლობამ მოიგო.

თავადაც იცით, გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას ყველა ერიდება. გამონაკლისი არც "დნიპროს" მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩია...

რა გითხრათ... თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, არც დამატებით დატვირთვებს ვერიდები და ვნახოთ, რა გამოვა...

**– ალბათ, სიტუაციის გამოსწორების იმედი გაქვთ...**

– იმედი არის, თუმცა ბუნებით რეალისტი ვარ. ფაქტია, ველარ ვთამაშობ იმდენს, ადრე რომ ვთამაშობდი. ჩემი ხასიათი ასეთია: მიზეზს მუდამ საკუთარ თავში ვეძებ.

**– "დნიპროს" მთავარ მწვრთნელ მარკევიჩთან ხომ არ გისაუბრიათ?**

– მესმის თქვენი კითხვის არსი. საერთოდ, მწვრთნელთან საუბარი და ვითარების გარკვევა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამ შემთხვევაში, მირჩევნია, მოვიცადო. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ არ ვარ ოპტიმალურ ფორმაში.

**– რატომ?**

– გამიჭირდება ზუსტი პასუხის გაცემა. ჩემპიონთა ლიგაში, "კოპენჰაგენთან", ყველას წარმატების იმედი გვქონდა. ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც შეგვეძლო და რასაც ხალხი ელოდა. ეს, ალბათ, უფრო ფსიქოლოგიური ჩავარდნაა.

**– უკრაინაში მიმდინარე ომი ხომ არ ახდენს გავლენას თქვენს ყოველდღიურობაზე?**

– არა, დნეპროპეტროვსკში საერთოდ არ იგრძნობა დაძაბულობა. თუ ტელევიზორს არ ჩართავ და ლუგანსკის ამბებს არ ნახავ, წარმოდგენაც კი გაგიჭირდება, რომ ქვეყანაში ომია.

**– ბოლო ორი სეზონია, უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ხართ და საქართველოს ნაკრებსაც კაპიტნობთ. ნუთუ, უფრო სოლიდური ევროპული კლუბისგან არ გქონიათ შეთავაზება?**

– როგორც იცით, "დნიპროსთან" კონტრაქტი ახლახან გავაგრძელე. სანამ კლუბს საბოლოო სიტყვას ვეტყოდი, ოთხი მენეჯერი მუშაობდა ევროპაში ჩემს ტრანსფერზე. როცა "დნიპრომ" ახალი ხელშეკრულება შემომთავაზა, დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ ევროპიდან რეალური არაფერი იყო. არ ვარ ის ფეხბურთელი, არარეალურს გამოვეკიდო. ასე დავრჩი დნეპროპეტროვსკში.

**– "დნიპრო", ალბათ, მიზნებში არ იზღუდება...**

– უკრაინის ჩემპიონობა წარმოუდგენელი არ არის, თუმცა ასე კატეგორიულად ეს მიზანი ჩვენთვის არავის დაუსახავს.

**– სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. რა განწყობით ხვდებით ირლანდიასთან პირველ შესარჩევ მატჩს?**

– წამებს ვითვლი იმ თამაშამდე. ასეთი გაძლიერებული მოლოდინი იშვიათად მქონია ცხოვრებაში. მარტო რომ ვრჩები, ყველაფერს წარმოვიდგენ ხოლმე – გადაჭედილ სტადიონს, ბიჭების ანთებულ თვალებს...

**– ირლანდიისგან რას ელით?**

– ნამდვილ ბრიტანულ ფეხბურთს – ბევრ ჩაწოდებას, ჯაჯგურს, ორთაბრძოლებს... ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ვითამაშებთ ორთაბრძოლებში.

**– მეტოქე გვარიანადაა გაახალგაზრდავებული...**

– ეგ კი, მაგრამ მაინც ძალიან ძლიერი გუნდია. ძირითადი ბირთვი ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობს და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩემი აზრი მაინც ასეთია – ნაკლები ვიფიქროთ მეტოქეზე და უფრო მეტი – ჩვენზე. თამაში საქართველომ უნდა მოიგოს, ირლანდია თამაშს თავისით არ წააგებს.

**– გჯერათ, რომ საქართველოს ნაკრები ამ ევროშესარჩევში წარმატებულ თამაშს შეძლებს?**

– მჯერა! ბოლომდე მჯერა!

**– საუბრის ბოლოს ერთს უნდა დაგვპირდეთ...**

– თუ რამე შემიძლია...

**– ირლანდიასთან მატჩამდე ოპტიმალური სათამაშო ფორმა უნდა აღიდგინოთ...**

– დამიჯერეთ, ათმაგი ენერგიით ვვარჯიშობ და ვპირდები მთელ საქართველოს, რომ ყველა თავს დავდებთ ირლანდიასთან უმნიშვნელოვანეს მატჩში.

# მაინც დავმარცხდით!



თემურ ქეცბაიამ შესაძლოა მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვოს

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ შესაძლოა თანამდებობა მომდევნო ორი თამაშის შემდეგ დატოვოს.

როგორც ქეცბაიამ ირლანდიასთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუ მომდევნო ორ თამაშში საქართველოს ნაკრები ვერ მიაღწევს წარმატებას და დაკარგავს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსს, ის თანამდებობას დატოვებს.

**"მეც დავიღალე. 5 წელია საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ და შესაძლოა, ვინმეს ყელშიც ამოვუვედი. ჩემს გზას ვნახავ. არ მინდა ჩემი ნერვები ბოლომდე ამას გადავაყოლო და არც ჯვარი მაქვს დაწერილი. მომდევნო ორი თამაშში ვნახოთ, რა შედეგს ვაჩვენებთ და შემდეგ დავსხდებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას, გავაგრძელებ თუ არა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობას. აქამდეც მქონდა ნათქვამი, რომ თუ საქართველოს ნაკრებს არ ექნება შანსი ევროპის ჩემპიონატზე გასვლის, მე დავტოვებ თანამდებობას. არითმეტიკულად დღევანდელი მარცხის შემდეგ გასვლის შანსი კვლავ არსებობს",** – განაცხადა თემურ ქეცბაიამ.

მისივე თქმით, დღევანდელ მატჩში საქართველო წაგებას არ იმსახურებდა და ორივე გუნდისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი ფრე იქნებოდა.

ქეცბაია ნაკრების მარცხს ფეხბურთელების მხრიდან ბოლო წუთებში კონცენტრაციის დაკარგვით ხსნის.

**"კმაყოფილი ვარ ფეხბურთელების თამაშით. ბოლომდე იბრძოლეს, თუმცა როდესაც შეცდომას დაუშვებ, ასეთი გუნდი მას არ გაპატიებს. მთელი თამაში არ ითამაშეს ცუდად, თუმცა ფეხბურთი გრძელდება ბოლო წუთამდე და აუცილებელია, რომ კონცენტრაცია არ დაიკარგოს",** – აღნიშნა ქეცბაიამ.

ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარტინ ონილის განცხადებით კი, საქართველომ დღევანდელ თამაშში არ აჩვენა ის თამაში, რომელიც რეალურად შეუძლია.

**"მნიშვნელოვანია, რომ თამაშს ვაკონტროლებდით და გავიმარჯვეთ. ვიცი, რომ საქართველოში რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა დღეს მათ საუკეთესო თამაში არ უჩვენებიათ",** – აღნიშნა ონილმა.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში საქართველო ირლანდიასთან ანგარიშით 1:2 დამარცხდა. მატჩში ანგარიში 24-ე წუთზე ქართველი მცველების შეცდომის შედეგად ირლანდიელმა ეიდენ მაკგიდმა გახსნა. ანგარიში საქართველომ თორნიკე ოქრიაშვილის შორეული დარტყმით 38-ე წუთზე გაათანაბრა. გადამწყვეტი გოლი მატჩის ბოლო წუთზე ასევე ეიდენ მაკგიდიმ გაიტანა და დუბლი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ირლანდიისთვის არასდროს მოუგია. შესარჩევი ეტაპის გახსნითი მატჩი **"დინამო არენაზე"** ჩატარდა.

თემურ ქეცბაიამ ირლანდიასთან შემდეგი ფეხბურთელები ათამაშა: გიორგი ლორია (როინ კვასხვაძე), სოლომონ კვირკველია, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, აკაკი ხუბუტია, ჯაბა კანკავა, (კაპიტანი) მურთაზ დაუშვილი, ნიკოლოზ გელაშვილი, ჯანო ანანიძე (დავით თარგამაძე), თორნიკე ოქრიაშვილი (ლევან მჭედლიძე) და დავით კვირკველია. შემდეგ შეხვედრას საქართველო 11 ოქტომბერს, სტუმრად შოტლანდიის წინააღმდეგ ჩაატარებს.

# გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერიას" თარგმანის მესამე ტომი




უკვე გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახლში დაბრუნებულმა სიძემ თავის კომპიუტერთან მჯდომი სიდედრი დაინახა და წამოიძახა:

– ასეთი ვირუსი ჯერ ჩემს კომპიუტერს არ ჰქონია!

* * *

დათა თუთაშხია ისეთი მთვრალი იყო, ბეჩუნის ეუბნებოდა: გუდუნა გააღვიძე, მაუზერით სროლა უნდა ვასწავლოო.

* * *

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს:

– ვაიმე, ნატუკა, მუშაობას ვიწყებ ჯანმრთელობის სამინისტროში.

– ვაიმე, დავეცი! შენ იქ რა უნდა აკეთო?

– რა და, წესრიგი უნდა დავამყარო.

– ვაიმეე! რა მაგარია! რა თანამდებობაზე დაგნიშნეს?

– დამლაგებლად.

* * *

მასწავლებელი: რა დაემართება ოქროს სუფთა ჰაერზე თუ გავიტანთ?

მოსწავლე: მოიპარავენ, მასწ..!

* * *

ტიპი მკითხავთან მივიდა, მკითხავმა ბანქოს ჩახედა და ეუბნება:

– ვაიმე რა უბედურებაა... ორ დღეში ცოლი მოგიკვდებათ!

– ეგ ვიცი. შენ ის მითხარი, დამიჭერენ თუ არა


**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




*დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, ც-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 საიდ. №01018002930

234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge